ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №39 (1740) 12 - 18 ოქტომბერი, 1999 წ. ● ფასი 50 თეთრი



## იცინე, საქართველოვ, იცინე!..

მესამე გვერდი

*ჰამლეტ ჭიპაშვილი:*

## შევარდნაძე ისე ლაპარაკობს საქართველოს ჭირ-ვარამზე, როგორც მარსიდან ჩამოსული კაცი

2

## რატომ არ უნდა დავუჭიროთ მხარი მოქალაქეთა კავშირს

მეხუთე გვერდი

შემოხაზეთ №6 ბლოკი „სახალხო ფრონტი-ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“

# თავისუფლება, პური, სამართალი!

*მამუკა გიორგაძე:*



## პოლიტიკური ქმედებები ბევრს მხოლოდ თეატრალიზებულ წარმოდგენად ეჩვენება

მეთორმეტე გვერდი

## ქართველი გოგონები თურქებთან „ლაღობენ“, მეცნიერი ქალი კი ტუალეტს ხეხავს

12

*დავით გუჯაბიძე:*

## დამატებითი სიები და მკვდარი სულების პრობლემა ამ არჩევნებშიც შეგვაწუხებს

მეოთხე გვერდი

## ამბავი ედუარდ-იგორის ლაშქრობისა

11

*გიორგი ხოშტარია:*

## ჩვენთან დასავლეთს კი არა, მის სუროგატს ნერგავენ

მეორე გვერდი

*ვალერი გელაშვილი:*

## ჩემი ხალხისთვის გავაკეთებ იგივეს, რასაც დღემდე ვაკეთებდი...

მეშვიდე გვერდი

ელექტრონული ვერსია Http:// www.opentxt.org.ge/sakartvelo

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### ჩაქროლილი კომეტა



კომეტასავით მოკაშკაშე და იმავე კომეტასავით ჩაქროლილმა ახალგაზრდა პოლიტიკოსმა მიხეილ სააკაშვილმა გაზეთ „რეზონანსში“ განაცხადა: „რომელ რაიონშიც არ უნდა დავაყენო ჩემი კანდიდატურა, იქ გავიმარჯვებო“. რა თქმა უნდა, ურიგო არ არის, როცა პოლიტიკოსს საკუთარი თავის რწმენა გააჩნია, მაგრამ როცა ის საკუთარ თავს ნარცისულად უყურებს, ეს უკვე პოლიტიკურ აღსასრულს აახლოებს.

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ საქართველოს ყველა რაიონში სააკაშვილის მჯობნი პიროვნება არ იყოს. ეს უკვე კატასტროფა იქნებოდა. ეს ნიშნავს, რომ შევარდნაძეა დღეს ჭარმაგ პოლიტიკოსებში უპირველესი, ხოლო თუ რა პოლიტიკოსიცაა, მის მიერ მართული ქვეყნითაც ჩანს, ხოლო ახალგაზრდებში სააკაშვილია ფალავანი. ამ განცხადების შემდეგ სააკაშვილი ის მანათობელი პოლიტიკოსია, რომლის სიკაშკაშეც მხოლოდ მასვე აბრმავებს.

სხვათა შორის, ეს განცხადება ყველა იმ რაიონის შეურაცხყოფაა, რომელთა წიაღიდანაც უამრავი ნიჭიერი, ღირსეული და დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება წარმოჩენილა.

ასე რომ, ბატონო მიხეილ, „ენაზე მომდგარ სიტყვასა, განა სუყველას თქმა უნდა“.

### სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო



ეროვნული იდეოლოგიის პარტიის თავმჯდომარემ ზურაბ გაგნიძემ წერილი გაუგზავნა პრეზიდენტს, ლაგოდეხის ამბები რომ არ განმეორდეს, არჩევნების დროს საპრეზიდენტო მმართველობა შემოიღეთო.

ეჰ, ზურაბ, ზურაბ, განა პრეზიდენტს უფლებამოსილება აკლია, რომ კიდევ არ დაუმატოთ? ან რომელ ეროვნულ იდეოლოგიაში ჯდება პრეზიდენტის მოღვაწეობა, რომ მისთვის აბსოლუტური ძალაუფლების მინიჭებას ცდილობთ? მოკლედ, ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ყველანაირად ცდილობთ და აღარაფერს თაკილობთ, ოღონდ საქართველოს ხელისუფლების თბილ კალთაში აღმოჩნდეთ, მაგრამ, ზურაბ ბატონო, რატომ გავიწყდებათ ქართული ანდაზა – სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო.

### ვის - ტორტი, ვის - ბალახი

ამ ბოლო დროს მსახიობებიც ჩაერივნენ დიდ პოლიტიკაში და მიდის პრეზიდენტის და მოქალაქეთა კავშირის ქება-დიდება სცენაზე დაყენებული ხმითა და მიმიკით.

მსახიობი და რეჟისორი ბაადურ წულაძე ამუნათებს იმ ადამიანებს, ვინც პროტესტს გამოთქვამს უპენსიობის, უმუშევრობის, უხელფასობისა და შიმშილის გამო, და დასცინის, რომ იძახდით ბალახს შევჭამთ, ოღონდ თავისუფლება იყოსო, ახლა ტორტს რატომ ითხოვთო. ტორტს ვინც ითხოვს, ბატონ ბაადურსაც მოეხსენება, ალბათ, მაგნაირები ხელისუფლებაში და მის წრეში მყოფ გაბეყილ მუცლიან გვამებში მოიკითხონ, ხოლო უბრალო, პატიოსანი ხალხის უმეტესობას პურის ფულის შოვნა უჭირს ამ ხელისუფლების უვარგისი პოლიტიკის წყალობით. რაც შეეხება ბალახის ჭამას, ბალახს საქონელი ჭამს, ბაადურ ბატონო და ბალახს რატომ არ ჭამთო, უსაყვედუროთ ხალხს, მსუბუქად რომ ვთქვათ, ამავე ხალხის შეურაცხყოფელია.

### ლეკიშვილი თვალებში იყურება

ბატონი ნიკო ლეკიშვილი ამბობს: სახელმწიფო მინისტრი რომ ვიყავი, ყოველთვის ცდილობდნენ ისეთ ადგილას მივეყვანეთ, სადაც ნაკლები პრობლემები იყო. ერთი წელია ხალხთან მაქვს საქმე და ნათლად ვხედავ, რა უჭირთ და რა ულხინთ.

ბატონი ნიკო თუ ნათლად ხედავს რა უჭირს და რა ულხინს ხალხს, მაშინ დაინახავდა, რომ ერთეულებს ულხინთ და ქონში ცურაობენ, ხოლო ათასები საკუთარ ნეკნებს ითვლიან გაძვალტყავებულ სხეულზე და ეს უსამართლობა და ხალხის ასე დაჩაჩანაკება-დამშიერება ბატონ ნიკოს სახელმწიფო მინისტრად ყოფნის პერიოდში განვითარდა. აწი, გინდა დაგინახიათ და გინდაც არა ხალხის ესოდენი გაჭირვება, ამას ხალხისთვის რაღა მნიშვნელობა აქვს.

## ინტერვიუ

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: შევარდნაძე ისე ლაპარაკობს საქართველოს ჭირვარამზე, როგორც მარსიდან ჩამოსული კაცი

***არჩევნების მოახლოებასთან ერთად ცენტრსა და აჭარას შორის დაპირისპირებამ უფრო და უფრო მწვავე ხასიათი მიიღო, რომლის კულმინაციის წერტილად შეიძლება მივიჩნიოთ პრეზიდენტის მიერ შეწყალების აქტის გამოყენება გარკვეულ პატიმართა მიმართ, ასლან აბაშიძის მხრიდან კი პრეზიდენტისათვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლების უგულებელყოფა და დაუმორჩილებლობა.***



***– ბატონო ჰამლეტ, რატომ არ გაათავისუფლა აჭარის მხარემ ის პიროვნებები, რომლებიც პრეზიდენტმა შეიწყალა, ეს ხომ კანონის აშკარად დარღვევაა?***

– ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტის არცერთი ბრძანებულება არ ვრცელდება. არ ვრცელდება კანონი, რომელსაც პრეზიდენტი აწერს ხელს. თვით პრეზიდენტი და მისი გარემოცვა არღვევს ამ კანონებს და ბრძანებულებებს დღენიადაგ.

როცა საუბარია ისეთ სერიოზულ საქმეზე, რასაც ჰქვია შეწყალება, აუცილებელია არსებობდეს დოკუმენტი, სადაც ეს იქნება აღნიშნული. შეწყალების აქტი თბილისში მოხდა, დოკუმენტები კი აჭარას არ ჰქონდა მიღებული. ისინი ადგილზე სულ რამდენიმე დღის წინ ჩავიდა და უკვე იცით, 25 კაცი გათავისუფლდა. რაც შეეხება დანარჩენ სამ ადამიანს, რომლების არგათავისუფლებაც სკანდალის საბაბი გახდა, იმ უბრალო მიზეზის გამო არ მოხდა, რომ მათ გათავისუფლებაზე დოკუმენტები არ ჩასულა. აჭარაში ამბობენ, ხომ ამის შესახებ ტელევიზიით გამოცხადდა და რატომ არ გაათავისუფლეს შეწყალებულებიო? მე, როგორც სახელმწიფო ორგანიზაციის დიდი ხნის მოხელეს, არ მაინტერესებს რა თქვა ბაბილაშვილმა, ბალუაშვილმა ან შევარდნაძემ. აბსოლუტურად არა აქვს ამას მნიშვნელობა, სანამ ხელში არ ჩამივარდება დოკუმენტი ოფიციალური გზით სახელმწიფოს მიერ გამოგზავნილი, კანცელარიაში გატარებული, შემოსვლის თარიღდასმული...

***– რამდენჯერმე ითქვა, რომ ეს დოკუმენტი აჭარის მხარეს ფაქსით გაეგზავნა...***

– ფაქსი ხომ დოკუმენტი არ არის. გერმანიაში ფაქსს დოკუმენტის ძალა არა აქვს. არცერთი უცხოეთის საელჩო საქართველოში, თუ თქვენ უცხოეთში გამგზავრებას აპირებთ და მოწვევა (ვიზა) ფაქსით გაქვთ, არ დააკმაყოფილებს თქვენს სურვილს თუ, რა თქმა უნდა, მინისტრი ან სახელმწიფოს მაღალი მოხელე არა ხართ და პირადად არ გიცნობენ.

***– აქ პრეზიდენტის ბრძანებულებაზეა საუბარი და მგონი მინისტრებზე და სახელმწიფოს მაღალ მოხელეებზე უკეთ მას უნდა იცნობდნენ?***

– კი, მაგრამ ორიგინალის არსებობა მაინც აუცილებელია. ფაქსი მაქსიმუმ 5 წელი ინარჩუნებს პირველსახეს, შემდეგ საღებავი ძალას კარგავს და ერთი ხელის გადასმით შეიძლება ცარიელი ქაღალდი შეგრჩეთ ხელში. ასე რომ, ფაქსი სამუდამო არ არის, ასანიძეების საქმე კი შესაძლოა მართლა სამუდამო იყოს. გავა ხუთი წელი და ვიღაცამ შეიძლება გაიხსენოს, ამოქექოს ეს საქმე, ამოსწიოს ეს დოკუმენტი და შევარდნაძესთან ერთად შეიძლება ასლან აბაშიძეც გალანძღოს. ეს იცოდა ბატონმა ასლანმა, ეს მშვენივრად იცის თვით პროკურატურამაც, სწორედ ამიტომ იყო აუცილებელი ორიგინალი.

მე 1963 წლიდან ვმუშაობ სახელმწიფო დაწესებულებებში. მი-

*გაგრძელება მე-5 გვ*

# ვინ უნდა იყოს პარლამენტის დეპუტატი?

პარლამენტი ერის, სახელმწიფო საზოგადოების ცხოვრების მოწყობის, მისი მაგისტრალური გზის დამდგენი, საზოგადოების კანონმდებლობისა და ზნეობის მიმართულების განმსაზღვრელი დაწესებულებაა. აქედან გამომდინარე, იგი ქვეყნისა და ხალხის ბედზე მზრუნველი, ღვაწლმოსილი ადამიანებით უნდა დაკომპლექტდეს. პირადად მე აუცილებლად მიმაჩნია ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე პარლამენტში მოხვდეს ერთ-ერთ ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურა, ყველაზე პატიოსანი პოლიტიკოსის იმიჯით, როგორიცაა ბატონი ნოდარ ნათაძე. მას ქართული საქმისათვის ზრუნვა 1990-იან წლებში არ დაუწყია. იგი ამას მთელი ნახევარი საუკუნე აკეთებდა, რაშიც ყველა დამეთანხმება, ვისაც კი კომუნისტების მმართველობის დროს ერთხელ მაინც ჰქონია საქმე საინგილოს საკითხებთან. მაშინ ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ ხდებოდა კახის და ზაქათალის რაიონების ქართველი მოსახლეობის ნაციონალური ცნობიერების დათრგუნვა, რის წინააღმდეგაც გამუდმებით იბრძოდა ნოდარ ნათაძე. თუმცა, სიმართლისათვის ბრძოლის გამო არაერთი უსიამოვნება შეხვედრია, როგორც აზერბაიჯანის, ისე საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობისაგან.

ნოდარ ნათაძემ ფილოსოფიის ინსტიტუტში მოღვაწეობისას ქართველ ახალგაზრდობას კაცობრიობის საუკეთესო მოღვაწეთა ნამუშევრების მშობლიურ ენაზე გაცნობის საშუალებაც მისცა. ამით ხომ სხვა შესანიშნავ ქართველ მთარგმნელებთან ერთად ფაქტობრივად ქართულ ენას მეცნიერული ინფორმაციის ფუნქცია განუმტკიცა.

დაბოლოს, არაერთი თაობა აღიზარდა ბატონი ნოდარის მიერ ჭინჭარაულთან ერთად მომზადებულ „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებაზე, რომელიც აგერ უკვე 3 ათეული წელია ქართულ სკოლებში ისწავლება.

ყოველივე ეს უფლებას მაძლევს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ხმა სწორედ ნოდარ ნათაძეს მივცე.

**ელგუჯა მენაბდიშვილი**

## რეპლიკა

# როგორ ვიცით მშობლიური ისტორია

თურმე, ბატონი პავლე ინგოროყვა ხშირად იმეორებდა, რომ მსოფლიოში არცერთმა ხალხმა არ იცის ისე ცუდად თავისი ისტორია, როგორც ქართველებმაო. სწორედ ეს აზრი ამეკვიატა ამ დღეებში და მოგახსენებთ რატომ.

ამას წინათ, ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ 1992 წლის 1-2 ნომრით დავინტერესდი. აქ წავაწყდი პუბლიკაციას ცნობილი რუსთველოლოგის ვიქტორ ნოზაძის მცირე ოპუსისა „მეფენი, რომელთაც თავისი პანაშვიდი გადაიხადეს“. აქ, პლუტარქეს სტილში, შედარებულია ესპანეთის მეფის ფილიპე მეორისა და ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის ცხოვრებისა და მეფობის ეპიზოდები. ესენი, თითქოს ერთსა და იმავე პერიოდში ცხოვრობდნენ. მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი გმირი მეფე, ისტორიკოსთა დიდი ნაწილის ვარაუდით, 1556 წელს დაიღუპა, ე.ი. იმ წელს, როდესაც მეფე ფილიპე მეორე ესპანეთის ტახტზე ავიდა. ასევე, ლუარსაბ I არ ყოფილა ძე გიორგი მეფისა, არამედ მამა დავით X იყო... ფილიპე II-ს არ დაუარსებია მადრიდი (1561წ.), არამედ მან უკვე დიდი ხნის წინათ არსებული მადრიდი სამეფო რეზიდენციად აქცია...

მაგრამ ჩამოთვლილი და სხვა მისთანა შეცდომები არაფერია უფრო დიდ ლაფსუსთან შედარებით. ბატონი ვიქტორი წერს: „ლუარსაბ პირველის დროს სპარსეთის ტახტზე იჯდა მრისხანე და მზაკვარი შაჰ-აბბას (1587-1629წწ)“. სამწუხაროდ, აქ მართლაც დიდ შეცდომასთან გვაქვს საქმე: შაჰ-აბას პირველის ზეობისას ლუარსაბ I უკვე საკმაო ხნის წინათ იყო გარდაცვლილი, რაც აღნიშნულია კიდეც ვიქტორ ნოზაძისეულ პუბლიკაციაში. ფრიად სამწუხაროდ, ამ უკანასკნელს ლუარსაბ I-ის ცხოვრების ბედ-იღბალში არეული აქვს ლუარსაბ მეორის (მეფობა 1606-22 წლებში) ცხოვრების მთავარი მომენტები.

მაგრამ მე უფრო სხვა გარემოებამ გამაოგნა. როგორ მოხდა, რომ, როცა ხსენებულ ჟურნალში იბეჭდებოდა ვიქტორ ნოზაძის აღნიშნული ოპუსი, ვერც პუბლიკატორმა, ვერც ჟურნალის რედაქტორმა და სარედაქციო კოლეგიის თოთხმეტმა წევრმა ვერ შენიშნეს ასეთი დიდი ლაფსუსი (?!). მაგრამ, მოგეხსენებათ, ფაქტია ჯიუტი: ამდენმა, ნამდვილად განათლებულმა ადამიანმა, შეცდომა ვერ შენიშნა... და თუ მსგავსი რამ დაემართათ მათ, მაშინ რა უნდა ითქვას ქართველთა ფართო მასაზე?

სწორედ ამან გამახსენა ბატონი პავლე ინგოროყვას მწარე ფიქრი.

**ზურამ ყორანაშვილი**

ინტერვიუ

## მამუკა გიორგაძე: პოლიტიკური ქმედებები ბევრს მხოლოდ თეატრალიზებულ წარმოდგენად ეჩვენება



*– ბატონო მამუკა, არჩევნების მოახლოებასთან ერთად გამძაფრდა პოლიტიკურ ძალებს შორის დაპირისპირებები, ურთიერთშეხლა. „სახალხო“ მიმართ მმართველი პარტიისგან ხშირად გაისმის, რომ „სახალხო“ ვერ გავა არჩევნებში...*

– ეს მათი გაჭირვების ამბავია და არც მალავენ, რომ ისეთი სუფთა, პატიოსანი,ეროვნული ძალის პარლამენტში ყოფნა, როგორიც სახალხო პარტიაა, მათ ხელს არ აძლევს, იმიტომ, რომ კონკურენცია ჩვენთან უჭირთ. როცა 140 კაციანი უმრავლესობა ჰქონდათ და ჩვენ უმცირესობაში ვიყავით, მაინც ვახერხებდით სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას. ახლა ეს უმრავლესობა ნამდვილად არ ექნებათ და უკვე გრძნობენ, რომ მათი პოლიტიკური კარიერა, პრაქტიკულად, დამთავრებულია. სწორედ ამიტომაც არის „სახალხოს“ წინააღმდეგ გამძაფრებული მოქმედებები. მათ სურთ პარლამენტში წარმოდგენილ იქნას ან ისეთი ძალები, რომლებიც მათგან იქნება კონტროლირებადი, ან ისეთი, რომლებთანაც რაღაცა ექნებათ სათქმელი, წამოსაძახებელი. „სახალხოსთან“ არაფერი არა აქვთ სათქმელი და არც წამოძახება შეუძლიათ. ჩვენ ერთი-ორი ასეთი უმრავლესობა გაგვისტუმრებია ისტორიის სანაგვეზე და კიდევ გავისტუმრებთ.

*– ცსკ-ს გადაწყვეტილებას, რომელმაც ბევრი „სახალხოელი“ ამოაგდო საარჩევნო სიიდან, თქვენს წინააღმდეგ მიმართულ კამპანიად მიიჩნევთ?*

– პრაქტიკულად, ეს ჩვენს წინააღმდეგ მიმართული კამპანიაა. ესეც გაჭირვების გამოა. მათ რომ საკუთარი თავის და იმის იმედი ჰქონდეთ, რომ მოსახლეობა გვერდით დაუდგებათ, ასეთ ქმედებებს არ მიმართავდნენ. ხელოვნური ბარიერებით უნდათ ჩვენი წარმატების შესუსტება. პრინციპში, ეს არ გამოუვათ. ასეთი ქმედებების შედეგად ჩვენ შეიძლება ერთი-ორი დეპუტატით ნაკლები გავიყვანოთ, მაგრამ ეს საერთო სურათს ნამდვილად არ შეცვლის.

გაგრძელება მე-6 გვ.

## იცინე, საქართველოვ, იცინე!..

იცინე და გიხაროდეს, საქართველოვ – მოახლოვდა საპარლამენტო არჩევნების დღე. მმართველმა პარტიამ დიდი კმაყოფილებით გვამცნო – ამ არჩევნებში 60 პროცენტი ახალი სახეებითა და ახალი სახელებით იქნება წარმოდგენილი მოქალაქეთა კავშირის მიერ შერჩეული პარლამენტარებიო (დანიშნულიო რომ ეთქვათ, არც ეს იქნებოდა ტყუილი). როგორ არ უნდა გვიხაროდეს – ძველი ხომ იყო და იყო,ააყვავა და აალორძინა საქართველო, ახლები ხომ... ნუღა იტყვით, მთლად სამოთხეში გვაცხოვრებენ. მე თქვენ გეტყვით და, კადრების შერჩევაში ემლებათ რაიმე...

იცინე, საქართველოვ, იცინე – აწმყო ხომ შენი იყო და იყო, მომავალი ხომ მთლად შენია... მოქალაქეთა კავშირის მიერ შერჩეული და დანიშნული კადრების ხელში...

მე კი გულისტკივილით მახსენებს თავს ეს სტრიქონები:

რაც კი ოდესმე საქართველოს ტყვია ესროლეს,

ყველა ჭრილობამ სწორედ ახლა იჩინა თავი...

შესდექით, ხალხნო, ხედავთ, სისხლით მორწყულა მიწა

და დასაკლავად გამოუბამთ მუხაზე ხარი.

იცინე, საქართველოვ, იცინე – ცირკის არენაზე დგახარ, თავზე მასხარას ქუდი გახურავს, ფეხზე წითელი მოკასინები გაცვია და მალაყზე დგები. მსოფლიო შემოგყურებს ყველაზე საოცარ ჯამბაზს. ტყუილად კი არ დაგარქვეს „მერვე საოცრება“. დასავლეთს კუდს უქიცინებ (მაშ, როგორ, შენ ხომ ამიერიდან ევროპელი ხარ), ჩრდილოეთიდან კი ამომავალი მზის ცქერით ტკბები და თვალებში შესციცინებ ისტორიული სანაგვის უნიკალურ და უცილობელ ექსპონატს. კავკასიაში „ერთიანი ძმური ოჯახის“ შექმნაზე ოცნებობ, ყველაზე მაღალი ტრიბუნებიდან კი მსოფლიოს საერთო მშვიდობაზე ლაპარაკობ. მსოფლიო განცვიფრებულია შენი სიბრძნით, შორსმჭვრეტელობითა და მჭევრმეტყველებით, საერთაშორისო პოლიტიკური ნიჭის უნიკალური მონაცემებით... თუმცა ქართველი გლეხი ამ დროს ასე იტყოდა: კუდა ხარი თავისთვის არ ვარგოდა და სხვებს ბუზს უგერიებდაო.

იცინე, საქართველოვ, იცინე... შენი თვალტანადი შვილები, სულიერებითა და რაინდობით განთქმული ვაჟკაცები, მშობლიურ მამულს ტოვებენ და უცხოეთში გარბიან, მდიდარ ოჯახებს ლაქიებად და ხელზე მოსამსახურეებად უდგებიან, ოჯახი რომ შიმშილს გადაარჩინონ. ვინ გაამტყუნებს მათ – შენმა ნოყიერმა მიწამ ვერავითარი საზრდო ვერ გაუჩინა. შენი ტანკენარი წმინდა ასულები კი სტამბულის ბაზარზე უწმინდურ საქციელს სჩადიან. შენ განსაჯე, ვინ უფრო ტყუის მათი უკეთური ნაბიჯის გამო – შენ თუ ისინი, ოჯახის შექმნას დანატრებული ასულები...

იცინე, იცინე, საქართველოვ, სხვა რა გზა გაქვს – უნდა დაივიწყო, როგორც ჩაგითრიეს ძმათამკვლელ ომში სატანის მოციქულებმა, ცბიერმა და ვერაგმა „მოძმემ“, დღესაც რომ უტიფრად შესციცინებ თვალებში. როგორ გაგაყიდვინა სულიცა და სხეულიც იმისათვის, რომ უცილო სიკვდილისათვის გაგემეტებინა შენი უწვერულვაშო, დედის კალთას ახალმოწყვეტილი ბიჭები და იმისთვისაც იცინე, ოცდაათი ვერცხლის ფასად როგორ გაუყენე უმწეო, შენს მფარველობას მოკლებული ხალხი გოლგოთის გზას.

ნუ შეგაკრთობს სახელდება „ჯამბაზისა“, რამეთუ ტრიბუნაზე მდგომს უხმოდ ახშობინებ ყოველ თავისუფალსა და ადამიანურ აზრს. ან ვით აგერია მტერი მოყვარეში, ჩემო ტანჯულო საქართველოვ? ვაი, რომ დემოკრატიის ქურქში გახვეული კომუნისტები – ჩეკისტური ბოლშევიკების შთამომავლები გმართავენ ისევ... ვაი, რომ სალათას ძილით დაგძინებია, ჩემო დაფლეთილო, განწირულო და უიმედობის მორევში ჩაძირულო საქართველოვ და შენს გამოღვიძებას ამაოდ ცდილობენ შენი ჭეშმარიტი შვილები... „ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ კვლავ გვიკიჟინებს დიდი ილია.



მე კი ისევ უჩუმრად ვიმეორებ:

არ დაიჩოქო, საქართველოვ, მუხლზე არ დაგე,

რაც გიჩოქია, სანანებლად ისიცა კმარა,

მოზიდულ ისარს ამოწვდილი დაუხვდეს ხმალი,

განგების ძალა გამოაჩენს მტყუანს და მართალს.

ყველანი არიან და ქართველი კი ალარსად არისო, იტყოდა ჩვენი პარლამენტარების შემხედვარე ილია. ევროპა ხომ სულ ჭკუის კოლოფებით არის სავსე, ქვეყნის მართვა ჩინებულად იციან. ჯარისა და სამხედრო შეიარაღების გაძლიერებაზე ფიქრობენ. უამრავ ფულსა და ზღვა ენერგიას ხარჯავენ საამისოდ, მსოფლიო ბატონობა განუზრახავთ...

ჩვენმა სახელგანთქმულმა პრეზიდენტმა კი პირველ რიგში სოციალური პრობლემის მოგვარებაზე იზრუნა. ჯერ იყო და, ათ-ათი ლარი ხელფასი და პენსია გამოუყო მოსახლეობას, კაი ჭამეთ და კაი სვითო. ამ გზით ახალი ჯიშის ერი შექმნა და ჩამოაყალიბა ყინვაგამძლე და ჰაერმკვებავი. მერე იყო და, სოციალური საკითხი საბოლოოდ რომ გადაეჭრა, ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტა ეს პრობლემა – სუფსის ტერმინალი, ანუ ნავთობსადენის მილი ზედ ზღვის პირას გაგვიყვანა. მოდი და ნუ გაიხარებ – მალე, სულ მალე ნავთობიც გვექნება, ფულიც და ტერიტორიული მთლიანობაც აღდგება.

ოღონდ ჯერ მოქალაქეთა კავშირს ვუყაროთ კენჭი (ლოდში არ შეგვეშალოთ!) პარლამენტში, ქვეყნის მმართველობა კვლავ მას ჩავაბაროთ, აღებული კურსის ბოლომდე მიყვანა ვაცალოთ... ვაცალოთ, ბატონო, ვაცალოთ! ჩვენ თუ ვერ მოვახერხებთ ამ გადაწყვეტილების მიღებას დამოუკიდებლად, ყური დავუგდოთ სატელევიზიო აგიტატორებს, მოქალაქეთა კავშირს დავუჭიროთ მხარიო, წარამარა რომ ჩაგვჩიჩინებენ ყველა სატელევიზიო არხიდან. თუ ვინმე გადაარჩენს საქართველოს, მოქალაქეთა კავშირი გადაარჩენსო, გვიკიჟინებენ დღედაღამ... უსირცხვილოდ. თუმცა რა ენაღვლებათ, მათი რა მიდის, თუ ვერ გადაარჩენს მოქალაქეთა კავშირი ქვეყანას, ვინ მოსთხოვს პასუხს მათ აგიტატორებს, რით აზღვევინებენ სიცრუისათვის... დღეს ხომ მიიღეს იუდას გროშები!

აფსუს, ოცდაათ ვერცხლად გაყიდულო საქართველოვ...

იცინე, საქართველოვ, იცინე!

**ლია ბიბიტაშვილი,**

*აკად. პ. გუგუშვილის სახელობის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი.*

## ახალ-ახალი ამბები რეპლიკა-კომენტარებით

### ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა...



თავდაცვის ექს-მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა საოცარი განცხადება გააკეთა: თუ შვიდი წლის წინ ქართველებმა ერთმანეთს ესროლეს, ეს დიდი ტრაგედია არ არის საქართველოსათვის, ქართველებმა მარტყოფის ველზეც ესროლეს ერთმანეთს, გადავშენდითო?

ბატონ თენგიზს ვთხოვთ განგვიმარტოს, ძმა რომ ძმას მოსაკლავად გაიმეტებს, ანუ ქართველი ქართველის, თუ ტრაგედია არ არის, აბა, რა არის ტრაგედია? იგივე, ბაზალეთის ძმათა შორის ომი (და არა მარტყოფის – „საქართველო“) განა ტრაგედია არ არის, რომლის შედეგადაც ათასობით ქართველმა ერთმანეთი ამოხოცა და მტერი გაახარა?!

ასეთი რამის თქმას, სულ რომ არ გეთქვათ არაფერი, არ ჯობდა?

### რატომ უნდა ებრძოდეს თელავის გამგებელი ოპოზიციას?

თელავის სკანდალურმა გამგებელმა მედეა მეზვრიშვილმა განაცხადა: მე პოლიტიკურ პარტიებს მხოლოდ სიტყვით ვებრძვი და არა მუშტით და კრივითო. ეს კი ვერ ახსნა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელმა, თუ რატომ ებრძვის პოლიტიკურ პარტიებს, როცა ამგვარი საქმიანობა მის ფუნქციაში არ შედის. მაგრამ რა ქნას კოლხი მედეას სეხნიამ, როცა ის პრეზიდენტისა და მოქკავშირის მიერ არის დანიშნული და არა არჩეული ამ თანამდებობაზე, როგორც ამას დემოკრატიული პრინციპების დაცვა მოითხოვს, ამიტომ ძლიერ არის დავალებული ამ უკანასკნელთა მიმართ და იძულებულია ყველანაირად მხარი დაუჭიროს მათ, აქოს და ადიდოს მისი მამა და მარჩენალი პოლიტიკური ძალა და ლანძღოს და ემტეროს ოპოზიციურ პარტიებს.

რაც შეეხება მუშტი-კრივს, თავად მედეა მეზვრიშვილი არ ვიცით ამ საკითხში რა დონეზეა მომზადებული, მაგრამ მისი დაიკო რომ კეტსაც კარგად იყენებს და ჟურნალისტების ცემა-ტყეპვაც რომ შეუძლია, ეს კი საკუთარი თვალებით ვიხილეთ ტელეკომპანია რუსთავი-2-ის ეთერში.

### დავიცვათ ზომიერება



ბოლნისიდან თბილისში დაბრუნების დროს პრეზიდენტის დაცვის „ჯიპი“ მოხვდა ავტოავარიაში. საბედნიეროდ, „ჯიპში“ მსხდომნი უვნებელნი გადარჩნენ, მაგრამ ეს შემთხვევა, ვფიქრობთ, გაფრთხილება უნდა იყოს მათთვის, ვინც გეგმავს პრეზიდენტის მოძრაობის გრაფიკს. ამ გრაფიკის მიხედვით კი პრეზიდენტის ესკორტი ტყვიასავით დაქრის გზებზე, რაც ავტოავარიის საშიშროებას ქმნის. რა თქმა უნდა, პრეზიდენტის უსაფრთხოების მიზნით, ალბათ, მიზანშეწონილია მანქანების სწრაფი მოძრაობა, მაგრამ აქაც, ალბათ, ზომიერებაა საჭირო, თორემ რა მნიშვნელობა აქვს პრეზიდენტის სიცოცხლეს საფრთხე ტერორისტის ხელით ემუქრება თუ ავტოავარიის შედეგად.

არჩევნები - არჩევნები

# შემოხაზეთ №6 ბლოკი „სახალხო ფრონტი-ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“

## ბევრი პარლამენტარი სწორედ ეკოლოგიური ხვრელებით არის მოხვედრილი პარლამენტში



ინტერვიუ საქართველოს ეკოლოგიური საზოგადოება „მინდია“-ს პრეზიდენტთან ოთარ ქურდიანთან

*– ბატონო ოთარ, როდის შეიქმნა საზოგადოება „მინდია“ და რა მიზანს ისახავდა?*

– საქართველოს ეკოლოგიური საზოგადოება „მინდია“ 1987 წლის 27 აპრილს შეიქმნა. დღეისათვის მისი განყოფილებები მოიცავენ თითქმის მთელი საქართველოს ტერიტორიას.

ჩვენმა საზოგადოებამ შეიმუშავა კონცეფცია: ტერმინ ეკოლოგიის ახალი გაგება, ეროვნულ-ეკოლოგიური პარლამენტი, ეკოლოგიური ბანკები (როგორც მონაცემთა, ასევე საფინანსო), ეკოლოგიური პოლიცია, ეკოლოგიური ნაკრძალი, ეკოლოგიური განათლები, ეკოლოგიური ტურიზმი და სხვა მრავალი.

*– ეკოლოგია ისევე, როგორც სხვა დარგები, მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ პოლიტიკასთან, რომელსაც ხელისუფლება ატარებს ამა თუ იმ სახელმწიფოში. რა რანგშია დღეს აყვანილი ეკოლოგიური პოლიტიკა ჩვენთან?*

– უფრო კონკრეტულად და თვალნათლივ რომ გიპასუხოთ საქართველოს სახელმწიფო ეკოლოგიურ პოლიტიკას გაგახსენებთ ან ცნობილ ფრანგულ ფილმის „ფანტომასის“ ერთ-ერთ მომენტს, როდესაც ჟურნალისტი ფანდორი ცვლის პროფესორ ლაფევრის (იმის შიშით, რომ იგი ფანტომასმა არ გაიტაცოს) და მიემგზავრება რომში სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. მას აღგილობრივი და სხვა ქვეყნებიდან აკრედიტირებული ჟურნალისტები ართმევენ ინტერვიუს პლანეტა მარსზე და მის ბინადრებზე, რაც გადაიცემა ტელევიზიით, რასაც თავის ბინაში უყურებს პროფესორი (ნამდვილი) ლაფევრი დაახლოებით ასეთივე სიტუაციაა დღევანდელ საქართველოში ეკოლოგიურ პოლიტიკურ სფეროში, რაც გამოწვეულია ჟურნალისტ ფანდორების ჩანაცვლებით და მონაწილეობით ამ პოლიტიკის შემუშავებაში, ალბათ, მათთვის მარსის ასოცირება არ მოხდებოდა მარსთან, როგორც პლანეტასთან, არამედ, როგორც კანფეტთან, ხოლო მარსელები ასოცირებული იქნებოდნენ ვადაგასულ სხვადასხვა კანფეტებზე მობინადრე მატლებსა და მწერებთან, რაც უდაოდ მეტყველებს ზემოთ ხსენებულ ფანდორის განათლებასა და ინტელექთან შედარებით უფრო დაბალ დონეზე.

*– არჩევნებში მონაწილეობის მიღება რამ გადაგაწყვეტინათ?*

– ჩვენ არ ვგავართ იმ ეკოლოგიურ საზოგადოებებს, რომლებიც პოლიტიკური კონიუქტურის შეცვლის კვალდაკვალ იცვლის შეხედულებებს. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ბევრი, ვინც გუშინ ხუდონჰესისა და ზემო პესების აშენების წინააღმდეგ გააფთრებით იბრძოდა, დღეს ასეთივე გააფთრებით იბრძვის ამ პესების აშენებისათვის.

საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს არა აქვთ ნათელი და ცალსახა ეკოლოგიური პოლიტიკა, რაც აისახა მათ მიერ მიღებულ კანონებში. თუმცა ბევრი პარლამენტარი სწორედ ეკოლოგიური ხვრელებით არის მოხვედრილი პარლამენტში. ამიტომ შეიძლება პარადოქსულად გაიჟღეროს ჩემმა ნათქვამმა, რომ ეკოლოგებს არ ჰყავთ თავისი ლობი პარლამენტში. ამითაა გამოწვეული ჩვენი დღევანდელი გადაწყვეტილება და ტაქტიკა: როდესაც პარლამენტში შენს საქმეს არ ჰყავს ლობი, თვითონ უნდა შეხვიდე პარლამენტში.

*– თქვენს კონცეფციას საფუძვლად რა დაედო?*

– ჩვენ ეკოლოგიურ კონცეფციას საფუძვლად უდევს მოძღვრება ბუნებისა და ადამიანის ურთიერთგამაპირობებელი როლის შესახებ. ჩვენ ამ მოძღვრებას პირობითად ეკოლოგიურ ანთროპოლოგიას ვუწოდებთ. იგი შეისწავლის ადამიანს გარემოსთან კავშირში, რადგან გარემო და ადამიანი უწყვეტი ურთიერთზემოქმედების პირობებში იმყოფებიან.

მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ღმერთმა ქართველებს მოგვცა სამშობლო, სადაც ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ბუნების მხრიდან არ ემუქრებოდა: ჩვენს ზღვაში არ არის არც კაციჭამია ზვიგენები, არც ბარაკუდები, არც მურენები. ჩვენს მდინარეებში არ არის პირანიები. ჩვენი გველების ნაკბენი ადამიანისათვის არ არის სასიკვდილო, არც ჩვენი ობობებისა და მორიელებისა.

ღროთა განმავლობაში ეს ღვთისეული ჰარმონია დაირღვა: შუა აზიიდან კავკასიაში შემოაღწია გველმა გიურზამ, რომლის ნაკბენიც ადამიანისათვის სასიკვდილოა. ასევე, კარაკურტას ობობამ – მომაკვდინებელი შხამით.

ჩვენი მურა დათვი ვეგეტარიანელი და თაფლის მჭამელია, ჩვენთან შემოსული სირიული დათვი კი ხორცისმჭამელია და ერჩის, როგორც საქონელს, ასევე ადამიანს და სხვა.

მაგალითად, საქართველოში გიურზას შემოსვლამ, რომელსაც აქ ბუნებრივი მტერი არ გააჩნია, გამოიწვია მათი უპრობლემო გამრავლება და ბრაკონიერებზე მეტად სწორედ მათი დამსახურებაა ხოხბების (რომელთა კვერცხებსაც ის ჭამს) რაოდენობის შემცირება აღმოსავლეთ საქართველოში.

*– თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესება და რა გზებით?*

– მხოლოდ ბუნებრივი წონასწორობის აღდგენა უშველის ეკოლოგიურ სიტუაციას.

ჩვენთან კი გიურზას სახელმწიფო დონეზე იცავენ, სირიული დათვი სრული გაუგებრობის გამო, საქართველოს წითელ წიგნშიც კი მოხვდა.

ჩვენმა საზოგადოებამ რამდენჯერმე შესთავაზა მთავრობას სირიული დათვებისაგან საქართველოს გაწმენდის პროგრამა და თავდაპირველი სიტუაციის აღდგენა. ამის საუკეთესო გზაა სირიულ მურა დათვებზე სანადირო ლიცენზიების შემოღება. საქმე იმაშია, რომ კავკასიური მურა დათვები 25 დეკემბრისათვის იძინებენ, სირიული დათვები და მეტისები (კავკასიური და სირიული დათვების შერევის შედეგად მიღებული დათვები) კი მთელი ზამთარი ფხიზლობენ და დაძრწიან მთა-ბარად.

თუ ჩვენ სირიულ დათვებზე სანადირო ლიცენზიებს უცხოელებზე გავყიდით ორმაგ მოგებას ვნახავდით. ჩვენს ფაუნასაც დავიცავდით გადაგვარებისაგან და თან სერიოზული სახსრებიც შემოვიდოდა ქვეყანაში, რაც ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებაზე უნდა დაიხარჯოს.

ბუნებას სჭირდება დაცვა არა მხოლოდ მეცნიერული ტექნიკური პროგრესის თანმიმდევი „გვერდითი მოვლენებისაგან“, არამედ იმ ტიპის ეკოლოგიური საფრთხისაგანაც, რომელზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

*დავით გუჯაბიძე:*

## დამატებითი სიები და მკვდარი სულების პრობლემა ამ არჩევნებშიც შეგვაწუხებს

***– ბატონო დავით, თქვენ გარკვეულ ხანს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რწმუნებული იყავით სახალხო ფრონტიდან და, ალბათ, უკეთ უნდა მოგეხსენებოდეთ ცსკ-ს შიდა სამზარეულოში რა ხდება?***

– ცსკ-ში დეპუტატობის კანდიდატთა საარჩევნო ბარათების ამოყრა მიზანმიმართული ქმედებაც გახლდათ და გარკვეულწილად შემთხვევითი მოვლენაც. მხედველობაში მყავს ის მაჟორიტარი დეპუტატები, რომლებიც წარმოადგენდნენ ძალას და რომლების ამოგდებაც პარტიული თუ ბლოკის სიებიდან მაქსიმალური მცდელობის შედეგად მოხერხდა. აქ მოქავშირის ხელი რომ ურევია, ამაზე მიგვანიშნებს მათი საარჩევნო სიიდან მხოლოდ და მხოლოდ ერთი პიროვნების ამოგდება, ესეც ალბათ, იმიტომ გააკეთეს, უფრო დიდი აჟიოტაჟი რომ არ ამტყდარიყო.

***– სახალხო ფრონტის რამდენი დეპუტატობის კანდიდატი დაიწუნეს და რატომ?***

– ჩვენგან 10 დეპუტატობის კანდიდატი ამოაგდეს სიიდან. ჩვენი ბლოკის წევრების ბარათები დაიწუნეს იმის გამო, რომ პასპორტის მილიარდიან ციფრებში, რომელშიც ეროვნება არ გვიწერია, ელემენტარული შეცდომა მოუვიდა შემავსებელს. მე არ ვამართლებ იმათ, ვისაც ხელი არ აქვს მოწერილი ბარათზე ან პროფესია არ უწერია. მე ცსკ-ს თავმჯდომარის მოადგილეს ვთხოვე ბარათებში ჩახედვის და შეცდომების ნახვის საშუალება მოეცა, თუნდაც ქსეროასლებში, მაგრამ ამაოდ მათი დადგენილების საფუძველზე. რომელიც მე არადემოკრატიულად მეჩვენება, რწმუნებულს ამის უფლება არა აქვს.

***– ცსკ-ს ბრალად სდებენ, რომ იგი ხელისუფლების ხელში ოპოზიციური პარტიების სადამსჯელო იარაღად იქცა...***

– მოგეხსენებათ, საარჩევნო კანონის განხილვისას, ნორმალური კანონპროექტი უგულებელყვეს და გაიტანეს ხმების უმრავლესობით ის კანონპროექტი, რომელიც აწყობდა მოქალაქეთა კავშირს. ცსკ-ს წევრების უმრავლესობას ქმნის პრეზიდენტის და მოქალაქეთა კავშირის მიერ დანიშნული ხალხი.

***– შეიტანეთ თუ არა სარჩელი უზენაეს სასამართლოში და გაქვთ თუ არა იმედი, რომ მოსამართლე სწორ გადაწყვეტილებას გამოიტანს და დაწუნებული დეპუტატობის კანდიდატებს აღადგენს?***

– მინდა მჯეროდეს, რომ აღადგენს თუმცა გარანტია ცხადია არ მაქვს, რადგან სასამართლო იცით, რომ „მოქავშირის“ „ფრიადოსნებით“ არის დაკომპლექტებული. მაგრამ იმედი მაინც მაქვს, ჩვენ ხომ მართლები ვართ.

***– გარკვეული მიზნის მატარებელი წინასწარგანსაზღვრული ქმედება ხომ არ უნდა ყოფილიყო ცსკ-ს ამგვარი გადაწყვეტილება?***

– ძირითადი მიზეზი დეპუტატობის მაჟორიტარი თუ პროპორციული კანდიდატების დაწუნებისა ის გახლდათ, რომ შეფერხებული იყო საარჩევნო კამპანია, რომლის წარმოებაც, მოგეხსენებათ, ეკრძალებათ, ვიდრე უზენაესი სასამართლო არ გაამართლებთ, აქედან გამომდინარე, იძულებულნი არიან დაწუნებული კანდიდატები სასამართლოში ირბინონ.

ხელოვნური დამაბრკოლებელი ფაქტორი გახლდათ დეპუტატობის კანდიდატის მხრიდან 25 ლარიანი ქვითრის აუცილებელი წარდგენაც სასამართლოში.

***– ზოგიერთი პარტიის ლიდერმა გამოთქვა აზრი ცსკ-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, რომ ეს იყო დესტაბილიზაციისკენ ბიძგი, ანუ ერთ-ერთი მცდელობა არჩევნების ჩაშლისა. საერთოდ, მოსალოდნელია თუ არა არჩევნების ჩაშლა ან რას უნდა ველოდოთ ხელისუფლების მხრიდან?***

– მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყო წინასწარდაგეგმილი ხელისუფლების მხრიდან, რომ პარტიებს ძირითადი დრო სასამართლოში სირბილში დაეხარჯათ, როგორც გითხარით, მაგრამ არა მგონია, რომ ეს ნაბიჯი არჩევნების ჩაშლისკენ შეიძლება ყოფილიყო მიმართული. მოქალაქეთა კავშირი ყველანაირად ეცდება გაყალბებას, მიაღწევს კიდეც ამას გარკვეულ დონეზე, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ არჩევნების ჩატარება არ უნდათ. ერთი თვის შემდეგ, ნოემბერ-დეკემბერში, გამორიცხულია, რომ მათ ექნეთ შუქი, რომელსაც ძლივს აწვდიან არჩევნების წინ რაიონებს ან შეძლონ პენსია-ხელფასების დარიგება. არჩევნების გადადება მათ არ უნდა აწყობდეთ.

***– გაყალბების რამდენიმე მექანიზმი არსებობს, პოლიტიკური პარტიები აქტიურად აპირებენ გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლას. ცხადია, ზემოხსენებული მექანიზმებიდან რომელიმეს გამოყენებას მმართველი ძალა მაინც შეძლებს, რას უფრო უნდა ველოდოთ?***

– მმართველმა პარტიამ საკარანტინო მდგომარეობა გამოაცხადა შსს-ს ძალებზე. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ არჩევნების დროს იქნება ძალიან დიდი შეხლა-შემოხლა და აურზაური, ყველანაირი ილეთების გამოყენება დამთავრებული ცემა-ტყეპით და მე პროგნოზს გავაკეთებ. ეს მოხდება ძალიან ბევრ რაიონში. გაყალბების ძირითადი იარაღი მაინც დამატებითი სიები გახლავთ. აქ შეიტანენ, როგორც მკვდარ სულებს, ასევე იმ ხალხს, რომელიც ამ უბანში არ ცხოვრობს, მე ვარ მომსწრე, წინა არჩევნების დროს გარკვეული ჯგუფი შედიოდა დამატებით სიებში, უბან-უბან დადიოდა და აძლევდა ხმას... შესაძლოა, ახლაც იგივე განმეორდეს.

მოსალოდნელია, რომ მოქავშირე 31-შიც არ მოერიდება რეკლამას, თუმცა ეს კანონით დაუშვებელია.

მაინც იმედს ვიტოვებ, რომ არ მოვა ისეთი პარლამენტი, რომელიც საქართველოს ამ ხელისუფლებას აწყობს.

ბვერდი მოამზადა მანანა გელოვანმა

## ინტერვიუ

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: შევარდნაძე ისე ლაპარაკობს საქართველოს ჭირვარამზე, როგორც მარსიდან ჩამოსული კაცი

მე-2 გვერდიდან.

მუშავია მეავანაძესთან და ყველა ხელმძღვანელთან. მათ შორის ბატონ ედუარდთან და ვიცი დოკუმენტს რა ძალა აქვს.

***– თქვენი აზრით, როდის და რამ გამოიწვია ისეთი ურთიერთშეურაცხმყოფელი დამოკიდებულების გაჩენა ცენტრსა და აჭარას შორის, როგორიც დღეს არის?***

– ხელისუფლებას ჩვევად აქვს, ამოირჩევს რამეს ან ვინმეს და გამუდმებით მასზე საუბრობს, რომ მოსახლეობას დაანახოს, ჩვენ მართლები ვართ და თავი და თავი ჩვენი უბედურებისა „იმისგან" იწყება. მე არა მწამს ახლა იგორ გიორგაძის ტერორისტობის. ეს ხელისუფლება მშვენივრად არის მასთან შეკრული და გიორგაძეც ამათ წისქვილზე ასხამს წყალს. ასეთი ბინძური თამაში სადამდე შეიძლება გაგრძელდეს? გიორგაძის მტრის ხატით მესამე არჩევნებს იგებს ხელისუფლება. ხალხმა ხომ უნდა გაიგოს სიმართლე. ახლა ეს ელიავა ვერადა ვერ გამოიყვანეს ტყიდან. ამაზე დამამცირებელი რა უნდა იყოს ქვეყნისათვის, ეახლებიან ხელისუფლების წარმომადგენლები ტყეში „ტერორისტს". საქართველოს ერთ მტკაველ მიწაზე ვერ იჭერენ, მაგრამ არ უნდათ და როგორ დაიჭერენ?! ხვალ ადგება ელიავა და არჩევნების ნაშლას ეცდება, ამათაც ეს უნდათ, იტყვიან, იცით, არჩევნებს ვერ ვატარებთ იმიტომ და ამიტომო. არსებობს ელიავა, არსებობს გიორგაძე – დიდი ბუა. მგელი მოდის, მგელი მოდისო, იძახიან, პოლიტიკაში გაუცნობიერებელ მოსახლეობას აშინებენ და ამასობაში მართლა შეჭამა მგელმა მთელი საქართველო.

თავის დროზე ეს თქვა ასლან აბაშიძემ, შეეშვით ფსევდომტრების ხატვასო და ამის შემდეგ თვით აბაშიძე გადააქციეს მტრის ხატად.

***– არჩევნების წინ სანაოსნოს სკანდალმაც კულმინაციას მიაღწია. პროკურატურა აცხადებს, რომ მოხდება დამნაშავეთა დასახელებაც...***

– მე ვერავინ დამარწმუნებს, რომ ეს სწრაფად მოხდება. წარმოუდგენელია, როგორ უნდა დასახელდეს დამნაშავეთა გვარები, როცა გამოძიება არ ჩატარებულა. ამ საქმის მოკვლევა არის სერიოზული და ურთულესი პროცესი. წარმოიდგინეთ, ეს დაკავშირებულია საერთაშორისო სხვადასხვა სახის ერთობლივ საწარმოებთან ინგლისში, გერმანიაში და ა.შ. ჩვენი გემები სხვადასხვა ქვეყნის ალმებით დაცურავდნენ. იყო დარღვევები, ვინ არის ამის გამომძიებელი? აქ უნდა ჩაერიონ ისეთი სერიოზული სამსახურები, რომლებიც კავშირშია უცხოეთის გარკვეულ ორგანიზაციებთან. ამას ერთი და ორი წელი ნამდვილად არ ეყოფა, საჭიროა უცხოელი სპეციალისტები, ადვოკატები, იურისტები და დიდი ფული – ათეულ ათასობით დოლარი, ვინ გააკეთებს ამას?

ჩემს გაოცებას საზღვარი არა აქვს, როგორ შეიძლება პროკურატურამ ჩაატაროს პრესკონფერენცია იმ თემაზე, რომელიც გამოძიებული არ არის, როგორ შეიძლება, ვიღაცამ „გაგრძნობინოს" მინიშნებით დამნაშავეთა გვარები?!

წლების განმავლობაში ითხოვდა ასლან აბაშიძე, ყურადღებით მოეპყრობოდნენ საზღვაო სანაოსნოს, მაგრამ მის განცხადებას ყურადღებას არავინ აქცევდა. ახლა კი დამნაშავეებად აქეთ ჩვენ გამოგვიყვანეს. საბორნე გადასასვლელის გახსნაზე ბათუმში პრეზიდენტმა საზღვაო სანაოსნოს მუშაობას ძალიან კარგი შეფასება მისცა, კარგად ასრულებს თავის მოვალეობას, იმ დავალებებს, რომელსაც აძლევს ქვეყანა და სახელმწიფო. ეს მაშინ მოხდა, როცა ჩვენ პროკურატურაში უკვე აღძრული გვქონდა საქმე. საზღვაო სანაოსნოს საკითხი არათუ წელს და შარშან ან შარშანწინ იდგა დღის წესრიგში, 1993 წლიდან არის სერიოზული დაწოლა აჭარის მხრიდან, ჩაერიოს ცენტრი ამ საქმეშიო, რატომღაც ხელისუფლებას ეს საკითხი მხოლოდ არჩევნების წინ აგონდება, რომ ქულები დაიწეროს, ასე იყო წინა არჩევნების დროსაც.

***– რატომ გააკეთა პრეზიდენტმა ასეთი განცხადება?***

– პრეზიდენტი შესაძლოა შეცდომაში შეიყვანეს. მოგეხსენებათ ის თავის გამოსვლას არ აწერს თავად, მონაცემებს სამინისტროები აძლევენ. ამ შემთხვევაში, ვინაიდან ეს ეხებოდა საბორნე გადასასვლელს და დაკავშირებული იყო ტრანსპორტთან, ცხადია, ყველა ინფორმაცია წერილობითი სახით მიაწოდა ტრანსპორტის სამინისტრომ და იმ პიროვნებებმა, რომლებიც არიან პრეზიდენტის მრჩევლები ტრანსპორტის დარგში. აქედან გამომდინარე, გააკეთა პრეზიდენტმა თავისი მოხსენება, სადაც აქო და ადიდა საზღვაო დეპარტამენტი.

შეიძლება ხვალ და ზეგ ვიღაცამ იკითხოს კიდეც, პრეზიდენტი შეიყვანეს შეცდომაში? მე ვამბობ შეიძლება შეიყვანეს შეცდომაში, მაგრამ ამავე დროს, არა მგონია მთლად ასე მარტივად იყოს საქმე. პრეზიდენტს აწყობდა და უნდოდა ამის თქმა და თქვა, რაც არ უნდა დაგიწერონ, თუ თქვენ არ ხართ გამსჭვალული ამ ტკბილი სიტყვების თქმით, არ იტყვით.

***– რატომ აწყობდა შევარდნაძეს ამის თქმა?***

– იმიტომ, რომ პრეზიდენტს გარკვეული დამოკიდებულება ჰქონდა ამ საქმესთანაც, როგორც ყველა დანარჩენ საქმეებთან, ყველა ბიზნესთან, აღებ-მიცემობასთან (ცუდი თუ კარგი გაგებით). ყველაფერი სათავეს პრეზიდენტთან იღებს. ეს ყველამ უნდა იცოდეს. დღეს ჩვენი პრეზიდენტი (ვწუხვარ, რომ ის ჩემი პრეზიდენტია, მე უნდა გითხრათ, რომ პრეზიდენტი, რომელიც ამ ქვეყანაში არსებობს) ისე ლაპარაკობს საქართველოს ჭირ-ვარამზე, როგორც მარსიდან ჩამოფრენილი კაცი. და მე არ მიმაჩნია, რომ ის პრეზიდენტი, ეს არ გახლავთ ჩემი და საქართველოს პრეზიდენტი, ის მოქალაქეთა კავშირის პრეზიდენტია, ასეთი პრეცენდენტი მსოფლიოში არ არსებობს. არ არსებობდა არც ისეთი პრეცენდენტი, რომელიც შევარდნაძემ საქართველოში შემოიტანა, პარლამენტის თავმჯდომარე ხალხს აარჩევინა. პარლამენტის თავმჯდომარეს პარლამენტარები ირჩევენ და არა ხალხი საყურადღებო არჩევნებზე. დღეს, როდესაც პრეზიდენტი ამბობს რაღაცას, ყველაფერი სახელმწიფოებრივი აქვს გონებაში და ძალიან კარგად იცის, რაზეც ამბობს და რას ამბობს. იმ მომენტში მას ეს აწყობდა, რომ ეთქვა, რადგან გარკვეულწილად დაკავშირებულია ამ საქმესთან იმიტომ, რომ არაერთი დოკუმენტი არსებობს მისი ხელმოწერით გემების გაყიდვასთან დაკავშირებით. შეეშვათ რაღაც-რაღაცეების ერთმანეთზე გადაბრალებას და ყველამ ჩაიხედოს თავის გულში და უპირველეს ყოვლისა, ცენტრმა, როცა პატივცემული პრეზიდენტი ამბობს იმას, რომ თურმე უკონტროლო სიტუაცია შეიქმნა დასავლეთში და როცა ტრანსპორტის მინისტრი ამბობს იმას, რომ მან ვერ გააკონტროლა მის დაქვემდებარებაში მყოფი საზღვაო დეპარტამენტი, ეს ტრაგედიაა უკვე.

***– აჭარაზე მეტად ხელისუფლებას უფრო უნდა აწყობდეს მაშინ სანაოსნოს საქმის მიჩქმალვა?***

– არა, აქ მიჩქმალვაზე არ არის საუბარი, ეს გახლავთ უბრალოდ შექმნილი ხმაური იმისათვის, რომ გაშავდეს აბაშიძე. კიდევ კარგი მცხეთასთან არ არის შავი ზღვა, თორემ შეიძლება მცხეთის გამგებელი იყოს შავ დღეში.

**მანანა ლობჟანიძე**



# რას აწერდა ხელს ბოგდან ხმელნიცკი 1654 წელს?

ძალიან სცდებიან და ამიტომაც ვერც ჩასწვდებიან რუსულ-უკრაინული კამათის არსს ისინი, ვისაც ჰგონია, რომ ეს პრობლემა წარმოიშვა მხოლოდ ამა წლის ზაფხულში – სინამდვილეში მას გაცილებით შორეული და ღრმა ფესვები აქვს. დაუშვათ, რომ ისინიც და ესენიც მართლები არიან. მაშ, რატომ ხდება უმრავლეს შემთხვევაში, რომ როდესაც ერთი მხარე ცდილობს დაეყრდნოს მყარ ფაქტებს, მოწინააღმდეგე მხარე წამოაყენებს ხოლმე რადიკალურ შეხედულებებსა და ლოზუნგებს. შესაძლებელია, რომ ისტორიული უფლებების გზა (რომლებიც ხშირ შემთხვევაში ემხრობოდა ძლიერის უფლებებს) არც თუ ძალიან ნაყოფიერია, თუმცაღა წარსულის ცოდნა არავის უშლიდა ხელს უფრო კეთილგონიერი ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ეს არსებულ მითებზე უფრო საშიში არ გახლავთ. აი, ვთქვათ, „უკრაინის რუსეთთან შეერთების ისტორია (სწორედ „თან" და არა „და"), გამითებული ჯერ პეტერბურგის მეფეების, შემდეგ კი სტალინისა და ხრუშჩოვის ხანაში. მოვისმინოთ მეორე მხარის საკმაოდ თავშეკავებული პასუხი დიმიტრი დოროშენკოს წიგნიდან.

კაცმა რომ თქვას, პერეიასლავური, უფრო სწორად კი, მოსკოვური 1654 წლის ხელშეკრულება შედგენილი იყო ისე გაურკვევლად, რომ ორივე მხარე აშკარად დებდა მასში ერთმანეთისგან განსხვავებულ შინაარსს. ეს შინაარსი თითოეულს ისე სხვადასხვაგვარად ესმოდა, რომ დღემდე ისტორიის მეცნიერებას არ შეუძლია მივიდეს რაიმე ერთსულოვან გადაწყვეტილებამდე. როგორი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ხელშეკრულებას, რომელიც უნდა შექმნილიყო. სინამდვილეში კი როგორი მივიღეთ? მეცნიერული კამათი წარმოიშვა პირველყოვლისა „ხელშეკრულების" ფორმის გამო. საქმე ისაა, რომ ხელშეკრულების დედანი, რომელიც შედგა 1654 წლის მარტში მოსკოვში 11 პუნქტად, არ შემონახულა და დიდი ხნის მანძილზე იგი მიიღებოდა 14 პუნქტად, თავად ტრუბეცკოისა და იური ხმელნიცკის (უკრაინის გეტმანი (1641-1675) ბოგდან ხმელნიცკის უმცროსი ვაჟი) შორის 1659 წლის მოლაპარაკებების დროს ტრუბეცკის მიერ გადაცემულ იქნა ი. ხმელნიცკისთვის, როგორც „ბოგდან ხმელნიცკის სტატიები". მოსკოველი მეცნიერი გ. კარპოვი, რომელმაც პირველმა მიაქცია ყურადღება ამ საკითხს, ვარაუდობდა, რომ 11 პუნქტისაგან შემდგარი სტატია (რომელიც შემოინახა მოსკოვის არქივში შავი ხელნაწერის სახით) იყო მხოლოდ სტატიების ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი, ხოლო დასრულებული სახით კი თავად 1654 წლის 14 პუნქტისგან შემდგარი ხელშეკრულების ტექსტი შენახული იყო საიდუმლოდ ბ. ხმელნიცკის მიერ და გამოქვეყნებულ იქნა მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ 1659 წელს.

მაგრამ ყველაზე დიდი უთანხმოება გამოიწვია თავად ხელშეკრულების არსისა და მისი ისტორიულ-იურიდიული კვალიფიკაციის შეფასებამ. სახელმწიფოებრივ-სამართლის მცოდნე ისტორიკოსი ვ. სერგეევიჩი 1654წ. ხელშეკრულებას თვლიდა პირად უნიად ანუ ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს გაერთიანებად საერთო მონარქის სახით, რომელიც ემყარებოდა არჩევნებს, როგორც ეს იყო პოლონეთსა და ლიტვაში 1386 წელს, და რომ ამ გაერთიანებას უნდა ეარსება იქამდე, ვიდრე არსებობდა ალექსეი მიხაილოვიჩის დინასტია. ვ. სერგეევიჩის მოსაზრებას იზიარებდა სხვა რუსი ისტორიკოსი – ფილიპოვი. ნ. დიაკონოვი 1654 წლის ხელშეკრულებას ე.წ. „რეალურ უნიად" განიხილავდა, რომლის თანახმადაც ორი სახელმწიფო ერთ მთლიანობად გადაიქცეოდა და მათ ექნებოდათ საერთო დაწესებულებები. რუსი მეცნიერი ნ. კორკუნოვი („რუსეთის სახელმწიფოებრივი უფლებები") ვ. მიაგოტინი („უკრაინის სოციალური ისტორიის ნარკვევები") და უკრაინელი მეცნიერები: მ. გრუშევსკი, მ. სლაბჩენკო, ნაწილობრივ რ. ლაშენკო. 1654 წლის ხელშეკრულებას მიიჩნევდნენ ვასალურად, ანუ ხელშეკრულება ამყარებდა უკრაინის ვასალურ მდგომარეობას მოსკოვის წინაშე.

პროფესორი ბ. ნოლდე („სახელმწიფო უფლებების ნარკვევები") თვლიდა, რომ უკრაინა მოსკოვს შეუერთდა ავტონომიის შენარჩუნების საფუძველზე. პროფ. ვ. მიაგოტინი თავის უახლეს ნაშრომში „1654 წლის პერეიასლავის ხელშეკრულება" (1929წ.) უჩვენებს, რომ ხელშეკრულების საფუძველზე უნდა დამყარებულიყო არა უნია, და არა უკრაინის ვასალური ყოფა, არამედ მოსკოვის მიერ უკრაინის ინკორპორაცია; ცალკეული საზოგადო მდგომარეობის რამდენიმე გაფართოებით. მაგრამ პრაქტიკულად ეს ხელშეკრულება არ სრულდებოდა. მოსკოვის მეფე იცავდა უკრაინაზე თავის უმაღლეს უფლებებს, მაგრამ უკრაინის ტერიტორიაზე ამ უფლებებს არ განახორციელებდა ფინანსურ, ადმინისტრაციულ და სამართლებრივ სფეროში. კმაყოფილდებოდა რა იმით, რომ უკრაინა მას ამარაგებდა ჯარით, თავის მხრივ გეტმანი, რჩებოდა თავისი ჯარის სარდლად, იმავდროულად ფიცით უკრაინის მეფესთან, რომელიც თავის ძალაუფლებას განავრცობდა უკრაინის მთელ მოსახლეობაზე, გადასახადს კრეფდა და შეჰქონდა ადგილობრივ ხაზინაში და თავის განკარგულებაში ჰყავდა ადმინისტრაციული და სამართლებრივი ორგანოები.

ვ. ლიპინსკი (თავის მონოგრაფიაში „უკრაინა გარდატეხის პერიოდში", 1920) გამოვიდა მოსაზრებით, რომ 1654 წლის შეთანხმება იყო მოსკოვისა და უკრაინის ჩვეულებრივი კავშირი, რომელიც მიმართული იყო პოლონეთის წინააღმდეგ; ვ. ლიპინსკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, როდესაც უკრაინისთვის ჩაიარა მოსკოვთან კავშირის საჭიროებამ, ბ. ხმელნიცკიმ ასეთივე ხელშეკრულება დადო შვეციასთან, უკრაინისათვის გაცილებით მომგებიანი.

ვ. ლიპინსკი მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა „პერეიასლავური ლეგენდისგან" განთავისუფლება, რომელიც შექმნა ძველმა ისტორიოგრაფიამ და ამტკიცებს, რომ პერეიასლავური შეთანხმების იდეოლოგიური, სახელმწიფოებრივი სამართლებრივი არსი მდგომარეობდა მხოლოდ აუცილებელი პერიოდის გათვალისწინებაში. პერესლავალური შეთანხმების შეფასებისას თუ რას აძლევდა იგი რეალურად უკრაინას, მ. დრაგმანოვი წერდა (1876), რომ ნაკლოვანებების მიუხედავად, ეს შეთანხმება ატარებდა საზოგადოებრივი წყობის ისეთ სასიკეთო მარცვალს, როგორისკენაც ილტვიან დღეს დედამიწის განათლებული ადამიანები.

მოკლედ, როგორიც არ უნდა იყოს ამ შეთანხმების შეფასება, არ უნდა დავივიწყოთ ერთი რამ: ორივე მხარე, მოსკოვიც და უკრაინაც – თავისებურად აღიქვამდა და იყენებდა ამ ურთიერთობის არსსა და შესაძლებლობებს. მოსკოვი იყო რა თავისი „მაღალი მეფური მფარველობის" ქვეშ ჰყოლოდა უკრაინა, მოსკოვში პირველივე ნაბიჯებიდან ცდილობდნენ პროტექტორატი ინკორპორაციად გადაექციათ, გამოყენებული იყო გეტმანის ყოველი დაუფიქრებელი სიტყვა და ბუნდოვანი ფრაზა მოსკოვის ხელისუფალს მიმართ, რათა, რაც შეიძლება ფართო რეალიზაცია ჰქონოდა მოსკოვის გავლენას უკრაინაზე. მეორეს მხრივ, გეტმანსა და თემის მამასახლისს ნამდვილად ეგულებოდა მოსკოვის მეფე, დაე, თუნდ დროებით, მაგრამ მაინც პოლონეთის მიერ უკრაინის დამოუკიდებლობის წართმევის საფრთხეში, მფარველ ანგელოზად, ამის მიღწევა შეუძლებელი იყო თათრებისა და თურქების დახმარებით. გაკეთდა მცდელობა მოსკოვურ ალიანსზე.

**თარგმნა ირინე ბოჩაშვილმა**

ინტერვიუ

## მამუკა გიორგაძე: პოლიტიკური ქმედებები ბევრს მხოლოდ თეატრალიზებულ წარმოდგენად ეჩვენება

მე-3 გვერდიდან.

დააკვირდით, რაზე არის აწყობილი მათი საარჩევნო კამპანია. პლაკატებში, კლიპებში, სატელევიზიო გადაცემებში ძირითადად გამოყენებულია შევარდნაძე და სხვა ადამიანები, საკუთარი სახეები კი არ არის ფიქსირებული. თვითონაც იციან, რომ მათი სახეების გამოჩენას საზოგადოება გაღიზიანებით შეხვდება და ხშირ შემთხვევაში გინებით დამთავრდება. საზოგადოება უარყოფითად ხვდება მათ და ცდილობენ ფონს გავიდნენ შევარდნაძის ავტორიტეტით, სახელმწიფო სტრუქტურების მობილიზებით და შეგნებულად თუ შეუგნებლად მოტყუებული ადამიანების ეკრანზე გამოჩენით, რათა გაიიოლონ მდგომარეობა. საკუთარ თავზე მმართველი პარტიის წარმომადგენლებს ზუსტი წარმოდგენა აქვთ, მაგრამ არ ეთმობათ თანამდებობა, სკამი, რადგან იციან, საზოგადოებაში ამის გარეშე არაფერს არ წარმოადგენენ. შეხვედრებს მხოლოდ პარტიულ-სამეურნეო აქტივთან აწარმოებენ. მივიდნენ საზოგადოებასთან. გააღონ ფართოდ კარები და ესაუბრონ მოსახლეობას. არა, ისე მოქმედებენ, როგორც კომუნისტების დროს. დაპყავთ თავიანთი აქტივი, ჩაატარებენ დახურულ დარბაზში შეხვედრებს, დაუკრავენ ტაშს და ამით მთავრდება ყველაფერი.

***– „სახალხო“ შეკრული გუნდია. ამდენი ხნის განმავლობაში გუნდის შენარჩუნება არცთუ ისე იოლ საქმეს წარმოადგენს. როგორ ახერხებთ ამას?***

– გუნდს ვინარჩუნებთ იმით, რომ, უპირველეს ყოვლისა, ერთი იდეით ვართ დაკავშირებული. თითოეული მათგანი ამ იდეასთან არის შეკრული და აქედან გამომდინარე, გვეყოლება ერთმანეთთან თბილი, ჯანსაღი ურთიერთობები. ჩვენი პოლიტიკური საქმიანობა, პიროვნული ცხოვრება, ინტერესები დავუკავშირეთ მთავარს – ქართული სახელმწიფოს მშენებლობას. ჩვენი ერთიანობის გარანტია ამ შეხედულების ერთიანობაშია და არა როგორც ერთ პიროვნებაზე აგებული პარტიები. მე მინდა განვაცხადო, რომ, პრაქტიკულად, სახალხო პარტია ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც ხელისუფლების მიღმა, იატაკქვეშეთში შეიქმნა, განსხვავებით მოქალაქეთა კავშირისა, რომელსაც ჰყავდა პრეზიდენტი და მაშინ შეიქმნა, იგივე „აღორძინება“, რომელსაც სახელმწიფოს სტრუქტურაში ჰყავდა ხელმძღვანელი. ასევე სხვა პარტიები. სწორედ ამიტომაც გვაქვს დღეს ჩვენ ყველაზე მძლავრი მობილიზებული პროფესიონალური გუნდი. ერთმანეთთან იდეა და ქრისტიანული სიყვარული გვაკავშირებს. პარტია, რომელიც ქრისტიანულ ღირებულებებზეა დაფუძნებული, ბუნებრივია, რაიმე პიროვნული გაუგებრობის გამო ვერ იქნება შეყრული. ეს არის ჩვენი სიძლიერე. სამწუხაროდ, საზოგადოება არ იცნობს „სახალხოს“ დანარჩენ წევრებს, რადგან მათ არ ჰქონიათ შესაძლებლობა საჯარო გამოსვლებში გამოსულიყვნენ. მომავალ პარლამენტში, სადაც ჩვენ უფრო მძლავრად ვიქნებით წარმოდგენილი, საზოგადოება ნახავს, რომ იმ ხალხის გარდა, რომლებსაც იცნობს, მრავლად არიან „სახალხოში“ მაღალი დონის პროფესიონალები.

ჩვენ სხვებთან შედარებით სუფთებიც ვართ, ხელისუფლებას არ ძალუძს თუნდაც ერთი ფაქტი მოიყვანოს „სახალხოს“ ლიდერთა მოღვაწეობიდან, რომელიც ოდნავ მაინც შებღალავს მათ სახელს. ეს ერთ-ერთი პარამეტრია, რის გამოც მოქავშირს არ სურს გვიხილოს მომავალ პარლამენტში. მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ ამხილონ ბიუჯეტის, ხაზინის ქურდები, სახელმწიფო ქონების გამტაცებლები, რომელთაც არ მიუღიათ მონაწილეობა მსგავს ქმედებებში. ვხედავთ, რომ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები ერთმანეთს ტალახს ესვრიან, ამხელენ სხვადასხვა ბინძურ ქმედებებში. სახალხო პარტიის მისამართით ეს არ მომხდარა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენს გარშემო ტალახი არ არის. ამიტომაც ეშინიათ „სახალხოსი“. ის ზუსტად იმ წერტილში ურტყამს, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია და არა ისე, ვთქვათ, კონკრეტულ ჩინოვნიკებს გამოეკიდოს და არ თქვას მთავარი, საიდან მოდის ეს დანაშაული, სიყალბე, ამიტომაც გამოვდივართ რიხით. პოლიტიკაში ჩვენი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ერთი ლაქაც არ გვაქვს.

***– ერთიანი იდეის ქონამ და სისუფთავემ განაპირობა თქვენი „დიდგორთან“ შეერთება, თუ, უბრალოდ, ქალბატონ ირინა სარიშვილის თქმისა არ იყოს, დეკორაციისათვის გჭირდებოდათ?***

– უბედურება ის არის, რომ ბევრს პოლიტიკური ქმედებები მხოლოდ თეატრალიზებულ წარმოდგენებად ეჩვენება, რადგან თვითონ ისინი არ ცხოვრობენ ისე, როგორც ხალხმა უნდა იცხოვროს. სწორედ იმ ფესვებზე დაბრუნება, იმ ადამიანების პოლიტიკაში ჩართვა, რომლებმაც მთელი ამ ხნის განმავლობაში, მიუხედავად დევნისა, გაჭირვებისა, არ დაკარგეს სულიერი მხნეობა, შინაგანი ღირსება, ვერ იქნება დეკორაცია. ვერ იქნება გოგი ოჩიაური, ნოდარ წულეისკირი ვერავის დეკორაცია. მამუკა წიკლაურს, მიუხედავად აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობისა, ერთი ლექსიც არა აქვს ლენინზე დაწერილი. მას არ უთამაშია პოლიტიკაში. ეს ის ხალხია, რომლებიც კომუნისტების დროსაც გამოდიოდნენ ქართული ენის, ქართული სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად. როცა 20 წლის წინ ქალბატონმა მარიამ ბაღდავაძემ გამოაცხადა იმ დროისთვის უპრეცენდენტო, 32 დღიანი შიმშილობა, ბატონი ნოდარ წულეისკირი მას გვერდიდან არ მოსცილებია. საპროტესტო წერილიც გაუგზავნა ბრეჟნევს. ეს ის ხალხია, რომელთა შემოქმედებას, წარსულს, ერთი ლაქაც არ მოჰყვება. მათი ჩართვა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გააჯანსაღებს და გაალამაზებს ქართულ პოლიტიკას. სწორედ ამიტომაც გადავდგით ჩვენ ასეთი ნაბიჯი და არავითარ შემთხვევაში არ უკავშირდება საარჩევნო ბატალიებს. დღეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საქმეა გასაკეთებელი. ჩვენ მოვახერხეთ საკუთარ თავზე მაღლა დადგომა, როდესაც დაპირისპირებული მხარეები ერთად დავსხედით. ის რომ მხოლოდ ჩვენ მოვახერხეთ ის, რაც ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, უდიდესი წარმატებაა. სწორედ ასეთ პრინციპებზე დაფუძნებული შერიგება, ერთობა, ერთნაირი შეხედულებების ადამიანების შერიგება, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკური თუ პრაგმატული მიზეზების გამო იყვნენ დაპირისპირებულნი, გახლავთ საფუძველი იმისა, რომ ქართული ეროვნული ცნობიერება გამთლიანდეს და საქართველოს ყველა მოქალაქე ერთ სამართლებრივ სივრცეში იქნეს განხილული. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს ერთობა არ შემდგარიყო, რადგან ეშინიათ ქართული ეროვნული მუხტის გამთლიანების, პატიოსანი, სუფთა ხალხის ერთად დადგომის. ეს ერთიანობა მათ აკარგვინებს სკამს. ხელისუფლების წარმომადგენლები არ მინახავს ემოციური, როცა გალში ქართველთა დახვრეტილი გვამები ეყარა, როცა მათხოვრებად ქცეულ ბავშვებს ხედავდნენ, მაგრამ მინახავს აღელვებულები, როცა მათ სკამს საფრთხე ემუქრებოდა. ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ შეინარჩუნონ ადგილი.

***– ღვთის მოშიშ მამუკა გიორგაძეს ამ არჩევნებში რისი იმედი აქვს?***

– ღმერთის. სწორედ ეს არის ის, რისი გაცნობიერება და გამოთვლა არც ერთ საზოგადოებრივ აზრის გამოკითხვას, არც ერთ ათეისტ პოლიტიკოსს არ შეუძლია. ეს არის ძალა, რომელიც საქართველოში ბოროტების გამარჯვებას არ დაუშვებს, არ მოუსპობს ქართველ ხალხს იმედს. სანამ „სახალხო პარტია – დიდგორი“ იქნება ქრისტიანული ღირებულებების და ქართული ინტერესების დამცველი, ღმერთი ჩვენთან იქნება. რაწამს გადავუხვევთ, აი, მაშინ გვეშინია, რადგან ჩვენს პოლიტიკაში ყოფნას აზრი არ ექნება.

***– ველოდოთ „ძლევაი საკვირველს“?***

– უნდა ველოდოთ, დღეს საქართველოს შეუძლია ეს განახორციელოს.

**ამირიტა ჯანაშია**

## რატომ არ უნდა დავუჭიროთ მხარი მოქალაქეთა კავშირს

საარჩევნო კამპანია, როგორც იტყვიან, უფრო და უფრო ხურდება. ამ პროცესში ყველაზე მეტად მოქალაქეთა კავშირი გამოირჩევა აქტიურობით, მის მაქებარ-მადიდებელ კლიპებს ტელერადიო ეთერის ყველა არხი წალეკილი აქვს და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ ფუფუნებით სარგებლობა მხოლოდ დიდი ფულის მქონე ორგანიზაციას შეუძლია, ფული კი მოქალაქეთა კავშირს, როგორც წესი, არ აკლია, რადგან მოქავშირი უბრალო პარტია კი არ გახლავთ, არამედ სახელისუფლო პარტიაა, რომლის წევრობაც აუცილებელია მინისტრებისათვის, გუბერნატორებისათვის, გამგებლებისათვის და სახელმწიფოს მმართველობაში მყოფი ყველა სხვა თანამდებობის პირებისათვის. ამას ემატება ხელისუფლების ხელში შეყურე ბიზნესმენთა კასტა, რომელთა ფულიც მოქალაქეთა კავშირის ინტერესებს ემსახურება. მოკლედ, მოქალაქეთა კავშირი არის კლასიკური სახის ოლიგარქია, რომლის მმართველობაც სანამ იქნება, ჭეშმარიტი დემოკრატია ქვეყანაში ვერ დამყარდება და ტყუილ დაპირებებზე და სიცრუეზე იქნება აგებული ქვეყნის მმართველობა.

სიცრუისა და ტყუილი დაპირებების ნიმუშია მოქავშირის საარჩევნო ბიულეტენი, რომელიც მშვენიერ ქაღალდზე და უმაღლესი ხარისხით არის დაბეჭდილი, მაგრამ მისი გადაფურცვლისა და წაკითხვის შემდეგ მკითხველთა დიდი უმრავლესობა სინანულით იტყვის – ფუ, რა ფუჭად უშრომიათ, ამის ნაცვლად კი ერთხელ მაინც „ვეფხისტყაოსანი“ დაებეჭდათ ან „გამზრდელი“, ხომ აჯობებდაო, მაგრამ გაფუჭებულ საქმეს რაღა ეშველება და მოდით, პატივცემულო მკითხველო, თქვენთან ერთად გადავხედოთ მმართველი პარტიის ამ საარჩევნო ოპუსს.

პირველივე გვერდზე შემოგვანათებს ბატონ ედუარდის ფერადი ფოტოსურათი, საიდანაც იგი ისეთი მშვიდი და ნებიერი სახით შემოგვცქერის, თითქოს ომში დამარცხებული და შიმშილობამდე მიყვანილი გაუბედურებული ხალხის პრეზიდენტი კი არ არის, არამედ გალაღებული და მდიდარი ქვეყნისა, რომლის ხალხიც მისი მოღვაწეობის მადლიერი და ბედნიერია.

ბატონი ედუარდი მოუწოდებს ხალხს, კვლავ ენდეთ მოქალაქეთა კავშირს და თქვენ გაიმარჯვებთო. არა, ღმერთმანი, ამ გურულებს ეშმაკობაში მართლაც ვერავინ აჯობებს. იმიტომაც არიან პოლიტიკაში წარმატებულნი. რამ მოაფიქრებინა მაინც ეს, თქვენ გაიმარჯვებთო, თქვენო, თორემ ჩვენ რა, ჩვენ თქვენი მსახური უნდა ვიყოთო. არა, წესით, ასეც უნდა იყოს, ხელისუფლება ხალხს უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ ჩვენთან რომ პირიქით არის? ხალხი რომ ემსახურება ხელისუფლებას? ამის დასტურად ხალხური ლექსიც კი არის შექმნილი: – იმუშავეთ ვირებო, ჭამეთ მოქავშირეებო. ჰოდა, ჭამენ და ჭამენ გაუმაძღრად ზოგი ბიუჯეტის ფულებს, ზოგი კრედიტებს, ზოგი ხალხს ატყავებს, ამის საფუძველზე სრასასახლეებს იშენებენ, „მერსედესით“, „გრანდ-ჩეროკებით“ დასრიალებენ, ანტალიისა და ბაჰამის კუნძულების ზღვის სანაპიროებზე ირუჯავენ უკანალს, კაზინოებში ფანტავენ ხელის ჭუჭყს, ხოლო ხალხი არჩევნების წინა თვეს ახსენდებათ და მოუწოდებენ: გვენდეთ კიდევ, ხალხო, და აწი თქვენ აგაყვავებთ, თქვენთვისაც მოვიცლითო. ვენდოთ კიდევ ამ „კაცია-ადამიანებს?!“

საარჩევნო ბიულეტენი გვამცნობს, რომ პარლამენტმა 650-ზე მეტი კანონი მიიღო. მესმის, პელე ამაყობდეს, ათასი გოლი გავიტანეო, კანონების სიმრავლით ტრაბახი, რა წესია. მთავარი ის არის, ამ კანონებმა სიკეთე მოიტანეს თუ არა. ჩვენ კი ვხედავთ, რომ ჩვენი ქვეყანა კეთილდღეობისაგან შორს არის, მაშასადამე, ეს კანონები არ მუშაობს ისევ ხელისუფლების მიზეზით, ან კანონებია უვარგისი.

ისე, უნდა ითქვას, რომ ეს ბიულეტენი მოქავშირელთა თვითკრიტიკასაც შეიცავს, ეტყობა, მოსახლეობისათვის მთლად ნაცრის თვალებში შეყრა ვერ გაბედეს და თვითონაც აღიარებენ, რომ ხალხს „აწუხებს უფულობა, უმუშევრობა, სოციალური პრობლემები, არ არის აღდგენილი ტერიტორიული მთლიანობა“, ესო, უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე გვეგონაო. ამაზე რუსეთი იტყოდა: – ინდიუკ ტოჟე დუმალო, თქვე, დალოცვილებო, ინდაურები ხომ არ იყავით, რომ სხვაგვარად ფიქრობდით, ტვინი მეტად არ უნდა გაგენძრიათ და ხელები მეტად არ უნდა გაგექნიათ, რომ ქვეყანა დახრჩობისაგან გადაგერჩინათ?

სამაგიეროდ, მოქავშირი ამაყობს, რომ საქართველო ევროსაბჭოს წევრია, თითქოს იქ მიღებაზე, თუ მთლად კაციჭამია და ტერორიზმის ბუდე არ არის ქვეყანა, ვინმეს უარს ეუბნებიან. ევროსაბჭოელი რუსეთიც არის და მოლდავეთიც, უკრაინაც და სომხეთიც და რა არის ამაში ძალიან-ძალიან გასაკვირი, სიოცარია პირდაპირ. მახსოვს, სიჭაბუკეში, თავში ავარდნილი რომ მქონდა ყმაწვილური ვაჟკაცობა, ვამბობდი, ჯარში უნდა წავიდე – თქო, მამაჩემი მეუბნებოდა – ჯარში, შვილო, შენით კი არ წახვალ, არამედ წაგიყვანენო. მაშინ საბჭოთა წყობა იყო, მართლაც მომაკითხეს სამხედრო „ვილისით“ პრაპორშჩიკებმა, უკვე აღარ მეხალისებოდა ჯარში წასვლა, მაგრამ ძალით წამიყვანეს ჯარში. ისეა ეს ევროსაბჭოც, დასავლური რუსული იმპერიული ცივი ფარდის გადაწევის შემდეგ აფართოებს თავის საზღვრებს და მოიწევს აღმოსავლეთისაკენ. ეს არის კანონზომიერი პროცესი და ამ პროცესში მოყოლილია საქართველოც, ამიტომ, გულზე ხელების ბრაგუნი, რომ ევროპას ჩვენ ჩავახუტეთ საქართველოო, მხოლოდ გულუბრყვილოებზე გათვლილი ტყუილია. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ევროპას სურდა და ჩაგვიხუტა და თუ ხელს არ ვკრავთ ჩვენი ნებით, კი ვეყოლებით ასე ჩახუტებულნი. ამასთან დაკავშირებით ერთი ჭეშმარიტებაც უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდსა და ძლიერს შეუძლია ჩაიხუტოს პატარა და სუსტი, თუნდაც ეს ამ უკანასკნელს არ უნდოდეს, ხოლო პატარა და სუსტი დიდსა და ძლიერს ვერასოდეს ჩაიხუტებს, თუ ეს ამ უკანასკნელს არ სურს.

ამასვე უკავშირდება სერიოზული საერთაშორისო პროექტების: ნავთობსადენის, ე.წ. აბრეშუმის გზისა და სხვა პროექტების განხორციელება, რაც მისაღებია და ხელსაყრელია ამერიკისთვის და ევროპისათვის, ამიტომაც აბანდებენ აქ მილიარდობით დოლარს, თორემ თუ მათ არ აწყობთ, რაო, ჩვენი ხელისუფლების ლამაზი თვალებისათვის დააბანდებენ საქართველოში ფულს? არ დაიჯეროთ, რომ გველეშაპებივით ხარბი უცხოური კომპანიები სადმე სარგებელის გარეშე დიდძალ ფულს გადაყრიან.

მოქალაქეთა კავშირი ამაყობს, რომ იზრდება საქართველოს ბიუჯეტი, რომელიც დედის გამომშრალ ძუძუს ჰგავს და ვერცერთ სტრატეგიულ სფეროს ვერ აკმაყოფილებს. ეს კი ქვეყნის ხელმძღვანელობის მცდარი ეკონომიკური

გაგრძელება მე-8 გვ

**რუბრიკა – გზა საქართველოს პარლამენტისაკენ...**

# ჩემი ხალხისთვის გავაკეთებ იმივეს, რასაც დღემდე ვაკეთებდი...



ვალერი გელაშვილი

**მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი**



დაუვიწყარია რუსთაველის თეატრის გასტროლები ლიტვაში, მით უფრო სასიამოვნო და სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ჩვენი ერთ-ერთი სპონსორი გახლდათ უანგარო მასპინძელი ვალერი გელაშვილი, რომელსაც ვილნიუსში დიდი წონა და დაფასება აქვს. თეატრის დასი დღემდე იხსენებს ვალერი გელაშვილის ოჯახში გამართულ გამოსათხოვარ წვეულებას, სადაც მიწვეული ვიყავით არა მარტო ჩვენ, არამედ მთელი ელიტარული ვილნიუსი – თეატრალური საზოგადოება. ასეთი ლამაზი და მაღალი დონის მეჯლისები იშვიათად გვქონია.

როგორც ქართველს, მეამაყება, რომ საქართველოს ჰყავს ასეთი კარგი ვაჟკაცი, თავისი არაჩვეულებრივი მეუღლით და ულამაზესი ოთხი შვილით.

ყოველ დიდ საქმეში გზას დაულოცავ ვალერი გელაშვილს.

თქვენი კახი კავსაძე.

***– ბატონო ვალერ, რატომ გადაწყვიტეთ ბიზნესიდან პოლიტიკაში მოსვლა?***

– ჩემი საქმიანობის პერიოდში უამრავჯერ წავწყდომივარ ბიუროკრატიულ აპარატს, სახელმწიფო ჩინოვნიკებს, რომლებიც ხელს უშლიან საქართველოში ბიზნესის განვითარებას. ბიზნესი კი საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოგეხსენებათ, რეალური საფუძველია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა, რომელიც შემდგომში საფუძველთა საფუძველი იქნება ქვეყნის სულიერი და ზნეობრივი აყვავებისა და საშუალებას მოგვცემს ვიცხოვროთ სწორედ ყოველი ჩვენთაგანისათვის საოცნებო თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში.

***– თქვენი საქმიანობა ძირითადად რა სფეროს მოიცავს?***

– მოკლედ გეტყვით, ძირითადად ვსაქმიანობ ლიტვაში. 1991 წელს ჩამოვაყალიბე დახურული სააქციონერო საზოგადოება, რომელიც აწარმოებს ტრანზიტულ გადაზიდვებს. აგრეთვე ქ. ვილნიუსში ვხელმძღვანელობ სავაჭრო სახლ „ვ+გ"-ს, რომელიც მოიცავს მაღაზიებს, სასტუმროებს, რესტორნებს. – ერთ-ერთი ჩემი სასტუმროს შენობა, რომელიც ვილნიუსის ყველაზე პრესტიჟულ ქუჩაზე მდებარეობს, XIV საუკუნეს განეკუთვნება. რესტავრაციის დროს შევინარჩუნე ყველა ის ნახატი და ჩუქურთმა, რომელიც სპეციალისტების აზრით, იმავე საუკუნეს განეკუთვნება. საერთოდ ჩემი ჰობი, ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი საქმიანობაა ძველი შენობების რესტავრაცია და მათთვის პირვანდელი სახის დაბრუნება. გარდა ამისა, მაქვს ტერმინალი, ასეთივე ტერმინალის აშენებას ვამთავრებ საქართველოში, კერძოდ, ხაშურში, რომელიც მოიცავს მთელ კომპლექსს, სასტუმროსა და რესტორნის ჩათვლით.

თბილისში მაქვს პლასტიკატების ქარხანა. მოკლედ, ბევრ სფეროში ვმოღვაწეობ, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამით თქვენს დროსაც დავზოგავ და თავსაც არ შეგაწყენთ. მხოლოდ ერთი რამე მინდა ვთქვა – ცოტა მეტი ხელშეწყობა რომ მქონოდა მთავრობის მხრიდან, უფრო მეტ კარგ საქმეებს გავაკეთებდი ქვეყნისთვის.



ბალე არ უნდა გასაკვირი იყოს თქვენთვის, ჩემი და ვალერი გელაშვილის ნაცნობობა ქიდათმით დაიწყო. იცით, ალბათ, სპორტის ამ სახეობაში მას დიდი წარმატება ჰქონდა. მაემვიებში ჩემს მიერ მიღწეული მედლებში ქიდათმაში გარკვეულწილად ვალერის დამსახურებაც იყო. მოგვიანებით, როგორც მიზნესმენს და ჩამოყალიბებულ პიროვნებას, ვილნიუსში შევხვდი. მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ ვალერი გელაშვილი იმ წრეს საზოგადოების ღირსეულ წარმომადგენს, ვისაც საერთოდ უნდა ადამიანების არა მარტო კეთილდღეობაზე, კანონიერების დონეზე ცხოვრება, ქვეყნის წინსვლა, არამედ დიდი სურვილი აქვს თავის გვერდით მყოფ ადამიანებს მოუტანოს სიკეთე და მედნიერება. მე უაღრესად დიდ პატივს ვცემ ამ უკვე გამოჩენილ ქართველს – ვალერი გელაშვილს და ვიცი, რომ მის მიმართ ამ პატივისცემას უამრავი ადამიანი იზიარებს.

ზაზა პაპუაშვილი – რუსთაველის თეატრის მსახიობი



უმთავრესად ტაძრებს მეფეები აშენებდნენ და ეს ტრადიცია საუკუნეებიდან საუკუნეებს გადაეცემოდა მათი სახელის უკვდავსაყოფად. ამ საზომით თუ მივუდგებით, ვალერი გელაშვილი ისტორიაში შესულია. ფაქტი სახეზეა – მის მიერ აშენებული ულამაზესი ტაძარი ამშვენებს ხაშურს.

ჯუმბერ გლუნჩაძე.
ისტორიკოსი, ხაშური, სოფ. სათივე

***– ახლანდელი არჩევნები ერთგვარი დაძაბულობით გამოირჩევა. თქვენთვის სიძნელეს ხომ არ წარმოადგენს მასში ჩართვა?***

– მართალი გითხრათ, ამ საკითხთან დაკავშირებით პრობლემა არ მაქვს. ჩემი საქმიანობით, ჩემი გაკეთებული საქმეებით გულწრფელად მივდივარ ხალხთან, ამომრჩეველთან. სიმართლე გითხრათ, არაფერს არ ვპირდები. ვფიქრობ, რომ გავაკეთებ იმას, რასაც დღემდე ვაკეთებდი და ამუშავებული საწარმოები, ფაბრიკა-ქარხნები იქნება მათი კეთილდღეობის გარანტი.

**საუბარი სატელეფონო ზარმა გაგვაწყვეტინა.**

***– ბატონო ვალერ, ვის ესაუბრებით, რა ლონდონზეა ლაპარაკი?***

– შვილს ვესაუბრე. შეიძლება თუ არა ლონდონში წავიდეო.

***– ლიტვიდან გირეკავდათ?***

– არა, ინგლისშია მალვერნში, კოლეჯში სწავლობს.

***– თუ საიდუმლო არაა, რამდენს იხდით სწავლის საფასურს?***

– 20000 ფუნტს.

***– ასეთ დიდ თანხას?***

– ახლა ერთია და წინა წლებში ოთხი მყავდა იგივე სასწავლებელში.

***– ოთხი ვინ? რამდენადაც ვიცი, თქვენი ორი შვილი ჯერ პატარაა...***

– შვილი და ძმისშვილები.

***– ახლობლებიდან დაგიწყიათ და ალბათ, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილების, დიდი მეცენატების და ქველმოქმედების – სარაჯიშვილის, ხოშტარიას და ა.შ. მაგალითს მიბაძავს თქვენი შესაძლებლობების ადამიანი...***

– ვნახოთ, ესეც შესაძლებელია. ფუჭი დაპირებები არ მიყვარს (იცინის).

***– გვსმენია, რომ თქვენი სურვილი იყო ხაშურში ახალი ტიპის სკოლის გახსნა. რომელიც ძირითადში იქნებოდა საერო, მაგრამ სასულიერო პირები გაუძღვებოდნენ.***

– ამ სურვილს ასრულება უწერია მეუფის ლოცვა-კურთხევით.

***– ჩვენთვის ცნობილია, რომ ვილნიუსში დაიბეჭდა და თქვენი მეოხებით ქართველმა მკითხველმა მიიღო მეტად საინტერესო წიგნი: „მზითვის წიგნი". წიგნის გამოცემაში თანადგომა გვაფიქრებინებს იმას, თუ რამდენად გაცნობიერებული გაქვთ ის, რომ საქართველოს დღეს ყველაზე მეტად სჭირდება წიგნიერება და მაღალი სულიერება. „მზითვის წიგნი"-ს გამოცემას გამომცემელთა გარდა, ალბათ, შთამომავლობის მადლიერებაც დაემატება. სახარებაც გვასწავლის: – ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებული იქნებიანო...***

– სიმართლე გითხრათ, მაშინ ამდენ რამეზე არ მიფიქრია. უბრალოდ, მთხოვეს და დავეხმარე. ჩემთვის ყველაზე დიდი კომპენსაცია ამ საქმესთან დაკავშირებით ის იყო, რომ ეს წიგნი ორი წლის განმავლობაში ხაშურის რაიონის სკოლების კურსდამთავრებულ ქალიშვილებს და ახალგაზრდა პედაგოგებს უფასოდ ურიგდებოდა.

***– ვიდეოფირზე ვნახეთ თქვენი მაღაზიები, სასტუმროები, რესტორნები, ტერმინალი, სახლი სადაც ცხოვრობთ. მანქანაც ბევრი გექნებათ. რომელ ფირმას ანიჭებთ უპირატესობას?***

– ჩემი ოჯახი სარგებლობს „მერსედესის" ფირმის ავტომობილებით. მეც, მეუღლეს და ქალიშვილსაც „მერსედესები" გვყავს. დანარჩენები პატარები არიან და, ალბათ, მომავალში ისინიც ამ ფირმის მანქანებით ისარგებლებენ.

გარდა ამისა, მაქვს სატვირთო მანქანები, რომლებიც პასუხობენ ჩემი ფირმის მოთხოვნებს.



მინდა ჩემი შვილი საქართველოში იყოს. ქართველმა კაცმა საქართველოში უნდა იშრომოს.

ლამარა გელაშვილი

***– ქართველი კაცის ბუნებიდან გამომდინარე, ვგულისხმობ თანდაყოლილ არისტოკრატიზმს, თქვენ ცხენებიც გეყოლებათ.***

– ცხენი ჩემი ახალი გატაცებაა. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ცხენი მყავს, ჟოკეის ჩავაბარე და უნდა გითხრათ, რომ ოთხი წლისაა და უკვე წარმატებები მოიპოვა შეჯიბრებებზე.

***– „ჩქარი გრგვინვა – გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები..." პოეზიისთვის თუ იცლით?***

– „ეს შემოდგომის დღეებიც გავლენ, ხსოვნას შერჩება ათასში ერთი"...

***– მივხვდი, ოთარ ჭილაძის პოეზია გიყვართ. პროზაზე რას იტყვით?***

– ილია ჭავჭავაძეს ვკითხულობ ხშირად. მარკესიც მომწონს, ბუენდიების ოჯახის ისტორიაზე რომ არაფერი ვთქვა, ყავა „ბუენდიაც" ჩემი საყვარელი სასმელია.

***– გამახსენდა, ვილნიუსში საქართველოს საკონსულოს გახსნასთან დაკავშირებით თქვენი სახელი ფიგურირებდა...***

– ამაზე საუბარს ამ შემთხვევაში არ ვთვლი საჭიროდ. უბრალოდ, მე გავაკეთე ის, რასაც ყველა ქართველი გააკეთებდა, თუ შესაძლებლობა მიეცემოდა.

***– ვალერ, მაინც ადამიანისთვის მთავარი რა არის, ფული?***

– ფული აუცილებელია, მაგრამ მთავარი არ არის. ფულის გულისთვის ის, რაც ადამიანს არ ეკადრება, არ უნდა იკადროს. მთავარი პატიოსნებაა.

***– რას ნატრობს ვალერი გელაშვილი?***

– რას ვნატრობ, იცით? იქ, ვილნიუსში, სულ საქმეებში ვარ, ერთი წუთით მოცლა არა მაქვს, აქ ჩამოვდივარ, საქმეების გარდა, უამრავი ნაცნობ-მეგობარია. ვის რა უჭირს, ვის რა დახმარება უნდა, ყველას პასუხი უნდა გასცე. სხვანაირად არ შეიძლება, არ გამოდის... ხანდახან საკუთარ თავთან განმარტოება მენატრება. ამას გაგიმხელთ, ოღონდ ეს გაზეთში არ დაწეროთ.

***– მაგას ვერ შეგპირდებით. ისე, თქვენთან საუბარი სასიამოვნოა, მაგრამ ძალიან გაგვიგრძელდა. რით დავამთავროთ?***

– ქართველებს გვყავს ერთი წმინდა და ბრძენი კაცი – ილია ჭავჭავაძე. იმის სიტყვებით დავამთავროთ:

„ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება – იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ-ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი..."



ვალერი გელაშვილი ლიტვაში იქნება თუ საქართველოში, ყოველთვის ერთგულ საქმეს გააკეთებს, მერწმუნეთ!

ბუბა კიკაბიძე

**რუბრიკას უძღვება იზოლდა ცირდავა**



ინტერვიუ

# *გიორგი ხოშტარია:* ჩვენთან დასავლეთს კი არა, მის სუროგატს ნერგავენ



***– ბატონო გიორგი, თქვენ პოლიტიკურ ცხოვრებაში კარგა ხანი არ ჩანდით. რამ გამოიწვია აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოჩენა?***

– მე პოლიტიკიდან არც წავსულვარ. მთელი ამ ხნის განმავლობაში მიდიოდა აქტიური მუშაობა, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებ ხილული იყო. ეს იყო ბრძოლა ეროვნული მოძრაობის გამთლიანებისთვის. 1992 წლიდან ამისთვის ბრძოლა, ცალკე თუ სხვებთან ერთად, არ შემიწყვეტია. უბრალო პოლიტიკური ანბანია, რომ გახლეჩილი ერი ვერასდროს ვერაფერს ვერ მიაღწევს. რანაირი მწარეც არ უნდა ყოფილიყო ერთმანეთის მიმართ მიყენებული ტკივილი, ბრალდება, ვცდილობდი რაღაცნაირად მაგალითი მიმეცა საკუთარ თავზე ყველაფრის დაბრალებით და გამთლიანების პროცესზე მემუშავა. ვფიქრობ, რომ რაღაცას მივაღწიეთ.

რაც შეეხება ჩემს წინა პლანზე გამოჩენას, ეს მოხდა იმიტომ, რომ გარკვეულ პოლიტიკურ ბლოკში დავფიქსირდი. საერთოდ კი, საზოგადოებრივი ცხოვრებიდან არასოდეს არ წავსულვარ. 1992-96 წლებში აქტიურად ვმუშაობდი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე. მე ვარ ერთადერთი საქართველოში, ვისაც გადაეცა ლილიან ჰელმანისა და დაშილ ჰამეტის ფონდის გრანტი ადამიანის უფლებებისათვის გამოჩენილი მამაცობისათვის. ეს გრანტი 1995 წელს გადმომცეს. 3 პოლიტიკურ პროცესზე ვიყავი საზოგადოებრივი დამცველი. განძის გატანასთან დაკავშირებითაც მე ჩემი პოზიცია გამოვხატე. ასე რომ, არ არის საზოგადოებრივი პრობლემა, სადაც ჩემი სიტყვა არ მითქვამს.

დღეს პოლიტიკა ბევრად უფრო ჭკუჭყიანი გახდა, ვიდრე იყო. მაშინ მართლა ეროვნული ბრძოლა იყო. ხნიერი კაცის კაპრიზული ტონით კი არ ვლაპარაკობ, მართლა ასეა. ბევრად მეტი უანგარობა, რომანტიზმი იყო.

***– რომანტიზმი პოლიტიკაში მაინცდამაინც მომგებიანი არ არის...***

– ხანდახან არის. რომანტიზმი რომ არ ყოფილიყო, ვერც ნაპოლეონი იქნებოდა, ვერც დე გოლი და სხვა.

პოლიტიკა თავისთავად არის რეალობის ხელოვნება. მაგრამ თუ რეალური პოლიტიკა იდეალიზმს არ ემყარება, ის უკვე ინტრიგანობა, კარიერიზმია და არა პოლიტიკა. ყველა დიდი პოლიტიკოსი დიდი იდეალისტი იყო.

***– ეროვნული ძალები ქართულ პოლიტიკაში არის, თუნდაც „მესამე გზა". რატომ გადაწყვიტა „დიდგორმა" მაინცდამაინც „სახალხოსთან" მისვლა?***

– ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში ის, რომ „სახალხო" არის ერთადერთი რეალური ძალა, რომელიც უპირისპირდება არსებულ ხელისუფლებას და ამავე დროს თავისი პლატფორმით, იდეოლოგიით, პრაქტიკულად, ჩვენი იდენტურია. არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც უანგარონი და ხელისუფლებასთანაც დაპირისპირებულნი არიან, მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, რეალურ ძალას აღარ წარმოადგენენ. მათთან გაერთიანება დონკიხოტობა იქნებოდა, რომელიც პოლიტიკაში წამგებიანია როცა უკავშირდები, რეალურ ძალას უნდა დაუკავშირდე. მაგრამ ამავე დროს ეს ძალა არ უნდა იყოს თვითმიზნური ძალა ძალისთვის – ოღონდ კი მოხვდე პარლამენტში. ჩვენთან ძალიან ცოტა აქცევს ყურადღებას ბაზისურ მხარეს, პოლიტიკურ მიზნებს და ეს, ჩემი აზრით, არის პოლიტიკური კულტურის დაბალი დონის შედეგი. როგორ შეიძლება მემარჯვენეობას იჩემებდე და იყო ლეიბორისტებთან, ან პირიქით. ჩემთვის მემარჯვენეობა და მემარცხენეობა არ არის ლიტონი სიტყვები, ეს არის პროგრამა, მიზნები, რომელიც ადრე თუ გვიან იჩენს თავს ყველა სფეროში.

თქვენ ახსენეთ „მესამე გზა". მე მინდა მჯეროდეს, ის ნამდვილად დაპირისპირებულია მმართველ ძალასთან. მე ეს არ მჯერა.

***– რატომ გჯერათ, რომ „სახალხო" ნამდვილად ოპოზიციური პარტიაა?***

– მე სამ წელზე მეტ ხანს ვაკვირდებოდი მათ ქმედებას. ამ ხნის განმავლობაში ვხედავდი, რომ ირინა სარიშვილი ბევრად უფრო ლოიალური იყო შევარდნაძის მიმართ, ვიდრე მამუკა გიორგაძე. ედპ და „სახალხო" რომ გაიყო, ეს არ იყო პირველობისათვის ბრძოლის შედეგად გახლეჩა.

როდესაც 7%-იანი ბარიერის საკითხი დადებითად გადაწყდა, ძალიან ემოციურად გადაეხვივნენ ერთმანეთს ირინა სარიშვილი და მიხეილ სააკაშვილი. არა მგონია, რატომღაც მამუკა გიორგაძე და სააკაშვილი ერთმანეთს საერთოდ როდესმე გადაეხვიონ ერთმანეთს.

***– მაგრამ რამდენად მიზანშეწონილად, გამართლებულად მიგაჩნიათ შევარდნაძის მეგობრის – ნუგზარ ფოფხაძის, ბლოკში მოსვლა?***

– პოლიტიკაში არსებობს პრაგმატიზმი. ერთი კაცი რომ გამოჩნდება, ამით ვერაფერს ვერ შეგიცვლის. ნუგზარ ფოფხაძე გუნდით რომ გამოჩენილიყო, ეს სხვა საკითხია. მის უკან პარლამენტში არავითარი გუნდი არ იქნება. თუ ეცდება გააკეთოს ის, რაც არ გვსურს ჩვენ, დამერწმუნეთ, არავითარი პრობლემა არ იქნება, მისგან დისტანცია დავიცვათ. მე საერთოდ არ მესმის ფოფხაძის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის. რა ბუა გახდა. ნუგზარ ფოფხაძე ჭკვიანი კაცი რომ არის, მტერმაც და მოყვარემაც იცის. რატომ არ შეიძლებოდა ჭკვიან კაცს დაენახა, რომ ნომენკლატურა არასწორად მოქმედებს და იძირება. მას მე დიდი ხანია ვიცნობ. ერთი რამე ჰქონდა გამორჩეული სხვა ნომენკლატურული პირებიდან – დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება იცოდა. არ ვამბობ, არსენა მარაბდელი იყო-მეთქი, მაგრამ დამოუკიდებელი ქმედების უნარი სხვებზე მეტი ჰქონდა.

ნუგზარ ფოფხაძეს თუ გულში კარგი რამე უდევს – კარგი გამოუვა, ცუდი თუ უნდა – ჩვენგანაც ცუდს წაიღებს.

***– ბატონო გიორგი, ნათქვამია, შეცდომებზე სწავლობენო. ბოლო ათწლეულის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდა, ბევრი შეცდომაც იყო. თქვენ იყავით გამსახურდიასდროინდელ უზენაეს საბჭოში. რა შეცდომები იყო ისეთი, რომელიც უნდა გაითვალისწინოს დღევანდელმა პოლიტიკოსმა?***

– ჯერ ერთი, ბრძოლა მოგების შემდეგ იწყება და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რაღაცის მიღწევის შემდეგ მოდუნება. მეორე, იდეალური პარტნიორები არ არსებობს, უნდა ეცადო, დადებითი მხარე გაამახვილო, უარყოფითი – შეარბილო, და მთავარი – გუნდი არ უნდა დაიშალოს, ეს ყველაზე დიდი დანაშაულია, რადგან მას შეიძლება მოჰყვეს მთელი საქმის ჩაძირვა. პოლიტიკა სუფთა გუნდური თამაშია, მაგრამ ეს არ ნიშნავს პიროვნების ნიველირებას, პირიქით, ისეთი გუნდია კარგი, სადაც პიროვნება მაქსიმალურად ავლენს თავის ინდივიდუალობას, პოტენციას, რა თქმა უნდა, გუნდის ინტერესებში.

***– რას ნანობთ ყველაზე მეტად, რა ნაბიჯს. პოლიტიკა მაქვს მხედველობაში...***

– ბოლო ათწლეულის განმავლობაში არ არსებობს ფიგურა, რომელსაც თავისი სიტყვა ეთქმოდა პოლიტიკაში, შეცდომა არ ჰქონდეს დაშვებული. მათ შორის მეც. ამას რომ ვამბობ, არ მინდა ეს თვითგვემად ვაქციო. ხშირად მილაპარაკია ტელევიზიითაც და პრესითაც საკუთარ შეცდომებზე, მოდით, ახლა სხვებმა ილაპარაკონ.

***– რითი ამაყობთ?***

– ვამაყობ იმით, რომ მე მომიწია იმ მოძრაობაში ყოფნამ, თანაც აქტიურ პოზიციებზე, რომელმაც მიაღწია ბოროტების იმპერიის – საბჭოთა კავშირის – დაშლას და საქართველოს დამოუკიდებლობას. ჩემი საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს პრაქტიკულად შევხვდი დასავლეთის წამყვან პოლიტიკურ ძალებს. მათ უნდოდათ საბჭოთა კავშირის შენარჩუნება შელამაზებულ ფორმებში. მე, ჩემი პოსტის გამო, ხშირად მიწევდა სხვადასხვა კონფერენციებზე და შეხვედრებზე ყოფნა და ყოველთვის, როგორც კატონი გაიძახოდა, „კართაგენი უნდა დაინგრეს", ვიმეორებდი, საბჭოთა კავშირი უნდა დაინგრეს-მეთქი.

***– რადგან დასავლეთზე ჩამოვარდა საუბარი, მინდა გკითხოთ, დასავლური სამართლის, კანონების გადმოღება რამდენად სწორად მიგაჩნიათ?***

– მე, როგორც ხელოვნების ისტორიკოსმა და კულტურის სპეციალისტმა, ვიცი, რომ საქართველო გახსნილი იყო აღმოსავლეთისკენაც და დასავლეთისკენაც. უფრო დასავლეთისკენ. ქართული კულტურა ერთგვარი სინთეზია აღმოსავლურ-დასავლურის. ზომიერების გრძნობა ჩვენში მყარად ზის. ქართულ კულტურას განსაკუთრებით მაშინ უჭირს, როცა ზომიერების გრძნობას კარგავს, როცა ვარდება პროვინციალიზმში, ამბიციურობაში, მანერულობაში. ფიროსმანის და ვაჟას ქართველს დედამიწის ზურგზე არაფერი სჯობია.

დასავლეთთან, რა თქმა უნდა, უნდა გვქონდეს ინტენსიური ურთიერთობა, მისგან ძალიან ბევრის სწავლა და გადმოღება შეიძლება, მაგრამ ყოველგვარი ბრმა გადმოღება და მიბაძვა არის დამღუპველი. ქართული კულტურა სპეციფიკურია და დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მოარგებ დასავლურ წესს ქართულ რეალობას. ჩვენთან დასავლეთს კი არა, მის სუროგატს ნერგავენ. ამას მიჰყავს საქართველო მესამე სამყაროს ქვეყნად ჩამოყალიბებისაკენ. ამას ხშირად არ ითვალისწინებენ. ჩვენთან ცოტა მარტივი სქემა მუშაობს – ან საბჭოური სოციალიზმი, ან დასავლური სტილის სამართლებრივი სახელმწიფო, რომელსაც ადრე კაპიტალიზმს ვუწოდებდით. მაგრამ არ ითვალისწინებენ, რომ სამყაროში, განსაკუთრებით, ლათინურ ამერიკაში, აზიაში და ა.შ. ბევრია მესამე სამყაროს ტიპის ქვეყნები, რომლებიც გამოირჩევიან სწორედ ამ სუროგატულობით – პოლიცეური რეჟიმები, საბაზრო ეკონომიკის პრაქტიკული არარსებობა კლანების ჩარევის შედეგად. ეს არის „კრიშების" ეკონომიკა. მთავარი ამოცანაა ამის დაშლა. ასეთი ეკონომიკით და პოლიტიკით შეიქმნება საშუალო ფენა, რომელიც არის ქვეყნის ეროვნული სუვერენიტეტის გარანტი. ამერიკის ბიუჯეტის 70% ქმნის საშუალო ფენა.

კერძო საკუთრების გარეშე ქვეყანა ეკონომიკურ წარმატებას ვერ მიაღწევს, მაგრამ თავისთავად ჯერ ეს არ კმარა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ანტიმონოპოლური კანონის რეალურად მუშაობას. კონტროლის პალატამ უნდა გააკონტროლოს შემოსული ტრანშები და სესხები. გამჭვირვალობის პრინციპი უნდა იყოს. ეს არ ხდება იმიტომ, რომ თანამდებობებზე არიან კომუნისტები, რომლებმაც კაპიტალისტობა გადაწყვიტეს.

არ არსებობს ხალხი, რომელიც იქნება სწორი პოლიტიკური კურსის გამტარებელი, რომელსაც ეყოფა ნებისყოფაც და სინდისიც. დღეს ხელისუფლებაში ასეთ ადამიანებს ვერ ვხედავ.

*ბატონ გიორგისთან საუბარი პოლიტიკას შეეხებოდა. მე კი მინდოდა, როგორც ისტორიკოსთან, ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტთანაც მესაუბრა:*

– თავისუფალ დროს ჩემს ორივე სპეციალობას ვუთმობ. ვკითხულობ, ვწერ. საერთოდ, მხატვრულ ლიტერატურაზე მეტად ისტორიულს ვკითხულობ. თუ რამე ახალი წიგნი გამოჩნდება საგარეო პოლიტიკის, გეოსტრატეგიის შესახებ, სიამოვნებით ვეცნობი. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მჭირდება, არამედ ჩემი ჰობიცაა.

***– აქტიურ პოლიტიკაში მოსვლა ამაში ხელს ხომ არ შეგიშლით?***

– სიმართლე გითხრათ, პარლამენტში მუშაობა, თუ მოვხვდი, ნამდვილად მეზარება. ჩემთვის მთავარია, რომ მივაღწიე, გავაკეთე დიდი საქმე – „სახალხოს" და „დიდგორს" შორის შეთანხმება დაიდო, კონტაქტი დამყარდა. ესაა მთავარი.

**ამირიტა ჯანაშია**

---

*მე-6 გვერდიდან.*

# რატომ არ უნდა დავუჭიროთ მხარი მოქალაქეთა კავშირს

პროგრამის შედეგია, რომელმაც მიწასთან გაასწორა ქართული წარმოება და ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფის წინაშე დააყენა. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი 500 მლნ დოლარს არ აღემატება მაშინ, როდესაც ჩვენნაირი რანგის ქვეყნების – ესტონეთის, მოლდავეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და სხვა პოსტსაბჭოური რესპუბლიკების ბიუჯეტებმა დიდი ხანია ერთორ მილიარდ დოლარს გადააჭარბეს.

მოქკავშირის ოთხწლიანი მმართველობის შემდეგ საშუალო თვიური ხელფასი 70 ლარიაო, გვიცხადებს მმართველი პარტია, თუმცა, ის კი ავიწყდება, რომ არათუ 70 ლარს, არამედ 14 ლარიან პენსიასაც დიდი ხანია ვერ იღებენ შიმშილისთვის განწირული პენსიონერები. სამაგიეროდ, მომავალ ოთხწლიან პერიოდში გვპირდებიან 200-300 ლარიან ხელფასებს. პრინციპში, ეს არც ისე ძნელად განსახორციელებელი დაპირებაა. საჭირო გახდება ლარის კიდევ ერთი გაუფასურება და 200 ლარს 50$-ის ღირებულება შერჩება, თუ გავიხსენებთ, რომ ერთი ამერიკული დოლარი 60 კაპიკად იყო შეფასებული, მაშინ მივხვდებით, თუ რა სიდიდის ხელფასებს გვპირდება მოქკავშირი. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ საშუალო თვიური ხელფასი ცივილიზებულ ქვეყნებში საშუალოდ 2000-3000 დოლარია, ჩვენ კი 40-ჯერ და 60-ჯერ ნაკლებ ხელფასს გვპირდებიან და თან ამით ამაყობენ. აი, სადამდე მიდის მმართველი პარტიის უსირცხვილობა.

**გია თვალავაძე**

*გაგრძელება მომდევნო ნომერში*

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №32

წარსულის ფურცლები

# 1924 წლის აგვისტოს აჯანყება

## ლეო რუხაძის დღიურებიდან



გრიგოლ ლორთქიფანიძის თანამებრძოლი, კალისტრატე გოგუა და მისი მეუღლე იულია

### 3 ოქტომბერი

საქართველოში საშინელი ტერორი გრძელდება. ამის მაჩვენებელია ქართველ მწერალთა გამოსვლა და დაგმობა ეროვნული მოძრაობის. ყველას შეუძლია დღეს ასეთი განცხადების დაწერა საქართველოში, ამით უნდა დაიფაროს თავი ინტელიგენციამ, რადგან მტერს სწორედ ინტელიგენციაზე მიაქვს მძაფრი და გამანადგურებელი იერიშები. მართალი არიან პროფესორები, როცა ასე იქცევიან, მართალი არიან მასწავლებლები, ექიმები და ყველა, ყველა, ვინც კი როგორიც არ უნდა იყვნენ, რაიმე განცხადებით მოახერხეს ადგილზე დარჩენა და სხვა რომ არ იყოს, თავის ქართულ სულს მაინც შეინახავს, მაგრამ ქართველ მწერალთა კრებულს არ შეჰფერის ასეთი გამოსვლა. მას თავი უნდა შეეკავებინა ამისგან. მწერლობა თანამედროვე მნიშვნელობით მაინც სინდისია ერისა და საკუთარ სინდისზე მიფურთხება არ შეშვენის იმ მოღვაწეთ, რომელნიც ათეული წლების განმავლობაში ემსახურებიან ქართულ კულტურას.

ლენინის სიკვდილის დროს ჩაიდინეს ჩვენმა მწერლებმა ასეთი სასირცხვილო რამ, როცა ლენინს, დამპყრობ ლენინს: „პატარა ერების განმათავისუფლებლის პასპორტი უბოძეს...“ მე ამაზე საშინელი რისხვის და აღშფოთების წერილი მივწერე ქართველ მწერალთა კავშირის მეთაურს კოტე მაყაშვილს. მთელი ჩემი ქართველური აღშფოთებით დღესაც მინდა გავიმეორო მაშინდელი გაანჩხლებული მიმართვა ქართველი მწერლებისადმი და კიდევ უფრო დიდი გულისტკენით შევსძახო აქედან: „რას სჩადით, რას? ვის მიაფურთხეთ, ვის? შეგიძლიათ თქვენ ამის შემდეგ შეხედოთ პირდაპირ გასისხლიანებულ საქართველოს. გაქვთ უფლება თქვენ ატაროთ ქართველი მწერლების სახელი და დაგრჩათ ქართული გრძნობა, რომ საქართველოს ტკივილებს უმღეროთ? როგორ გაბედეთ ეს თქვენ ტფილისში, როგორ? უგუნურებო, ის მაინც არ მოგაგონდათ, რომ ორი ფეხის ნაბიჯზე თქვენგან მთაწმინდას ლარაჯობდა საქართველოს უკვდავი სული და ქართული მწერლობის სინდისი ილიასა და აკაკის სახით? დედის მკვლელებო, პირმშოს გამყიდველებო, საქართველოს წმინდა ტაძრის გამქურდავებო, როგორ გაბედეთ ქართული კალამის აღება ასეთი ბინძური საქმისათვის?.. და ნუთუ დავიჯერო, რომ თქვენ ეს გამცემლობა ჩაიდინეთ მწერალთა კავშირის დარბაზში, სადაც მუდამ დაგცქერით შოთა, თამარი, აკაკი, ილია, ყაზბეგი, ვაჟა? ნუთუ თქვენ ასე გარეწრები გახდით, რომ არ მოერიდეთ ამ წმინდა სახეებს და ჩაიდინეთ საშვილიშვილოდ სასირცხვილო საქმე, რომელიც ერს მუდამ მძიმე ლოდად დარჩება გულზე და როგორც წყევლა დაუწყებს დევნას მის მომავალს!.. ჰო, რისხვა იყოს მუდამ თქვენს თავზე და გაგიხმებოდეთ ხელები თქვენ, რადგან ყველაზე საყვარელი იყავით ჩემთვის და დღეს კი ყველაზე წმინდა სამლოცველო დაამსხვრიეთ ჩემი და დამტოვეთ ისე ობოლი, ისე განწირული, ისე უმეგობრო, ისე შეფურთხებული და შეგინებული, როგორიც ალბათ, არასოდეს არც ერთ ქართველს არ უგრძვნია ჯერ თავი... სადა ხარ ნატვრავ! უმალ თქვენი კუბო ენახა საქართველოს, ვიდრე ამ სირცხვილს დაუტოვებდით შთამომავლობას... ოჰ, ნეტა არ მიყვარდეთ თქვენ და მძულდეთ და მეზიზღებოდეთ თქვენ, რადგან ვერავის ვერ ვაპატიებ საქართველოს სულში ჩაფურთხებას, ეს სული მუდამ წმინდა იყო და ეხლაც ვერ მიეკარება მას თქვენი მდაბალი, მშიშარა, ადამიანური და წარმავალი შეურაცხყოფა. ამით გააგდეთ თქვენ ქართული კალამი ხელიდან, არ მიეკაროთ მას, არ გაბედოთ მისვლა თქვენ ძველ ნაწერებთან, ის საქართველოს ეკუთვნის, თქვენ კი ამიერიდან არც საქართველო მიგიღებთ და არც თქვენი ძველი ქმნილებანი მიგიკარებენ მოღალატე მშობლებს... რად სჩადით ამას, რად? რად მატკინეთ გული და მატირეთ რუსეთის ცივ ციხეში, ჩემო ძველო საყვარელო მწერლებო, რად? ჰო, რომ იცოდეთ, როგორ ვიხუტებ დღეს თქვენ ძველ ნაწერებს, როგორ მინდა გავითბო მით გული, სწორედ ისე, როგორც სატრფოს საფლავთან მიაქვთ სატრფოს მიძღვნილი სამკაული და დაობლებულები ამ სახსოვარით ცხოვრობენ ქვეყანაზე. მაგრამ ასეთი ობლები უფრო ბედნიერებია, ვიდრე ჩემებრ თქვენზე შეყვარებულები დღეს, რადგან მათ სატრფო დაკარგეს სიყვარულში და ერთგულებაში, მე კი დაჰკარგეთ დღეს, ღალატში დაჰკარგეთ დღეს, რადგან ერის მოღალატეობა გასწიეთ თქვენ, ქართველი მწერლებო!.. მე ეხლაც მესმის, მესმის თქვენი მოთქმა, რომ ეს იყო ძალდატანება, მაგრამ არ მინდა მე, არ მინდა თქვენი სინანული, ეს უთქვენოდაც ვიცი მე, მე მინდა მხოლოდ ქართული სული, მოუხრელი, ამაყი ქართული მწერლის წმინდა სული. ასეთი კი დაჰკარგეთ თქვენ და ამისთვის გწყევლით მე...

### 5 ოქტომბერი

საქართველოს ამბებმა მთელი ქვეყანა აალაპარაკა. მოსკოვის გაზეთების ცნობებით, ისეთი ყვირილია მთელს მსოფლიოში, ისეთი სიძლიერით და შეუნელებლად გაისმის ყველა ქვეყნებში ამაზე ძახილი, რომ ყოველი ჩვენი ცდა დავამტკიცოთ წინააღმდეგი, უშედეგოდ მთავრდებაო. ვინ გინდა ეხლა არ წერდეს საქართველოზე, მტერი და მოყვარე, მცოდნე და არამცოდნე, შინაური და უცხო, ყველა დასტრიალებს ამ საკითხს და ყველა თავისებურ სარჩულს უძებნის საქართველოში მომხდარ ამბებს. მოსკოვი ძალღონეს არ ზოგავს, რომ დაამტკიცოს, თითქოს ყველა მომხდარი ამბები მსოფლიო ნავთის მწარმოებელთა მოწყობილია და საქართველოში ისინი ხარჯავენ ოქროსო. ხან საფრანგეთს აწერენ ამას, ხან ინგლისს, ეხლა კი თურმე ამერიკასაც ჰქონია რაღაც დამოკიდებულება ამასთან. რადეკი წერს ამაზე გაწიწმატებულ წერილს „პრავდაში“ და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ყველაფერი ნავთის ბრალია და საქართველო ამ მტაცებელთა მსხვერპლი შეიქმნაო. მას მოჰყავს „ლუმანიტედან“ წერეთლის წერილი, სადაც ის თურმე მოითხოვს დაამტკიცონ, რომ საქართველოს აჯანყება მოწყობილია უცხოელთა ფულებით. მე არ ვიცი, თუ რა წერილია წერეთლის მიერ მოთავსებული „ლუმანიტეში“, არც ის ვიცი, ასე დააყენა თუ არა წერეთელმა საკითხი, მაგრამ ამ კითხვის გარშემო იმდენი ყაყანია, იმდენი საგაზეთო წერილები იხარჯება და ისე „შერცხვენას“ უპირებენ საქართველოს, რომ დღეს სწორედ, როცა ამ საკითხზე ასე ისტერიულად ჰკივის მტერი, მინდა ჩემი გულისნადები ვთქვა. ჩვენში იციან ბავშვზე დაცინვა: „აი, შე შავთვალაო“. ერთხელ ეტყვიან ასე, ორჯერ, სამჯერ და შემდეგ ყოველ ასეთ შეძახებაზე ბავშვი ტირილს მორთავს, ჯუჯღუნობს, იგერიებს მტრებს და არ უნდა გაიგონოს ეს მისი შესაგინებელი „შავთვალა“. მეშინია, რომ ასე არ მოსდიოდეს ზოგიერთ ქართველს და არ ფიქრობდეს, რომ თუ მას „შავთვალას“ დაუძახეს, ეს მისი დაღუპვა და ამოგდებაა, რომ მას ქვეყანაზე შემდეგ გამოსაყოფი თავი არა აქვს.

მართლაც რაშია საქმე? ისტორიული ფაქტია, რომ რუსეთმა 1920წ. 7 მაისს უსიტყვოდ და ზეიმით სცნო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი სუვერენობა. ორივე სახელმწიფომ ელჩები გასცვალეს, მეზობლობას შეუდგნენ. მაგრამ მალე რუსეთმა დაარღვია მისმიერვე 7 მაისს დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება, ქურდულად დაესხა პატარა მშვიდობიან საქართველოს, სამი მხრიდან მიუსია მას არმიები და ბოლოს ოსმალეთსაც შეუკავშირდა, რომ დაეპყრო საქართველო და დაემხო მისი სახელმწიფოებრიობა. საქართველომ ეძება ომის დროს მოკავშირე, მან ამისთვის ნიადაგი მოსინჯა თვით ოსმალეთთანაც კი, მაგრამ ოსმალეთი რუსეთთან აღმოჩნდა წინასწარ შეთანხმებულად საქართველო-სომხეთის გასაყოფად და პატარა საქართველო განმარტოებული მთელი ქვეყნისაგან დაიპყრო რუსეთ-ოსმალეთის შეერთებულმა ძალებმა. მთელი ამ უსწორო ომში საქართველომ ნახა დამხმარე მხოლოდ საფრანგეთის ფლოტში, რომელმაც ქართულ ლაშქარს დაეხმარა ზღვის ნაპირების დაცვაში. ამ დღიდან საქართველო დაპყრობილია რუსეთის მიერ. საქართველოს მთავრობა გაიხიზნა უცხოეთში, მას პოლიტიკური კაპიტულაცია არ გამოუცხადებია. ქუთაისის რუსეთ-საქართველოს კონფერენცია 1921წ. მარტში იყო მხოლოდ დროებითი ზავის და იმხანად სამხედრო მოქმედების შეწყვეტის კონფერენცია. და ეს ოთხი წელია საქართველო ეძიებს თავის საერთაშორისო უფლებას და ყოველის საშუალებით ცდილობს კისრიდან მოიძროს დამპყრობი რუსეთის უღელი. დამონებული და დაპყრობილი ერის საღვთო, წმინდა უფლებაა ებრძოლოს თავის დამმონავებელს. საქართველომ სცადა ყოველგვარი საშუალება, მან ინტერნაციონალისტურ-სოციალისტური საშუალებით შეეცადა აღედგინა თავისი შელახული უფლება. რუსეთი გახვეულია კომუნისტურ-სოციალისტურ ქურქში და მას თავი მსოფლიო მუშათა კლასის მესაჭედ მოაქვს, ამისთვის საქართველომ თავის სოციალ-დემოკრატიის საშუალებით საქართველოს საქმეში პირუთვნელ მსაჯულად და დამხმარედ მოიწვია მთელი ქვეყნის მუშები და მტერს წინადადება მისცა „გაგვასამართლოს მსოფლიო პროლეტარიატმაო“. მოსკოვი გაურბოდა და გაურბის ყოველგვარ ცდას საქართველოდან საქმის მშვიდობიანად გადასაჭრელად. საქართველომ ამრიგად ამოსწურა ყველა მშვიდობიანი საშუალებანი, მან ვერას გახდა მუშათა კლასის მოციქულობით. მოსკოვმა ყველას მიაფურთხა და ერთადერთ უფლებად აღიარა მხოლოდ თავისი უხეში ძალა. ამგვარად, ჩვენს თვალწინაა გამარჯვებული დიდი იმპერიალისტური და დამარცხებული პატარა ქვეყანა. რა საშუალებას უნდა მიმართოს პატარამ და დაჩაგრულმა? მას დარჩენია ერთადერთი საშუალება – ეძებოს მოკავშირე. ეს მოკავშირე საქართველოს თავიდანვე ჰყავს – ის არის მსოფლიო პროლეტარიატი, რომლის თანაგრძნობა მორალურ სიმართლეს აძლევს საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლას. და აქ იბადება კითხვა, შეუძლია თუ არა საქართველოს დაიხმაროს ფულით, იარაღით, ჯარებით რომელიმე სხვა სახელმწიფო, რომ თავი დაიძვრინოს რუსეთის უღლისაგან? და მე გადაჭრით და გაბედულად უნდა ვუპასუხო: შეუძლია კი არა საქართველოს მთავრობის წმინდა მოვალეობაა, ეს მისი უძირითადესი ამოცანაა – მონახოს მოკავშირე და ამისთვის შევიდეს ყოველგვარ შეთანხმებაში, როგორშიდაც კი შეუძლია სახელმწიფომ სახელმწიფოსთან შევიდეს. ვაი, იმ მთავრობას, ვაი, იმ წარმომადგენლებს ხალხისას, რომელნიც თავის სამშობლოს დამპყრობელთაგან გასათავისუფლებლად გაუშვებენ თუნდ უბრალო შემთხვევასაც კი, რომ სხვა სახელმწიფოსთან კავშირით შეეცადონ ერის სუვერენობის აღდგენას. აქ რასაკვირველია, თავისთავად მისახვედრია, რომ დაპყრობილს თუ აქვს რაიმე საფასური დახმარებისათვის და რამდენს გასცემს ის ამისთვის. ეს ანგარიშის საკითხია და არ ყოფილა ჯერ ქვეყნად არცერთი ნამდვილი ხალხური მთავრობა და არც იქნება, რომ თუ მისი ერისთვის ხელსაყრელია რაიმე საერთაშორისო კომბინაცია, რომ არ გამოეყენებინოს ეს მას. ეს დალოცვილი მოსკოველები მოგვდგომიან და საშინელი კილოთი გვეძახიან: „აი, თქვე შავთვალა, აი, თქვე საფრანგეთის მოკავშირენო, აი, თქვე ფულის მსესხებლებო, აი, თქვე კონცესიების გამცემლებოვო“. თვალებსაც დაგთხრით, საფრანგეთს კი არა, პაპუასებსაც დავიხმარ თუ დამეხმარებიან და გებრძოლებით მანამ, სანამ საქართველოს ტერიტორიაზე თუნდ ერთი რუსის ჯარისკაცი იქნება. ფულებს სესხულობთო, ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ საქართველოს ფულს არავინ აჩუქებს, ასეთი გულკეთილები განსაკუთრებით მეოცე საუკუნეში არ მოიპოვებიან, მაშასადამე, საქართველოს თუ მისცენ მხოლოდ ასესხებენ ფულს და ამ სესხში მას გარანტიებს მოსთხოვენ. და მერე, რაა აქ სასირცხვილო? განა არ ისესხა საქართველომ 1920წ. ინგლისში მილიონნახევარი გირვ. სტერლინგი თავის ფულის საფუძვლის დასადებად? (რომლის აღება მას არ მოესწრო რუსეთის ვერაგობის გამო). ან განა ასეთივე სესხისთვის მუხლზე ჩოქით არ დადის რაკოვსკი ლონდონში? ან განა ნავთის, მარგანეცის და სხვა კონცესიებს მოსკოვი არ სცემს საქართველო-აზარბაიჯანის მაგიერად? რომელ მთავრობას მეტი უფლება აქვს გასცეს მარგანეცის კონცესია-საქართველოს თუ მოსკოვის? თუ რიკოვი და კრასინი აბრამის ბატკნებია და მათ „კომუნისტურად“ უფრო შეუძლიათ საქართველოს ინტერესები დაიცვან, ევროპასთან ვაჭრობის დროს და ნოე ჟორდანია კი გაყიდის ქართველ ხალხს? ვის ატყუებს ამით მოსკოვი და ვინ უნდა ამით შეაშინოს? ნამდვილ მოქალაქეს, ქართველ მოქალაქეს არ სრცხვენია და არც ეშინია, რომ მას „მშვენიერი შავი თვალები აქვს“. და უმჯობესი არ არის, ყველა ამ აყეფებულმა ჟურნალისტებმა, ვიდრე ამით „გვაფრთხონ“, წაიკითხონ თავის ლენინის ბროშურა „კარიკატურა მარქსიზმზე“, სადაც ის ასე მშვენივრად ანვითარებს ერის ბრძოლის უფლებას თავის დამოუკიდებლობისათვის და სადაც მას არ მიაჩნია უბედურებად „ეკონომიკური დამოუკიდებლობა“, თუ ერს პოლიტიკური თავისუფლება აქვს და სწორედ ამ პოლიტიკური თავისუფლებისათვის მას შეუძლია გაიღოს ნაწილი თავის ეკონომიკური დოვლათისა?! ან რა გახტუნებთ თქვენ და რას ცდილობთ დაამტკიცოთ, თითქოს ეხლანდელი პირობები საქართველოში, როცა ეკონომიურადაც მონა ვართ და პოლიტიკურადაც, სჯობდეს იმას, როცა პოლიტიკური თავისუფლება გვექნება და ეკონომიკურად ევროპაზე ვიქნებით დამოკიდებული. ორ უღელზე მჩატე ერთი რომ არის, ამას განა მტკიცება უნდა? ან განა ევროპის ეკონომიკაზე აბმას თქვენი დანგრეული ქვეყანაზე უძვირესი საფაბრიკო ნაწარმოებზე აბმა და მიჯაჭვა სჯობია? თქვენ დღეს სულს ართმევთ საქართველოს, სულს ეროვნულ-პოლიტიკურს და ეკონომიკურ-სამეურნეოს. თქვენ, დღეს ანადგურებთ ერს, სპობთ მის საწარმოო ენერგიას. ვაი, რომ არავინ მოგვცა ფული, არ აიღო დღევანდელ პირობებში, კონცესიები და არ დაგვეხმარნენ, თორემ გვაქვს ვინმესთან რაიმე მოსარიდებელი და ყოველგვარი უფლება არ ლაპარაკობს საქართველოს მხარეზე და ქართველი ხალხის სასარგებლოდ!.. მე მგონია, ასევე უცქერის ამას ყოველი ქართველი, ვინც მოქალაქეა და ვისაც ესმის, თუ რა დამოკიდებულებაშია დღეს საქართველო რუსეთთან. და მე ვფიქრობ, რომ წერეთლის გამოსვლა „ლუმანიტეში“ იყო ალბათ, ერთის მხრივ, კონსტატაცია ფაქტის, რომ საქართველოს არავისგან დახმარება არ მიუღია და ამავე დროს, სინანული, საშინელი ბოღმიანი საყვედური, რომ მსოფლიოში არ აღმოჩნდა ისეთი ძალა და შესაძლებლობა, რომ პატარა საქართველოს თავის სამართლიან საქმეში რეალურად დახმარებოდა...

### 6 ოქტომბერი

რამდენიმე დღეა, რაც რუსეთმა იდღესასწაულა პირველი ინტერნაციონალის 60 წლისთავი. ამ დღესასწაულს ყველა ქვეყნის მუშები მართავენ. ლონდონში მარქსის საფლავზე მივიდნენ მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის დელეგატები და საფლავი ყვავილებით შეამკეს. წარმოუთქვამთ სიტყვები. მოსკოვი ამბობს, რომ ჩვენ ვაჯობეთ „ყვითლების“ გვირგვინებს ზევით კომუნისტური წითელი გვირგვინები დავაღევითო. ამ დღეს „დიდი ამბავი“ ყოფილა საქართველოშიც. „კომუნისტის“ გადმოცემით, ეს ამბავი იმაში გამოხატულა, რომ ქუჩებზე დაყავდათ მასკარადი და ხალხს აცინებდნენ. ავტომობილზე დაუსვამთ მაკდონალდი და აყვირებდნენ თურმე: „ვის გინდათ ჩემი ბისკვიტიო“, ხოლო მეორე ინტერნაციონალისთვის მოუწყვიათ საძაღლე გალია და ერთ-ერთი სოციალისტი კიდეც შეუგდიათ შიგ. „აი, ასეთია მათი ბედიო“, მოუწერიათ ამ საძაღლე გალიაზე. რა უნდა სთქვა კაცმა ყველა ამაზე, გარდა იმისა, რომ „როცა ღმერთები განურისხდებიან ვინმეს, პირველად ყოვლისა მას ჭკუას წაართმევენ“. დღეს რუსეთი და მისი დაპყრობილი კოლონიები საგიჟეთს წარმოადგენენ...

**დღიურები მოგვაწოდა ისტორიკოსმა გრიგოლ ზარქუამ**

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №31

## აფხაზეთის ტრაგედია

# აფხაზეთი – დევნილთა მოუშუშებელი ტკივილი და ოცნება

### – თვითმხილველის მოგონებები –



1954 წლიდან 10 წელი ვმუშაობდი სოფელ ახალშენში სკოლის დირექტორად და კარგად მახსოვს, რომ ათონიდან სოხუმის რაიონის სოფელ შრომა-ახალშენის მიმართულებით იყო გაუვალი ტყეები. 60-იანი წლების დასაწყისში სოხუმის სატყეო მრეწველობის მეურნეობა იმ ხე-ტყის მასალის გამოსაზიდად გაჩეხა ტყე და გაიყვანა სამანქანო გზა, ათონიდან სოფელ შრომა-ახალშენამდე. სწორედ ეს გზა ჩაიგდეს ხელში ათონიდან ჩვენი არმიის უკან დახევით სეპარატისტებმა და აქ გამოიკვეთა ჩვენი სარდლობის დიდი შეცდომა, რის გამოც ქ. სოხუმი მოექცა ალყაში. მტერი ქალაქს უტევდა სამხრეთ დასავლეთით – გუდაუთის მხრიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – ოჩამჩირე-კოდორის მხრიდან, სამხრეთიდან კი ზღვაზე ბათუმიდან და ფოთიდან, საზღვაო გზას ჩვენ გემებისათვის დღე და ღამ იცავდნენ აფხაზ სეპარატისტთა სარაკეტო დანადგარები.

1993 წლის 27 ივლისს სოჭის (დაგომისის) ხელშეკრულების თანახმად, საომარი მოქმედება უნდა შეწყვეტილიყო და შეიარაღება საომარი მოქმედების ზონიდან უნდა გაეტანა ორივე მხარეს. ჩვენმა სარდლობამ შეასრულა დაგომისის ხელშეკრულების ეს მოთხოვნა და მთელი საბრძოლო ტექნიკა გამოიტანეს ფრონტის ხაზიდან და გადაიტანეს ქალაქ ფოთში. აფხაზმა სეპარატისტებმა კი შეიარაღება ტყეებში გადამალეს. 1993 წლის 16 სექტემბერს აფხაზმა სეპარატისტებმა ცალმხრივად დაარღვიეს დაგომისის აღნიშნული ხელშეკრულება და დაიწყეს შემოტევა ტყეებში გადამალული იარაღით. ჩვენი არმია კი უიარაღოდ სამი მხრიდან ალყაში იყო და იმედოვნებდნენ, რომ ფოთიდან შემოიტანდნენ საომარ იარაღს გემებით, მაგრამ მტრის თვითმფრინავები და რაკეტები არ უშვებდნენ ჩვენ გემებს და თვითმფრინავებს სოხუმისაკენ. 1993 წლის 18 სექტემბერს საომარი მასალების გადმოზიდვის დროს სეპარატისტების დაქირავებულმა ბოევიკებმა რაკეტებით ჩამოაგდეს ვერტმფრენი, რომელსაც მართავდა ჩემი ყოფილი მოსწავლე ტარიელ ჯალაღონია. ვერტმფრენს ცეცხლი გაუჩნდა ზღვაში ჩავარდა და დაიწვა. მისი მოხუცი მშობლები – მაკარი და თინა ჯალაღონიები, იმის გამო, რომ მათი შვილი ქართველი მეომარი იყო, აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა დაქირავებულმა, გადაგვარებულმა სომხებმა საკუთარ სახლში წამებით მოკლეს.

1993 წლის 26 სექტემბერს ჩემს სახლს დაეცა გრადის ჭურვი და მეორე სართულის კედელი შემოანგრია, ორი ჭურვი ეზოში ჩამოვარდა, რომელმაც მეტრო ნახევრის სიღრმეში ჩაიტანა მიწის ფსკერი. მე სამზარეულოში ვიმყოფებოდი და სასწაულებრივ გადავრჩი. სახლის ორივე სართული კვამლში იყო გახვეული. მეგონა ხანძარი გაჩნდა. შევედი კვამლით დაფარულ ოთახებში, მაგრამ ხანძარი არსად ჩანდა, ყველგან კვამლი იდგა, შემდეგ ავედი სახლის ჭერზე, მაგრამ იქაც მხოლოდ კვამლი, ხანძარი არ ჩანდა. როგორც შევიტყვე, ეს კვამლგამჩენი გრადის ჭურვი ყოფილა. ის 26 სექტემბრის ღამე ყველა მეზობლებმა ერთად მიწისქვეშა სარდაფში გავათენეთ. აფხაზი სეპარატისტები და მათი დაქირავებული ბოევიკები სოხუმს მოუახლოვდნენ, დღედაღამ იბომბებოდა ქალაქი. მეორე დღეს, 27 სექტემბერს, მეზობლებთან ერთად წავედით გულრიფშის რაიონის სოფელ მერხეულში სიმინდის ყანებისა და ტყე-მინდვრების გავლით ფეხით, კელასურისა და ბალმარანის მიმართულებით. საღამოს მდინარე კელასურზე რომ გადავედით, ცა პროჟექტორებმა დაფარეს. ეს სეპარატისტების მიერ სოხუმის აღების ზეიმი ყოფილა. სოფელ მერხეულში რომ შევედით, ქალაქ სოხუმის ქართველი მოსახლეობა აფხაზი სეპარატისტების მიერ სოხუმის აღების გამო შეშინებულნი, ყოველგვარი ტრანსპორტით – ავტობუსებით, სატვირთო მანქანებით, ტრაქტორებით, სვანეთისკენ მირბოდა, ვინაიდან ოჩამჩირე-კოდორის გზა სეპარატისტებს ჰქონდათ გადაკეტილი სოფელ მერხეულის მოსახლეობაც მათ გაჰყვა. ჩემი მეზობლებიც იმავე ღამეს ფეხით გაუდგნენ სვანეთის გზას. მე კი, ფეხის ტრავმის გამო ინვალიდმა, გადავწყვიტე მერხეულში დავრჩენილიყავი და მივედი სკოლის შენობაში, სადაც თავს აფარებდნენ ჩემი მეზობელი სოფელ ბესლეთის მოსახლეობა. მათ შორის, ვისაც შეეძლო, ფეხით გაუდგა სვანეთის გზას. ინვალიდები, რომლებსაც არ შეგვეძლო სვანეთის გზებზე ფეხით სიარული, დავრჩით მერხეულის სკოლაში და შიშით გავათენეთ ღამე. მეორე დღეს დილით ვნახეთ სკოლის ეზოში ქართველი მეომრების მიერ მიტოვებული საბრძოლო ტექნიკა, რის გამოც მოვახსენე ჩემი აზრი სკოლაში დარჩენილ ინვალიდ სოხუმელ მეზობლებს, გავეცალოთ აქაურობას, სეპერატისტებმა რომ მოგვისწრონ და ნახონ ეს, იტყვიან, საბრძოლო იარაღების არსენალი გქონიათ აქო და ყველას ამოგვხოცავენ-თქო. მართლაც, სწრაფად დავტოვეთ სკოლის ტერიტორია. ამხანაგებს ვუამბე: მე ინვალიდს არ შემიძლია სვანეთის მთებზე ფეხით გადასვლა და იმ მთებზე დაღუპვას, უკეთესია ჩემს სახლში მოვკვდე, მეთქი. ამიტომ სოხუმში უნდა დავბრუნდე-თქო. ჩემთან ერთად სოხუმში დაბრუნების სურვილი გამოთქვეს პედაგოგმა შოთა ბარათაშვილმა და ინჟინრებმა რუბენ კაპანაძემ და თამაზ ჩალაძემ. მართლაც, მერხეულიდან სოხუმში 1993 წლის 28 სექტემბერს დავბრუნდით იმ გზით, რა გზითაც წინა დღეს, 27 სექტემბერს, შევედით მერხეულში. მივდიოდით სიმინდის ყანებზე, მინდვრების და ტყეების გავლით, (გზებზე სიარულს ვერ ვბედავდით, ვინაიდან ვფიქრობდით, აფხაზი სეპარატისტების მეომრები დაგვხვდებიანო, გავიარეთ სოფელი ბალმარანი, მივადექით სოფელ კელასურს, გავედით მდინარე კელასურში და გავყევით საცალფეხო გზას მინდორში. ეს გზა შევიდა ტყეში. ტყე რომ გავიარეთ და გავედით მინდორში, უეცრად შევეჩეხეთ აფხაზთა ბატალიონს. იქნებოდა დაახლოებით 300 შეიარაღებული აფხაზი მეომარი, მათ შორის რამდენიმე კაზაკი მეომარი. ისინი სამხედრო მწობრი ნაბიჯით მოდიოდნენ. გაქცევა და დამალვა აღარ შეიძლებოდა. შეჩერდით! – გვიბრძანა მათმა წინამძღოლმა – ბატალიონის უფროსმა. „გრუზინ?" გვითხრა მან. დიახ! ვუპასუხეთ ჩვენ. შემდეგ გვეკითხება: „откуда, куда?" მე ვუპასუხე: ნათესავთან ვიყავით სოფელ ბალმარანში და იქედან მოვდივართ. შემდეგ მიუბრუნდა თავის მეომრებს და მიმართა: ოტ ნაში პროტივნიკი, ჩტო ვი სკაჟიტე კომანდირ როტა და ეკითხება ბატალიონის უფროსი თავის ბატალიონის ასმეთაურს. „რასტრელიატ" – პასუხობს იგი. „ჩტო ვი სკაჟიტე, კომანდირ ზვოდა". – ეკითხება ოცმეთაურს. „რასტრელიატ". იყო მისი პასუხიც. ჩვენ ვდგავართ შეშინებულნი და გაშეშებულნი, ორი დღის მშივრები და ვფიქრობთ, დადგა ჩვენი აღსასრული. იმ აფხაზურ ბატალიონში იყო ორი ახალგაზრდა გვარდიელის ფორმით, 25-26 წლის გოგოები. მათ შეხედეს ჩვენს შეშინებულ სახეებს და ვიგრძენით ჩვენდამი შეცოდების გრძნობა. დაუწყეს ბატალიონის უფროსს აფხაზურად ხმამაღლა ლაპარაკი. შემდეგ მოგვიბრუნდა ბატალიონის უფროსი და მოგვმართა: „ვიდიტე კაკ ზაშიშჩაიუტ ვას ეტი დევუშკი". „რაზე არ ზაშიშჩაეტ ოტპუსტიმ. ზადი იდიოტ ჩეჩენსკი ი არმიანსკი ბატალიონ, ია რაცია ნე იმეიუ შტობი პერედატ იმ, ოსტოროჟნო". გვაფრთხილებს. შემდეგ მეკითხება: „სკოლკო გრუზინი პოგიბლი ეტი ვოინი, ტრიდცატ ტისიაჩა ბუდიტ". მე ვუპასუხე: „სტატისტიკური მონაცემები არ გამაჩნია და ვერ გეტყვით-თქო. აფხაზი მეომარი გოგოების მეთაურისადმი აფხაზურად მიმართვა ჩვენ ვერ გავიგეთ ენის უცოდინარობის გამო, მაგრამ უფროსისადმი მათ მიმართვაში ჩანდა ჩვენდამი შეცოდების გრძნობა და ამიტომ თხოვეს: ესენი უიარაღონი, ხანშიშესული მამაკაცები ჩვენს წინააღმდეგ მეომრები არ არიან და გავუშვათო. ამ აფხაზურ ბატალიონს არც ჯიბეები გაუჩხრეკია ჩვენთვის, არც ჩანთები, ისე გაგვიშვეს. შევუდექით სოფელ კელასურისაკენ აღმართს აუღებელ სიმინდის ყანებზე, გავიარეთ დაახლოებით ერთი კილომეტრი და დაიწყო ავტომატების სროლა, გავიხედეთ მარჯვნივ და ვხედავთ, იწვის ქართველთა სახლები, მაგრამ სროლა იმ მხრიდან კი არ იყო, საიდანაც აფხაზური ბატალიონი შეგვხვდა, არამედ სხვა მხრიდან. ჩვენ ჩავწექით სიმინდის ყანაში და სროლა რომ შეწყდა, გავაგრძელეთ გზა. ავედით ზემო კელასურში ცენტრალურ გზაზე და ვფიქრობდით, სწრაფად გადავკვეთდით სოფლის ცენტრალურ გზას და გავაგრძელებდით გზას ისევ სიმინდის ყანებზე. გავიხედეთ გზის მარცხნივ და დავინახეთ იქ მდგარი ათამდე ტანკი და ბეტეერები. ჩვენს დანახვაზე უეცრად წინ გადაგველობა ოცამდე შეიარაღებული ჩეჩენი ბოევიკი. სათითაოდ დაგვადგნენ თავს ავტომატით და გვიბრძანეს: „ამოიღეთ ჯიბეებიდან ფული, მოიხსენით საათები და ჩაგვაბარეთო". რა გზა გვქონდა. ჯიბეში მქონდა 550 ათასი რუსული რუბლი და ორი მილიონი კუპონი. ამოვიღე ჩემი ხელით და მივეცი. მან რუსული ფული ჯიბეში ჩაიდო. კუპონებს დახედა და თქვა: „ეტო ჩტო"! დახია და გადაყარა. შემდეგ მიბრძანა, საათიც მოიხსენიო. ისიც მოვიხსენი და მივეცი. ორი ხელჩანთა, რომელშიც ტანსაცმელი და ფეხსაცმელი მქონდა, გამომართვა, მინდორზე გადმოყარა და რაც მოეწონა, წამართვა. შემდეგ არ მენდო და ჯიბეები თვითონ შეამოწმა, კიდევ ხომ არაფერი დარჩაო. ასევე გაძარცვეს ჩემი თანამგზავრებიც, მხოლოდ ერთს – რუბენ კაპანაძეს, რომელსაც არაფერი არ ჰქონდა, მოკიდეს ხელი და გაიყვანეს დასახვრეტად. ჩვენ სამივემ მუხლებზე დავუჩოქეთ, ინვალიდია, ნუ მოკლავთო და გავაშვებინეთ. დიდი ხვეწნა-მუდარით გადავარჩინეთ. ძლივს დავაღწიეთ თავი ორი დღის მშივრებმა ამ საშიშროებასაც და გავაგრძელეთ გზა. უკვე ღამდებოდა 28 სექტემბერი. შარვლის უკანა ჯიბეში 50 ათასი კუპონი მქონია, რომელიც ჩეჩნებმა ვერ ნახეს, თორემ იმასაც დახევდნენ. გამეხარდა, ამით პურს ვიყიდი-თქო. მივადექით ერთი სახლის ეზოს, დავინახეთ ეზოში ქალი. დარწმუნებული ვიყავით, რომ ის ქალი სომეხი იქნებოდა, ვინაიდან სოფლებიდან ქართველები ყველანი გასული იყვნენ. ჭიშკრიდან დავუძახე, მოვიდა. მივაწოდე ის 50 ათასი კუპონი და ვთხოვე: ორი დღის მშივრები ვართ, ყველი და პური გექნება და მოგვყიდე-თქო. მან მიპასუხა: „ხლებ ნე იმეიუ". შემდეგ ვთხოვე, წყალი დაგვალევინე-თქო. მოიტანა გრაფინით წყალი, დაგვალევინა, მადლობა გადავუხადეთ და წავედით. უკვე ღამდება. გავიარეთ დაახლოებით ნახევარი კილომეტრი, მოსახვევში დავინახეთ მანქანები და ბეტეერები იდგნენ გზის მარჯვენა მხარეს. გადმოვიდნენ გვარდიის ფორმიანები და გადაგვიდნენ წინ. ეს სომხური ბატალიონი ყოფილა, ჩამოგვართვეს ჩანთები და გვკითხეს, რა გაქვთო. ჩვენ ვუპასუხეთ: ტანსაცმელი და ფეხსაცმელი გვქონდა, ჩეჩნების ბატალიონი შეგვხვდა, რაც მოეწონათ, მათმა წაიღესო. მათაც ამოაწყვეს და შეამოწმეს დარჩენილი ტანსაცმელი და ნივთები, აღარაფერი მოეწონათ, ჩააწყვეს ისევ დაგვიბრუნეს და გამოგვიცხადეს: „უკვე დაღამდა და ვლადისლავ არძინბას ბრძანებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე საღამოს 9 საათიდან 7 საათამდე საგანგებო წესებია გამოცხადებული, ქუჩებში და სოფლებში, საგანგებო წესების საათებში სიარული აკრძალულია და დილის 7 საათამდე აქ დადექითო. ამასობაში დაიწყო წვიმა, თვითონ ავტომანქანებში შევიდნენ, ჩვენ კი წვიმაში ვიდექით. მივედი და ვთხოვე, შემოდგომაა, წვიმს და მოგვეცი ნება, რომ სოფელში ვინმეს ვთხოვოთ, ღამე გაგვათევინოს-თქო. მათ ჯერ უარი გვითხრეს, შემდეგ კი დაგვიძახეს: „რაზრეშაემ". ჩვენ მადლობა გადავუხადეთ თხოვნის შესრულების ნებართვაზე, წამოვედით და მივადექით ისევ იმ სომეხ ქალს, რომელმაც წყალი დაგვალევინა და ვთხოვეთ: წვიმს, ღამეა. გვარდიელები გადაგვიდგნენ წინ და სოხუმისკენ არ გაგვიშვეს. გვითხრეს, რომ არძინბას ბრძანებით საღამოს 9 საათიდან დილის 7 საათამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე საგანგებო წესებია გამოცხადებული და ღამით მგზავრობა არ შეიძლებაო და ვთხოვეთ ღამის გათევა. მან გვითხრა: „ბეზ რაზრეშენიე გვარდეიცი ნე მაგუ". ჩვენ ვუთხარით: ონი რაზრეშილი". „რაზ ონი რაზრეშილი ხოროშო". გაგვიძღვა წინ და მიგვითითა: „ეს ორივე სახლი ჩემია. ეს სახლი ცალკე ჩემი ბიჭისთვის ავაშენე, მაგრამ ამჟამად ბიჭი ჩემთან ცხოვრობს. ამ სახლში, ზედა სართულზე ოთხი საწოლია, პირველ სართულზე ერთი და სადაც გინდათ იქ დაწექითო". ჩვენც ოთხი ვიყავით და ზედა სართულზე, სადაც ოთხი საწოლი იყო, იქ უფრო გვაწყობდა, მაგრამ გავითვალისწინეთ, რომ საომარი მოქმედება იყო, ჩეჩნების და სომხების ბატალიონები ახლოს იდგნენ, სროლა რომ დაეწყოთ, გაქცევა ყოფილიყო აუცილებელი, პირველ სართულზე უფრო დავიცავდით თავს და ვარჩიეთ ღამე გაგვეთია სახლის პირველ სართულზე. ორნი ერთ საწოლზე მოთავსდნენ, მე და პედაგოგმა შ. ხარაიშვილმა იატაკზე ცელოფანი გავშალეთ, დავწექით ორი დღის მშივრები. არ გასულა 20 წუთი და შემოგვესმა ეზოში სომეხი გვარდიელების ხმა. სახლის პატრონს – ქალს ეკითხებიან „ჩეტვერო პრიშლი", „ონი სკაზალი ჩტო ვი რაზრეშილი", „და მი რაზრეშილი" უპასუხეს და დიასახლისს მიმართეს დერეფანში: „ოტკა ი ზაკუსკა იესტ". დიასახლისმა, როგორც ჩვენ, მათაც უპასუხა: „ხლებ ნე იმეიუ, ოტკა ესტ". შემდეგ დიასახლისს მიმართეს: „პრინესიტე ოტკა, იესტ ჩტონიბუდ ზაკუსიტ"? დიასახლისი პასუხობს: „სოლიონი ოგურცი იმეიუ". „პრინესიტე ოტკა ი სოლეიონი ოგურცი". მიმართეს გვარდიელებმა დიასახლისს და ავიდნენ სახლის მეორე სართულზე. ჩვენ მათი საუბრის ყოველი სიტყვა გვესმოდა. სახლის ზედა სართულზე სომეხი ბოევიკები სვავენ, ?? ცეკვავენ, მღერიან, იცინიან, შემდეგ იქვე დაეძინათ. ჩვენ კი პირველ სართულზე შიშით ვცახცახებდით. დაიწყო კოკისპირული წვიმა, მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა. იმ ღამეს რა დაგვაძინებდა, სულ იმის ფიქრში ვიყავით, არყით მთვრალმა, აფხაზსეპარატისტთა დაქირავებულმა სომეხმა ბოევიკებმა შეიძლება ავტომატებით ზევიდან ქვევით პირველ სართულზე ჩამოვიდნენ, ჩვენი ოთახის კარები შემოაღონ და გვესროლონო, ან ამ კოკისპირულ წვიმაში რომ გავიდეთ სახლიდან და გავიქცეთ, მთვრალებმა დაგვინახონ და გვესროლონ, კიდეც რომ გავაღწიოთ აქედან, ღამით საგანგებო წესებია გამოცხადებული და შეიძლება შეგვხვდნენ და დაგვიჭირონ. სულ ამაზე ფიქრით და შიშით თეთრად გავათენეთ ღამე. დილით ოდნავ რომ ინათა, სამივე ამხანაგს ჩუმად ვანიშნე, სანამ გათენდებოდეს და ის ბოევიკები გაიღვიძებდნენ, გავიპაროთ აქედან. მე ოთახის კარს ნელა, უხმოდ გავაღებ და ფეხაკრეფით გავიპაროთო. მართლაც, სახლიდან მშვიდობიანად გამოვედით გზაზე. დილიღ აღარ წვიმდა, მაგრამ მთელი ღამე კოკისპირული წვიმის გამო სიმინდის ყანებში ტალახი იდგა და ყანებზე სიარული ძნელი იყო, ამიტომ, სანამ ხალხი აიშლებოდეს ცენტრალური გზით სწრაფად გავიაროთ სოფელი. ვურჩიე ჩემს თანამგზავრებს. გამოვირბინეთ ერთი კილომეტრი და გზის მარჯვენა მხარეს დავინახეთ ლაზის მარკის ავტობუსი. ამ ავტობუსში ათევდნენ თურმე ღამეს აფხაზი სეპარატისტები და მათი დაქირავებული ბოევიკები. საგანგებო წესების დრო ჯერ დამთავრებული არ ყოფილა, შეუნიშნავართ, გადმოხტნენ ავტობუსიდან, უცბად ოცამდე ბოევიკი და გადაგვიდგნენ წინ. ვინ ხართ თქვენ, საგანგებო წესებია გამოცხადებული დილის 7 საათამდე და როგორ დახეტიალობთ და არ ემორჩილებით რეჟიმსო.

**სერგო ლომიძე**
**დევნილი პედაგოგი სოხუმიდან**

*გაგრძელება იქნება*

თვალსაზრისი

# ამბავი ედუარდ-იგორის ლაშქრობისა



პარლამენტის ბოლო სხდომაზე პროკურორმა ყიფიანმა დეპუტატ ბორის კაკუბავას დაპატიმრების უფლება მოითხოვა. მხცოვანმა სამართალმცოდნემ ვიშინსკისეული სიმტკიცით „შეუვალი“ არგუმენტები ჩამოარაკრაკა: იდეოლოგიური მოწინააღმდეგეობა გიორგაძესთან პირადი შეხვედრები და სატელეფონო საუბრები. მან ვერშემდგარი შეთქმულების სურათი რელიეფურად აღწერა და მეტი სანდოობისათვის ძალისმიერ სტრუქტურებში მომუშავე იმ სამას კაცზეც მიუთითა, რომლებიც შეუმჩნევლად უნდა გასულიყვნენ საზღვარგარეთ გასაწვრთნელად. რამდენიმე თვეში ისინი სათანადო აღჭურვილობითა და ცოდნით ასევე შეუმჩნევლად უკან დაბრუნდებოდნენ შევარდნაძის დასამხობად. ბომბეი-ლონდონის გვირაბის გათხრის ეპიზოდი გაგვახსენა ცნობილი ფილმიდან ამ ფანტასმოგორიამ და არა მარტო ამან.

„მოქალაქეთა“ უმრავლესობამ დიდი ენთუზიაზმით აიტაცა მათ მიერვე ტყუბულის საარჩევნო ფრონტზე გამწესებული საბჭოთა იურისპრუდენციის ვეტერანის ეს აბდა-უბდები და მშვიდად გამოუტანა „კუდიანის“ ვერდიქტი აფხაზ დეპუტატს.

განსაკუთრებით იყოჩაღეს ყველა რეფორმის ახალგაზრდა მამების – ჟვანია-სააკაშვილი-ბარამიძის ტრიომ. ისინი ჩვეული კომკავშირული შემართებით ენერგიულად ამტკიცებდნენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს უიმუნიტეტო დეპუტატს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში და რა საფრთხეს გადაურჩა მათ მიერ მოტანილი დემოკრატია და თავისუფლება. ენაწყლიანი სპიკერი ისე გაერთო, რომ ტერორისტთა მსხვერპლად საკუთარი თავიც დაასახელა.

სამწუხაროა, მაგრამ ნიშანდობლივი, რომ დარბაზში არ აღმოჩნდა არცერთი დეპუტატი, ვინც ამ ვაკხანალიაში პოლიტიკური დევნის მოტივებსა და განსხვავებული აზრისათვის ღია რეპრესიების დასაწყისს დაინახავდა. ოპოზიციის წამოკნავლება მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ ვაჭრობა გაუმართეს „მოქალაქეებს“ დაპატიმრების უფლებით აეხსნათ კაკუბავასათვის იმუნიტეტი თუ უმისოდ ამგვარად შედგა პარლამენტში კიდევ ერთი გამარჯვება „კომუნისტურ საფრთხეზე“ და თავზეხელაღებულ ტერორისტ იგორ გიორგაძეზე.

პარლამენტის ესტაფეტა საქართველოს ტელევიზიის პირველმა არხმა აიტაცა. გადაცემაში „გრიფით საიდუმლო“ მაყურებელს შესთავაზეს მძაფრსიუჟეტიანი სერიალი საერთაშორისო ტერორისტ გიორგაძეზე უჩვენებდნენ თვითონ მას, გადმოსცემდნენ მისი ინტერვიუების შინაარსს, სხვადასხვა პირთან სატელეფონო საუბრებს და ა.შ. სამი საღამოს განმავლობაში მთელს საქართველოს უმტკიცებდნენ, თუ რა უბედურება გველოდა ჩვენ, ქართულ სახელმწიფოს და როგორ მარჯვედ გახსნეს ძალისმიერებმა ქვეყნის მტრების ბოროტი ზრახვები.

შევარდნაძემაც ერთ-ერთი ორშაბათის პრეს-კონფერენციაზე საკაცობრიო საკითხების გაშუქებისას ამ თემისთვისაც მოიცალა. თუმცა დაზუსტებით ვერავინ გეტყვით, რა თქვა მან ამის შესახებ ან რისი თქმა სურდა. პრეზიდენტის ნააზრევი დაახლოებით ასე გამოიყურებოდა: კაკუბავას ბრალი ედება იმაში, რასაც აბრალებენ, მაგრამ ეს შევარდნაძის ლიკვიდაციის გეგმაში მონაწილეობა არ არის.

ახალგაზრდა რეფორმატორები და მათი საკურატორო ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციების“ აგიტატორები „კომუნისტური რევანშის“ წინააღმდეგ მიმართულ მგზნებარე ორატორიებში ხშირ-ხშირად ახსენებენ ჯ. ორუელის რომანს „1984“. ალბათ, საკუთარი განსწავლულობისა და დემოკრატიისადმი ბავშვობიდან ერთგულების ხაზგასასმელად. ჩვენც დავესესხებით ინგლისელ მწერალს, მხოლოდ სხვა მიზნით.

„უფროსი ძმის“ ქვეყანაში, სადაც თითოეული მოქალაქის საძინებელსაც ტელესაჭვრეტით აკონტროლებენ, ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს მთელი მოსახლეობა ვალდებულია ტელევიზიით უყუროს „სიძულვილის წუთებს“. გადაცემის მუდმივი მონაწილეა ოპოზიციონერი, ვინმე გოლსტეინი, რომელიც თავის დროზე დიქტატორის – „უფროსი ძმის“ თანაპარტიელი და თანამებრძოლი იყო, ხოლო შემდეგ განუდგა მას. არავინ იცის, სად არის გოლსტეინი. ქვეყნის შიგნით იატაკქვეშეთში, თუ საზღვარგარეთ – ემიგრაციაში. ყველასათვის ცნობილია, რომ მას სიკვდილი აქვს მისჯილი და ეძებენ. ხალხში ხელდახელ დადის მისი წიგნი და ყოველდღე მას ტელევიზიით უჩვენებენ. გოლსტეინი თავისუფლად ქადაგებს, თუ როგორ [illegible] პარტიის პრინციპებს, დემოკრატიისა და თავისუფლების იდეალებს, ჩაითრია ქვეყანა ომში, შექმნა პარტიის დიქტატურა, როგორ თრგუნავს ყოველგვარ პროგრესულს. ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი ახლავს მის ყოველ გამოსვლას. გოლსტეინის ზურგს უკან ეკრანზე მუდმივად მიმდინარეობს მტერი ქვეყნის ჯარების მარშირება. ოპოზიციონერის შემდეგ უჩვენებენ თავად „უფროს ძმას“, რომელიც რაღაცას მოკლედ წაილუღლუღებს და ქრება. გადაცემა ორწუთიანია, მაგრამ საშინელ ეფექტს ახდენს. ბრბო გაბოროტებულ ექსტაზშია. ის მზად არის ჩაქოლოს ყველა, ვინც დიქტატორს ეურჩება. მტრის ხატი შექმნილია.

ყალბი მტრის სახე ერთპიროვნული ძალმომრეობრივი რეჟიმის ერთ-ერთი უმძლავრესი არტერიაა. ასეა რომანშიც, ასეა ცხადშიც, ასე იყო ისტორიულად ბევრ ქვეყანაში, ასეა დღეს საქართველოში. გოლსტეინის ამბავი საოცრად ჩამოჰგავს გიორგაძისას. „უფროს ძმას“ სასიცოცხლოდ სჭირდება გოლსტეინები, შევარდნაძეს, გიორგაძე და არა მარტო ის.

ჩვენში ყალბი მტრის სახე მხოლოდ ხელისუფლებისაგან განსხვავებული აზრისადმი საზოგადოებრივი შეუწყნარებლობის, სიძულვილის გაღვივებისა და ბელადის გაღმერთებისათვის როდი იქმნება.

გადავხედოთ უახლოეს წარსულს და გავიხსენოთ, თუ რით მოხიბლა შევარდნაძემ კრიზს დახარბებული ქართული საზოგადოება – მსოფლიო პოლიტიკოსი, ბერლინის კედლის დამანგრეველი, ხონჩით მილიონების ჩამომტანი. დრო გავიდა და ეს ქარიზმა გაცვდა. თვალნათელი გახდა, რომ სსრკ ყოფილი საგარეო მინისტრის არცერთმა ამ „ღირსებათაგანმა“ არ გვიშველა. არც გაუთავებელმა ვოიაჟებმა, არც საქართველოს მეგობრებთან ხვევნა-კოცნამ და არც მრავალმილიონიანმა კრედიტებმა. თუმცა, ხანდახან საზოგადოების ყურადღებას მაინც იქცევს აშკარად მახინჯი დიპლომატიური ეთიკეტი – ჩვენი პრეზიდენტის არჩევის ცერემონიალები სხვადასხვა უცხოური პრესტიჟული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად თუ სახელოვანი პრემიების ლაურეატად, მაგრამ ხანმოკლედ.

„ის თუ არა, აბა სხვა ვინ“, – ამ ყავლგასულ თეზისს თანდათანობით ჩაენაცვლა ახალი. „კიდევ ეს სჯობია, თორემ საერთოდ დავიღუპებით“, – ახლა ამას უნერგავენ ჩვენს გზააბნეულ თანამემამულეებს.

უარესის შიშით შეჩვეულის განდიდება, ამისათვის კატასტროფული საშიშროებების ინსპირირება, ხოლო შემდეგ ხელოვნურად შექმნილ საფრთხობელებზე გამარჯვება აფიქრებინებს ქართველებს, რომ შევარდნაძე შეუცვლელია, ის რომ არა, დესტაბილიზაციის, ომების, ქაოსისა და შინააშლილობის მორევი შთანთქავს ძლივს დაწყნარებულ ქვეყანას. შიშს კიდევ დიდი თვალები აქვს. კრიზისული ცნობიერების ჩვენს თანამემამულეს მეტი რაღა უნდა, ის კმაყოფილია ლუკმა-პურის საშოვნელად დილიდან საღამომდე სიქაზე გაწყდეს,



ოღონდ მშვიდობა იყოს.

სტაბილური „სამარის მშვიდობისათვის“ ჩვენს შესაგუებლად მუდმივად სჭირდებათ „საფრთხის“ ფაქტორი, რასაც ოსტატურად ქმნიან დროდადრო ერთს ან რამდენიმეს ერთად. განსაკუთრებით არჩევნების წინ, რათა ამომრჩეველმა თავქუდმოგლეჯილმა მიირბინოს საარჩევნო ყუთთან და დაუფიქრებლად მისცეს ხმა მმართველ პარტიასა და მის თავმჯდომარეს.

ზვიადისტები თუ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი თუ აკაკი ელიავა, ეროვნული მოძრაობა თუ დევნილები, ესხუა, ჭაჭია თუ გიორგაძე, მთავრობის კორუმპირებული მოხელეები, გარემოცვა, ბათუმი, კომუნისტები, – ყველა მტერია, ყველა დამნაშავე, ყველა უბედურებას მოუტანს საქართველოს, ქვეყანა ისევ აირევა, რომ არა შევარდნაძე. ავია თუ კარგია, ის და მისი გუნდი უძლეველია და კიდევ ესენი თუ გვიშველიან – ასე ფიქრობენ დღეს ტერიტორიებდაკარგულ, ღირსებააყრილ, გალატაკებულ და გაძარცვულ საქართველოში. ასე უფრო ადვილად მართავენ „ბედნიერ ერს“ ჩრდილოეთიდან, ამიტომ საფრთხობელებიც რუსეთში იქმნება და მათი „მოშთობის“ სცენარებიც იქ იწერება.

მტრული ქვეყნის ლეგიონების მარშირება ყოველი ასეთი „სარფთხის“ აუცილებელი ატრიბუტია. დასავლეთისათვის საჩვენებლად ეს ვითომ სასჯელია საქართველოს ორიენტაციის გამო, ჩვენთვის კი სატყუარა, რომ არაფერს ნიშნავს რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობა, დსთ-ში ყოფნა, რუსი „სამშვიდობოების“ მრავალწლიანი პარპაში ენგურის პირას და მის გადაღმა დუმილი და უმოქმედობა რუსების მიერ ქართული მოსახლეობის გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაზე აფხაზეთსა და შიდა ქართლში, კატასტროფული მდგომარეობა ცხოვრების ყველა სფეროში, თითქოს ეს ყველაფერი ჩვენი ხელისუფლების მოსკოვის ნებისადმი უსიტყვო მორჩილება კი არა, ხელებდაკაპიწებული ანტირუსული პოლიტიკის შედეგია. შევარდნაძე რუსეთის ნამესტნიკი კი არა, ცეერუს აგენტია და მას ამიტომ ებრძვიან რუსები. თუმცა ვერაფრით ვერ მოიხელთეს ვერც ჰაერში, ვერც მიწაზე და ვერც ჯავშნიან „მერსედესში“.

საერთაშორისო და საქართველოს საზოგადოებრიობისათვის თვალში ნაცრის შეყრას, საქართველოში რუსული მმართველობის შენიღბვას ემსახურება ყოველი „საფრთხობელის“ ამოქმედება და მის უკან მოსკოვური კვალის გამოჩენა. ეს მარტო ამიტომ არ აწყობს ჩვენს პრეზიდენტს, რუსეთის საქართველოდან წასვლა, მისდა სამწუხაროდ, მაინც გარდაუვალი ისტორიული პროცესია, რაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამას ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი. თუ ეს საერთაშორისო ცვლილებების გამო მის სიცოცხლეში მოხდა, შევარდნაძეს ექნება მნიშვნელოვანი ალიბი დასავლურ რელსებზე გადასახტომად. მან ყოველთვის შეიძლება თქვას, რომ მუდმივად რუსების სამიზნე იყო, თორემ დაბადებიდან დისიდენტიც გახლდათ, დემოკრატიც, ეროვნული მოღვაწეც და ქრისტიანიც.

კიდევ რამდენიმე კურდღელს იჭერს ხელისუფლება მრავალრიცხოვანი „საფრთხეების“ არსებობით. მას მუდმივად ჰყავს განტევების ვაცი იმ უბედურების გადასაბრალებლად, რომელიც საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის თავადვე მოაქვს ქვეყნისა და ერისათვის. გარდა ამისა, ეს შესანიშნავი საშუალებაა ჭეშმარიტი ოპოზიციის დისკრედიტაციისათვის, მისი აქტიურობის ჩასახშობად, რაც ამჟამად მეტად საშიშ, განსხვავებული მოსაზრებებისათვის ტოტალური ანგარიშსწორების, 30-იანი წლების ცნობილი მოვლენების კონტურებს იძენს.

დავუბრუნდეთ ისევ პირველი არხის ზემოთნახსენებ მრავალსერიან შოუს. გონების განსაკუთრებული დაძაბვა არ არის საჭირო და არც დიდი იურიდიული ერუდიცია, თეთრი ნაკერების მთელი წყების დასანახად. წარმოიდგინეთ, რომ რუსეთი დღედღეზე ამზადებს შევარდნაძის დამხობას და გიორგაძის თეთრი რაშით შემოგრიალებას თბილისში. ამ დროს კი მომავალ ხელისუფალს მობილური ტელეფონებით ვაჭრობა უხდება ვიღაც უცნობთან სამასი კაცის აღჭურვილობაზე ფასის დასაგდებად. ამასთან, მამამისს, „სახალხო-პატრიოტებს“ მძლავრ მატერიალურ დახმარებას ჰპირდება და მსხვილი პარტიების



მოსყიდვასაც სთავაზობს. მრავალნაცად ჩეკისტს კონსპირაციის ელემენტარული წესები დავიწყნია, ტელეფონით ლაპარაკობს ყველაფერზე და ეს ყველაფერი ამჟამად „შეთქმულების“ მონაწილეთა წინააღმდეგ მთავარ სამხილს წარმოადგენს. ის ღიად მოძღვრავს ყურაშვილს, იბარებს თავისთან „შეთქმულებს“, ამხნევებს მათ, კონსულტაციებს უწევს და ა.შ.

ერთობ საინტერესოა, თუ როგორ მოხდა ამ საუბრების მოსმენა.

თურმე ჩვენი სპეცსამსახურები ისე გავაჟკაცებულან, რომ საქართველოს სასამართლოში აღებული სანქციით მოსკოვში უსმენენ საგულდაგულოდ დაცული და მიუხელთებელი საერთაშორისო ტერორისტის ტელეფონებს. ამას გადაცემის წამყვანიც ადასტურებს და ისედაც კარგად ჩანს. უფრო სწორად, ისმის. ჩანაწერზე გიორგაძის ხმა მკვეთრია, სუფთა და ადვილად აღქმადი, ხოლო მისი აბონენტების ძლივს გასარკვევი, ხარვეზიანი და ხმადაბალი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩამწერი მოწყობილობა გიორგაძეს წინ უდევს და ჩანაწერის ხარისხზეც თავადვე ზრუნავს, ხოლო ხაზის მეორე მხარე სადღაც ძალიან შორსაა, ცხრა მთას იქით.

ორუელის რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი – ჯალათი პოლიტპატიმარს ეუბნება – გოლსტეინის წიგნი, რომელსაც თქვენ ჩუმად კითხულობთ, ჩვენი დაწერილია. დიახ, მთელი ეს სანახაობა იმათ მიერ არის დადგმულ-ჩაწერილი და შემდეგ გულუბრყვილო მაყურებლისათვის ზიზილ-პიპილებით მორთმეული, ვისაც საქართველოში შევარდნაძისა და მისნაირების სამუდამო მმართველობა უნდა და მათი ხელით ჩვენი სამშობლოს აოხრება-განადგურება. გიორგაძეც, მისი სატელეფონო საუბრები, თუ სხვა საქმენი, იმათ მიერ არის მოგონილი, ვისაც ქართველი ერის ტანჯვა-ვაება საკუთარი არსებობის მიზნად, ძალაუფლების წყაროდ გაუხდია, ვისაც ნგრევის ინსტინქტი მოსვენებას არ აძლევს კრემლშიც და სახელმწიფო კანცელარიაშიც.

პროკურორის და პარლამენტის ბრალდებებში ბორის კაკუბავა დამნაშავე არ არის. ის მხოლოდ მსხვერპლია გაუკუღმართებული ცნობიერების ბნელ ხვეულებში დაბადებული პოლიტიკური ინტრიგებისა. მან ვერ დაინახა, რომ შევარდნაძე და გიორგაძე ერთი რუსული მონეტის „არიოლი“ და „რეშკაა“.

**მალხაზ პატარაია**

*მოძრაობა „დაბრუნების“ თავმჯდომარე*

## სულის მარგებელი წიგნაკი

გამოვიდა გულაბერ კლარჯის წიგნაკი: „რა რჯული ხარ? – ქართველი! დღეს რა რჯული ვართ?“ სათაური შთაგონებულია XVIII საუკუნის სახელოვანი ქართველი სწავლულის, დიდი მამულიშვილის ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებით – საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილებს „უკეთუ ჰკითხო ვისმე... რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს: „ქართველი“. ავტორის, გულაბერ კლარჯის, მტკიცებით, საუკუნეების, ათასწლეულების განმავლობაში ქართველი ერი ვერ შეძლებდა დამპყრობთა ურდოების მოგერიებას, მათთან გამკლავებას, XIX საუკუნემდე (მოყვრულად მოსული მტრის, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე) ქართული სახელმწიფოებრიობის გადარჩენას, მას რომ არ ჰქონოდა ეროვნული იდეოლოგია, ქართველობის რჯული.

დღევანდელ საქართველოს რომ ეროვნული ხელისუფლება, ჭეშმარიტი პატრონი ჰყავდეს, გულაბერ კლარჯის წიგნაკის მსგავსი ნაშრომები ბევრი უნდა იწერებოდეს და იბეჭდებოდეს, ქართველი ახალგაზრდობა სწორედ მსგავს თხზულებებზე უნდა იზრდებოდეს, რათა ქართველ კაცს კვლავ შთავბეროთ ქართული სული, კვლავ დავიბრუნოთ მამა-პაპისეული მდუღარება ქართული სულისაი. სხვაგვარად მრავალტანჯული საქართველოს საშველი არ იქნება.

საქართველო



# რუბრიკა – გზა საქართველოს პარლამენტისაკენ...

*ბლოკი „სახალხო პარტია – დიდგორი“, გლდანის რაიონის მე-10 საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თემურ გოგსაძე:*

## ერს უნდა მივცეთ თავისი სამართალი, ქართული პურით, ქართული სულით უნდა ვკვებავდეთ...

***– ჩვენთვის ცნობილია, რომ არის დიდი შანსი, ახალ პარლამენტში ვიხილოთ თემურ გოგსაძე. ეს უკვე სერიოზული განაცხადია დიდ პოლიტიკაში. ბატონო თემურ, საიდან მოდიხართ?***

– მე მოვდივარ იმ ყოველდღიურობიდან, რომელიც 1978 წლიდან ეროვნული მოძრაობის სუნთქვას შეიცავდა. მოვდივარ ჩემი პროფესიონალიზმით, ვგულისხმობ როგორც იურისპრუდენციას, ისე ეკონომიკას, ასევე ჟურნალისტიკას. ე.ი. ჩემი პროფესია შერწყმულია, როგორც თეორიულ ასპექტებს, ასევე პრაქტიკულ საქმიანობას.

სამივე სფეროში, ფაქტობრივად, პრაქტიკულ საქმიანობას ვეწევი – იურისტი ვარ, ადვოკატთა კოლეგიის წევრი, როგორც ეკონომისტი – საქართველოს ეკონომისტთა კავშირის წევრი. ფაქტობრივად, უამრავი საქმე მიმყავს ფინანსურ-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით. როგორც ჟურნალისტი, გარდა იმისა, რომ კონტრაქტებით პარტნიორები მყავს საქართველოს მოწინავე გაზეთებში: „ასავალ-დასავალი“, „ალია“, „ახალი თაობა“, სააგენტო „პრაიმ-ნიუსი“, – უშუალოდ მთავარი რედაქტორი გახლავართ გაზეთისა „ადვოკატი მეოხი“ და, რაც მთავარია, ჟურნალისტთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ცენტრის დამაარსებელი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვარ.

***– გარდა ამისა, თქვენი მოღვაწეობა სცილდება ამ სამი პროფესიის სფეროს...***

– თუ ეს საკითხი საინტერესოა მკითხველისათვის, ამჟამად ვმუშაობ მესამე პოეტურ კრებულზე. თავის დროზე ეს ჩაფიქრებული იყო ტრილოგია. პირველი „ლოცვასავით თქმული“, მეორე – „მონანიების მელოდია“ და მესამე – „აღდგომა სიყვარულისა“, რომელიც უახლოეს თვეებში გამოვა. ვამზადებ მოთხრობების კრებულს, რომელშიც დაახლოებით ათამდე მოთხრობა შევა. ვფიქრობ, რომ დავარქმევ „ჩემი სულერთია“. დიდი ხანია ვმუშაობ სქელტანიან რომანზე „მე მახსოვს ჩემი მომავალი“.

***– წინასაარჩევნო ვნებათაღელვები უკვე დაიწყო. დასაწყისშივე წინააღმდეგობებს წააწყდით...***

– რატომღაც ჩავთვალე, რომ დადგა დრო ვცადო ბედი საპარლამენტო არჩევნებში და ჩემს ამომრჩეველს, ხალხს მინდა ვთხოვო, მომცეს უფლება, ის, რაც მე გავიარე, რაც პროფესიულად მაქვს და ვთვლი, ჩემი სამშობლოსათვის აუცილებელია, მივიტანო საკანონმდებლო ორგანოს დონემდე და განვახორციელო ქართველი ერის ინტერესების დაცვა. დარწმუნებული ვარ დადგება ამის საჭიროება. იმედი მაქვს, ქართველი ამომრჩეველი იაფფასიან დაპირებებს არ გამოეკიდება და მას დაუპირისპირებს ჯანსაღ, რეალურ აზრს და ჭეშმარიტ პროფესიონალებს, ღირსეულ ადამიანებს გაატარებს პარლამენტისაკენ.

***– სასამართლო რეფორმას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი შედეგებიც. თქვენ რა აზრის ბრძანდებით?***

– მე არ მიყვარს წინასწარი და არარეალური დასკვნების გაკეთება. გულწრფელად გეტყვით, ფაქტობრივად, მიდის საშინელი ომი. სამწუხაროდ, არჩევნები ღებულობს ბევრ საკითხში არაჯანსაღ ფორმებს. ალბათობები მოსყიდვის, გაყალბების და ა.შ. საკმაოდ დიდია.

***– ბატონო თემურ, როგორ ფიქრობთ, პარლამენტში რა პროფესიის ხალხი უნდა მოვიდეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ პარლამენტი საკანონმდებლო ორგანოა.***

– მე ვფიქრობ, უმეტესობა უნდა იყოს ეკონომისტები, იურისტები, არა მარტო თეორიული თვალსაზრისით გაჯერებული, არამედ პრაქტიკოსი იურისტებიც უნდა იყვნენ. ასევე უნდა იყვნენ სოციოლოგები, ფილოსოფოსები და ა.შ. ბირთვი უნდა იყოს პროფესიონალებისაგან შემდგარი, რათა ქვეყანამ შექმნას რეალური სახე და სურათი სახელმწიფო სტრუქტურების, სახელმწიფო საკანონმდებლო ხაზის და ა.შ. პარლამენტმა მინისტრებს მორგებული კანონები არ უნდა მოგვახვიოს თავს.

***– თქვენ აქტიურად იყავით ჩართული საქართველოში მიმდინარე ყველა პროცესში...***

– დღეს ვერავინ ვერ დაასახელებს პოლიტიკურ და იურიდიულ საქმეს, რომელიც მე არ წამეყვანოს, როგორც ამ საქმეში ჩახედულ ადამიანს. ყველა საქმის შუაგულში ვიყავი. ზოგჯერ ზედმეტად აქტიურადაც კი. ყველაფერი იყო გულწრფელობით და მაქსიმალური პროფესიონალიზმით გაჯერებული. დღევანდელი გადასახედიდან, ის საკითხები, რომლებიც მაშინ წინა პლანზე წამოვწიეთ, დღესაც აქტუალურია. ჩემი წარსული მეამაყება და ვფიქრობ, მან ბევრი რამე შემძინა, როგორც ადამიანს, იურისტს, პოლიტიკოსს.

ყველას კარგად გვახსოვს 1978 წლის 14 აპრილი. იმ დღეებში ბატონმა სოლომონ ხუციშვილმა მითხრა: „შვილო, გაფრთხილდი, შენ ხვალინდელ საქართველოს სჭირდები და ასე უცებ ნუ გაფიცხდები. ხევისბერები სხვანაირად სჯიდნენ ამ საკითხს“.

მინდა გავიხსენო სახალხო ფრონტის პირველი ყრილობა, როცა მე და ბატონი სოლომონი გამგეობის წევრები ვიყავით. მაშინ ბევრი რამე ვისწავლე, როგორც პოლიტიკოსმა და ბევრი კარგი ადამიანიც გავიცანი.

რაც უფრო დრო გადის, რაც უფრო მეტი პროფესიონალიზმი მიგროვდება, მით უფრო მეტად აწონილ-დაწონილი მინდა იყოს ყველაფერი ჩემს გარშემო, მითუმეტეს, ის საკითხები, რომელიც ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესებს ეხება.

მე მთელი რიგი საკითხების მიმართ ჩემი დამოკიდებულება და შესაბამისად, კანონპროექტები მაქვს. ეს მომზადდა, ერთის მხრივ, „მეოხის“ საკონსულტაციო ჯგუფის მიერ და მეორე მხრივ, წლების განმავლობაში ჩემი პროფესიული თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის შედეგად. ბოლო დროს ამას დაემატა ჩემი, როგორც ეკონომისტის მოღვაწეობა. საბანკო სისტემის სპეციალისტი ვარ. როცა უცხოელებს წარვუდგინე ჩემი ნაშრომი: „ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებები საბანკო სისტემაზე“, არ დაიჯერეს, ჭავჭავაძეს ასეთი საბანკო სისტემა არ ექნებოდაო. ამ დროს ეს ყველაფერი რეალობაა. თუ ერის ფსიქიკას არ არის მორგებული კანონი, ფაქტიურად, ის არ იმუშავებს ქვეყანაში. თუ ერის სამართლებრივი ფსიქიკა მოიშალა, ეს იქნება ყველაზე საშინელი. არ შეიძლება მივიღოთ ისეთი დასავლური სამართალი, რომელიც ჩვენს ფსიქიკაში არ ზის. XXI საუკუნის მიჯნაზე ვდგავართ, რომელიც ღვთაებრივი გონის საუკუნედ მოიაზრება. ეს ღვთაებრიობა ყველგან გვიდევს, მათ შორის სამართალში. ერს უნდა მივცეთ თავისი სამართალი, ქართული პურით, ქართული სულით უნდა ვკვებავდეთ. ეს არის ჩემი პრინციპი, რომლითაც მინდა პარლამენტში თუნდაც სულ მცირედი გავაკეთო ქვეყანას, რომელმაც XII საუკუნეში აკრძალა სიკვდილით დასჯა და აქვს „ხელმწიფის კარის გარიგება“, არ შეიძლება ვინმესგან გადმოწერილი კანონები ჰქონდეს. თუმცა, მე რეფორმატორთა რიგებში ვდგავარ და მინდა სამართლებრივი სახელმწიფო ჩამოყალიბდეს, სამართლებრივი რეფორმა ერთიან კომპლექსურ რეალურ საფუძვლად იქცეს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობისა.

სამართლებრივი რეფორმა საქართველოში აუცილებლად უნდა განხორციელდეს. რაც გაკეთდა, ბევრია დადებითიც და უარყოფითიც. ეს პროცესი უნდა დაწყებულიყო, მაგრამ არა ისე, როგორც დაიწყო. არ შეიძლება უკანონობის გზით კანონიერების შემოტანა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარე სამყაროს პირობებს, რაშიც ეს ყველაფერი მიმდინარეობდა, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. არ შეიძლება რომელიმე ერთმა მიმართულებამ საქართველოში დაიჩემოს ნებისმიერი სახის რეფორმა, იმიტომ, რომ ერთი პოლიტიკური მიმდინარეობის, ერთი პიროვნების რეფორმა არ გამოადგება ერს.

***– თქვენ ეროვნული მოძრაობიდან მოდიხართ. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ დღეს ამ მოძრაობიდან მოსული ადამიანების ნაწილს შეეცვალა ეროვნულ ფასეულობებზე შეხედულება?***

– ეროვნულმა მოძრაობამ გაუძლო გაუსაძლისს – ხელოვნურად შექმნილ უმძიმეს პირობებს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა, დიქტატორულ სიტუაციას, ავანტურებს. მან ყოველივე ამის მიუხედავად თავისი სახე მაინც შეინარჩუნა. ღმერთის წყალობით, ეროვნული მოძრაობა ფეხზე დგას. რაც შეეხება გარკვეული ნაწილის იძულებით ჩიხში მოქცევას, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ თავიანთ იდეებზე უარი თქვეს. მე იმედი მაქვს, მიუხედავად სოციალური სიდუხჭირისა, მაინც ნათელი გონება გაიმარჯვებს.

***– ჩვენს შორის აღარ არიან ეროვნული მოძრაობის ლიდერები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და ირაკლი წერეთელი, რომელსაც თავისი სიტყვა ეთქმის პოლიტიკაში, დასანანია, რომ დღევანდელ არჩევნებში მონაწილეობას არ ღებულობს. საინტერესოა თქვენი აზრი ამ საკითხთან მიმართებაში, მით უფრო, თქვენ თანამებრძოლები იყავით.***

– მე თბილისში ხშირად დავდივარ იმ ადგილებში, სადაც მრავალი ქარცეცხლი გადაგვიტანია და გული მტკივა ყველაფერ იმაზე, რაც ჩვენი სულის მიღმა დარჩა, სხვა სამყაროს შეუერთდა. მგონია, მე თუ გადავრჩი, სხვა მომავალ დიდ ბრძოლებს უნდა შევეწირო. ეტყობა, უფალმა ისე განაგო, რომ ისინი, ვინც ღირსეული და მოწინავეები იყვნენ, მაგალითებად წავიდნენ ჩვენგან.

მე მესმის ირაკლი წერეთლის პოზიცია, რომ მას არ უნდა არჩევნებში მონაწილეობის მიღება. მეორე მხარეა ის, რომ დღეს საქართველოში ყველაფერი მათემატიკური სიზუსტით არის გათვლილი, გაყალბება ყველაზე მეტად.

პოლიტიკაში უნდა მოვიდნენ ეროვნული მოძრაობიდან, მაგრამ უაღრესად პროფესიონალები, ვინც ერკვევა პოლიტიკაში. პარლამენტისაკენ გზას მიიკვლევენ ადამიანები, რომელთაც სჭირდებათ არალეგალური ბიზნესის ლეგალიზება, იმუნიტეტის ქვეშ შეფარება. ვხუმრობ ხოლმე, ერთის მხრივ, პროკურორების და პოლიციელების შტო მიდის პარლამენტისაკენ, მეორეს მხრივ, კრიმინალების და ერთი ადვოკატი ხომ უნდა ჩადგეს მათ შორის-მეთქი.

არც ერთი არჩევნები არ ყოფილა ისეთი სავაჭრო ობიექტი, როგორც ახლანდელი, ისეთი პოლიტიკური და იურიდიული დოკუმენტების მიღების წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა, რომ აუცილებლად სჭირდებათ ის, რა ჩაფიქრებულია.

***– როგორია თქვენი პროგნოზი მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით?***

– მე ჩემი პროგნოზი გაკეთებული მაქვს გულწრფელობის მომენტიდან გამომდინარე. თუ მას დავეყრდნობით, ძალიან შევცდები. პროგნოზის გაკეთება წამგებიან პოზიციაში აღმომაჩენს ხვალ.

სერიოზული საშიშროებაა არჩევნების ჩაშლის. მთავარია ტყვია არ გავარდეს. შემთხვევითი არ არის და ერთიან ჯაჭვს ქმნის აფხაზეთის არჩევნები, ჩეჩნეთიდან ლტოლვილების გადმოსვლა და ა.შ. ეს ყველაფერი საქართველოში პოლიტიკური ღრუბლის გასამუქებლად, რეალური ბერკეტების ხელში ასაღებად არის გაკეთებული. აქედან გამომდინარე, ქართველი ამომრჩეველი მოუსყიდველი და ბრძენი უნდა იყოს.

***– ხშირად აღნიშნავენ, რომ წინასაარჩევნოდ შექმნილი ბლოკები დაიშლებიან...***

– ბლოკები და პარტიები შეიძლება დაიშალოს, მთავარია, საქართველოს ერთიანი მთავარი სათქმელი, ქვეყნის სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, ერის ფსიქიკა, სული არ დაიშალოს.

***– როგორ აღიქვამთ ტელევიზიით გადმოცემული წინასაარჩევნო სარეკლამო შოუებს?***

– დღეს სასიხარულო არაფერი გვაქვს. როკვა და ის, რაც ქართულ საგალობელს დასცილდება, ვერც პოლიტიკაში და ვერც ვერსად ვერაფერს მოგვიტანს. ჩვენ ჯვარცმის არასოდეს არ გვშინებია. მამაზეციერი ვისაც ჯვარცმას უწესებს, იქვე აღდგომის აუცილებელ პოტენციალს აძლევს. ამიტომ „გიხაროდენ!“ ნამდვილად არაა „ქვეყანაში ფერები მუქი“, კი რეალობაა.

საქართველოში როცა იდგა ჭეშმარიტი ზეობის ჟამი, მაშინ პოლიტიკა აბსოლუტურად პრაგმატიზმამდე დაყვანილი, აბსოლუტურ სულიერებას იყო შერწყმული და ამიტომაც მოვიგეთ დიდგორის ომი. ქვეყანაში, სადაც სულიერება არ უძღოდა ნებისმიერ საქმეს, ერის ქვაკუთხედი არასოდეს არ ჩაყრილა. განსაკუთრებით, საქართველოში. როგორც არ უნდა შევუერთდეთ მსოფლიო ძვრებს, თუ არ დავუბრუნდით პოლიტიკურ სულიერ ცნებას, არაფერი არ იქნება.

***– დეპუტატად არჩევის შემთხვევაში თქვენი მოღვაწეობის ძირითადი სფერო რა იქნება?***

– უმთავრესი საკითხი იქნება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის საკანონმდებლო საფუძვლების შექმნა, ასევე ჩემს პოლიტიკურ მოღვაწეობაში მთავარი საკითხი იქნება საქართველოში შემუშავდეს სახელმწიფო უშიშროების მძლავრი დოქტრინა შესაბამისი სისტემებით, სტრუქტურებით, რაც მთავარია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

რუბრიკას უძღვება
იზოლდა ცირდავა

# პრობლემა

## ქართველი გოგონები თურქებთან „ლაღობენ“, მეცნიერი ქალი კი ტუალეტს ხეხავს

ჩემს წინ სანდომიანი გარეგნობის, ტიპიური ქართული ხასიათისა და შეხედულებების ქალბატონი ზის და თავის გულისტკივილზე, საქართველოს ბედზე, აუწერლად გაუსაძლის მდგომარეობაზე ტირილით მესაუბრება.

ასეთი რამდენი ადამიანი მოდის რედაქციაში. ყველას უჭირს, მაგრამ მსგავსი ჯერჯერობით არაფერი მომისმენია.

ეს ქალბატონი სწავლულთა წრეში მიღებული, ცნობილი მეცნიერია. ძალიან ნერვიულობს, რომ მეცნიერებამ საქართველოში 20 წლით მაინც დაიხია უკან და რომ ჩვენი ქვეყანა ლაქიების ქვეყანად გადაიქცა...

ამ ქალბატონს შვილი ჰყავს აყვანილი და დღესდღეობით თურქების მოსამსახურედ, დამლაგებლად მუშაობს. მას არ ეძლევა არანაირი დახმარება, როგორც მარტოხელა დედას. პენსიაც არ დაუნიშნეს ავთვისებიანი კიბოთი დაავადებულს, ასეთი დიაგნოზით ადამიანებს ოპერაციასაც კი არ უკეთებენ, განწირულები არიან, როცა ქალმა საკუთარი თვალებით სიკვდილი დაინახა, ღმერთს შესთხოვა შველა ღმერთის ნებამ (აბა, სხვა რა შეიძლება დაერქვას) იგი გადაარჩინა. ბავშვის გულისათვის ქალმა უკანასკნელი ძალა, მხნეობა მოიკრიბა, ფეხზე წამოდგა და სახლების დალაგება დაიწყო.

შევეცდები ჩვენი საუბრის შინაარსიდან გადმოგცეთ მხოლოდ ზოგადი ნაწილი, რამეთუ ქალბატონის ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით მის ვინაობას არ დავასახელებთ. შეძლებისდაგვარად დავეხმარებით პრობლემის მოგვარებაში, კონკრეტულ შედეგებზე მსჯელობას კი რედაქცია კვლავაც გააგრძელებს.

*მეკუბოვე: „ღმერთო, ბევრი ხალხი მოკალი, რომ მე შემოსავალი არ მომაკლდეს“.*

მარტოხელა დედა ვარ, ვცხოვრობ ავლაბარში, აქამდე მეცნიერად მიცნობდნენ. ბიო-ქიმიის ინსტიტუტში დიდი შრომა მაქვს გაწეული. ასპირანტურა მოსკოვში დავამთავრე, დისერტაცია იქვე დავიცავი. ჩემი ხარისხის თემა: ბეენემისა და ერენემის სინთეზი გახლდათ.

დღეს მე თვითონ არ ვიცი, ვინ ვარ. მეცნიერებაში კვლევა აღარავისთვისაა საჭირო და ამიტომ ვიკვლევ, იქნებ, ვინმეს სახლი ჰქონდეს დასალაგებელი ან სარეცხი დასარეცხი. ღამე რომ დავწვები, სულ იმას ვნატრობ და ვოცნებობ „ღმერთო, ბევრი გასარეცხი, დასალაგებელი გამიჩინე – მეთქი“.

*არსებობს თუ არა კანონი მარტოხელა დედათათვის – მიიღონ დახმარება!*

არანაირ დახმარებას არ მაძლევენ. სულ მაინტერესებს, მამა როცა უკვდება საერთოდ ბავშვებს, არის ასეთი კანონი, რომ რადგან მარჩენალი დაეკარგათ, მათ ენიშნებათ დახმარება, ხოლო მარტოხელა დედას, რომლის ბავშვსაც მამა თვალითაც არ უნახავს – არა! რა კანონია ეს?!

*ცნობილი ჭეშმარიტება ძაღლები უფრო ჭკვიანები და ერთგულები არიან, ვიდრე ადამიანები.*

ჩვენი პატიოსანი ინტელიგენცია საშინელ, გაუსაძლის მდგომარეობაშია, ზოგი მე შემომნატრის კიდეც... რადგან მე ოჯახებში დამლაგებლად მამუშავებენ. ფიზიკურად ძალიან მიჭირს, მაგრამ თავს ზევით ძალა არ არის!!!

ერთ ბობოლების ოჯახს ვემსახურები, კვირაში ერთხელ მიბარებენ. პირდაპირ მკლავენ, იმდენს ვშრომობ, 7 ლარს მაძლევენ. დილის 9 საათიდან საღამოს 10 საათამდე იქ ვარ. ხმასაც ვერ ამოიღებ, არ გინდა და სხვამ შეიძლება 5 ლარზეც იმუშაოს. მთელ ძალებს ვიკრებ, როგორმე გავძლო და 10 წლის მარტოდატოვებულ შვილთან დროზე მივიდე, მაგრამ ახლა „ბაქარუკა“ გაასეირნო – ძაღლზე მეუბნებიან... უხმოდ გამყავს ძაღლი სახლიდან ბაღში და ვასეირნებ... გარეთ კი ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამომდის და მოვთქვამ. „ბაქარუკა“ იძუნძულებს, იბოდიალებს და ბოლოს ისევ ჩემთან მოვა, სახლში წამიყვანეო. ყველაზე მეტად მგონი ამ ძაღლს ესმის ჩემი, ისე რაღაცნაირად დამწუხრებული მიყურებს და თითქოს რცხვენია, დამნაშავედ გრძნობს თავს. ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, თვალებით მელაპარაკება.

*იქნებ, სხვაც გადარჩეს. ონკოლოგიურში ბიოპსია კი არა, ბარემ ოპერაცია გაუკეთონ ავადმყოფებს.*

1996 წელს ვკვდებოდი, მოვხვდი ონკოლოგიურში დიაგნოზით – „ლიმფოგრამულოგრაფოზი“ – ჩემი მკურნალი ექიმი გივი ღოღელიანი გახლდათ. შესანიშნავი ექიმების გარემოცვაში აღმოვჩნდი. დამიწყეს მკურნალობა ქიმიოთერაპიით, ფეხზე ვერ დგახარ... ისეთი ძნელია, რადგან უნდა მოკლან ავთვისებიანი უჯრედები, ამასობაში კი ისპობა მთელი ორგანიზმი. „დედა, არ მოკვდე რა!“ – ტიროდა ბავშვი. ძალიან განვიცდიდი ჩემს შემდეგ, რა უნდა ექნა გოგონას, ეს რა ცოდვაში ჩავდგი ფეხი – მეთქი? – ვფიქრობდი ან კუბოს ჩემთვის ვინ გაიმეტებდა.

ისევ ჩემმა ძველმა კავშირებმა – მეცნიერებასთან ითამაშა გადამწყვეტი როლი. შესანიშნავი პიროვნება და უდიდესი მეცნიერი, ბიო-ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ბატონი კვესიტაძე და მე ახალგაზრდობაში ერთდროულად ვსწავლობდით მოსკოვში ასპირანტურაში. სწორედ მისმა ძმამ, ცნობილმა ექიმმა თემურ კვესიტაძემ გარისკა და „გამაცოცხლა“. მან მე ბიოპსია კი არა, ოპერაცია გამიკეთა, ასეთი რამ

გაგრძელება მე-14 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საცინისა და იუმორის გვერდი



რუბრიკის მასპინძელია
**გივი თუშიშვილი**

### „ნიანგის ტყაოსანი“

მწერალს ლარიც არა აქვს,
რომ გამოსცეს რომანი
ოჯახს არ გააჩნია,
გატეხილი ქოთანი.
რაც რომ ჰქონდა, გაყიდა
არ აცვია ფოხანი,
არც სახლი აქვს, არც კარი,
არც ბაღი, არც ბოსტანი.
ხოლო ჩინოსნის შვილი
მუხისთავა ოჩანი,
ვისთვისაც – „ჩემი დედა...“
არის ფრაზა ფრთოსანი,
აფრიკაში ნადირობს,
„ნიანგის ტყაოსანი“
საფრანგეთში სადილობს,
უწიგნური რქოსანი.
როცა ხელფასს ვერ იღებს
საჩინო კალმოსანი,
სასამართლოს ვერ იგებს,
შვილმკვდარი შაოსანი.
სკოლის წიგნებს ვერ იძენს,
ბავშვი ფრიადოსანი
და ჯიბეგახვრეტილი
დადის ნაღდი მგოსანი!

### „სოლიტერი!“

არ იქნა და არ გველირსა,
არ გამოცხვა ობლის კვერი,
სამაგიეროდ უსაზღვროდ
გაზულუქდა „სოლიტერი“!
არც საჭმელი, არც სასმელი,
ტანსაცმელი როდინდელი,
სანაცვლოდ კი „სავარძელში“
ბაირამობს „სოლიტერი“!
ერთ გვერდსაც ვერ წააკითხებ,
(წიგნებს ადევს ტონა მტვერი)
დოლარების „ხვეტაში“ კი
ყარამანობს „სოლიტერი“!
დღეს იცხოვრებ დიდებულად,
თუნდაც იყო სრული შტერი,
ოღონდ, პირობა ერთია
უნდა გახდე... „სოლიტერი“!



### „გულდაწყვეტილი ხინკლები“

მივლინებაში გახლდით იმერეთის ერთ პატარა ქალაქში. იმ დღის საქმე რომ დავამთავრეთ, ჩემმა მასპინძლებმა რესტორანში შემიპატიჟეს, მეორე დილით კი სასტუმროში მომაკითხეს და ხაშზე წამიყვანეს, შემდეგ ოჯახში გადავინაცვლეთ, იქვე გიტარაც გაჩნდა და... ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე.

მივლინების ბოლო დღეს კი, კვლავ „მძიმე“ პახმელიაზე გაღვიძებულმა გავიფიქრე, სანამ უნდა ვიყო ამ გულკეთილი ხალხის ხარჯზე – მეთქი და ქუჩაში ადრიანად გამოვედი. ქალაქის ცენტრში დაახლოებით ერთი საათის სეირნობის შემდეგ ჩემდა უნებურად სახინკლეს მივადექი, სადაც დიდი შრიფტით გამოეკრათ: „გვაქვს ცივი პივა“.

ამ მაცდურმა პლაკატმა თავის ტკივილი უფრო გამიძლიერა, სულმაც წამძლია და ჩემი „აფთიაქის“ კარები მორიდებით შევაღე... სახინკლეებში მაღალი მრგვალი მაგიდები იდგა. ცოტა ხანში ცხელი ხინკლებით სავსე თეფში ერთ-ერთ მაგიდაზე დავდგი და ლუდის დახლთან მივედი. სასმელი მართლაც ისეთი ცივი და ქაფქაფა იყო, რომ ორი კათხა იქვე სულმოუთქმელად გადავკარი და მესამე ხინკალზე მისაბოლებლად ჩამოვასხმევინე. უკან მობრუნებული რას ვხედავ: ვიღაც ორმეტრიანი „კვადრატული“ აგებულების აყლაყუდა (სიგრძე და სიგანე ერთი ზომის ჰქონდა) მაგიდასთან ატუზულა და ჩემს ხინკალს არხეინად (დროდადრო სულის შებერვით) მიირთმევს...

ბრაზმორეულმა ერთი პირობა დავაპირე, ამ მათხოვარს აქედან კინწისკვრით გავაგდებთ – მეთქი, მაგრამ იმოდენაა, ერთი მეც რომ შემიბეროს, გამაქრობს, არადა, ხინკალიც მენანება და არც თავმოყვარეობა მაძლევს უფლებას, ვიღაცას თავი დავაჩაგვრინო. ამ გადაწყვეტილებით მაგიდასთან უსიტყვოდ მივედი, თეფში ჩემსკენ მოვიწიე და უცერემონიოდ დავიწყე ხინკლის აღება...

უცნობმა ჯერ ავად შემომიბღვირა, შემდეგ სიბრაზე გაკვირვებით და ბოლოს სიბრალულით შეეცვალა, თითქოს ვეცოდებიო. მე კი ის მეცოდებოდა, ამოდენა, სუფთად და ელეგანტურად ჩაცმული კაცი ჩემი ხინკლის იმედზე რომ შემოყიალდა და ასე, ორი ჩაგალსტუხებული უცნობი, ერთმანეთის საცოდაობით დამწვარ-დათუთქულები სიამის ტყუპებივით ერთი თეფშიდან უხმოდ შევექცეოდით ხინკალს, იმ განსხვავებით, რომ ჩემი პარტნიორი ჭამის დროს ორივე ხელს, მე კი მხოლოდ მარცხენა ხელს ვხმარობდი, რადგან მარჯვენათი მაგრად ჩაბღუჯულ კათხას შიშით ხელს ვერ ვუშვებდი, რათა თავხედ თანამესუფრეს ჩემი ლუდიც ზედ არ მიეყოლებინა. ასე გაგრძელდა რამდენიმე წუთს, სანამ ხინკალი თეფშიდან არ გაქრა.

წასვლის წინ უცნობმა კიდევ ერთხელ ხმაამოუღებლივ, ცნობისმოყვარეობით შემათვალიერა, თავი სიბრალულით გადააქნია და შენობიდან სწრაფი ნაბიჯებით გავიდა. სანამ მეც მის კვალს გავყვებოდი, გავიფიქრე: ღმერთო ჩემო, რამდენ მუქთამჭამელს, უტიფარს, უსინდისოს და უსირცხვილოს იტევს ეს ცოდვილი დედამიწა – მეთქი. უკვე კარებთან მისული რაღაც უხილავმა ძალამ უკან შემომაბრუნა და, მუხლები მომეკვეთა... ჩვენს უკანა მაგიდიდან, რომელსაც ის ახმახი ეფარებოდა, ჩემი შეკვეთილი ხელუხლებელი ხინკლები „გულდაწყვეტილი“ მიმზერდნენ.

### „გადანახულებებზე“...

მუსიკა და კერძოდ, საგიტარო ხელოვნება ჩემი ცხოვრების თანამდევი ფონი იყო მუდამ. იგი, როგორც სულიერი საზრდო და უარყოფითი ემოციების განმუხტვის საუკეთესო საშუალება, არაერთხელ დამხმარებია ჭირსა თუ ლხინში, ერთგული მეგზურობა გაუწევია ჩემთვის და ბუნებრივია, მასთან ერთად მისგან კურიოზსაც გადავყრივარ, რომელთაგან მხოლოდ ორიოდე მათგანს გავიხსენებ...

ახალგაზრდობაში, როდესაც ჩემმა ახლობლებმა იმედი დაკარგეს, რომ მე სიყვარულით ცოლის შემრთველი არ ვიყავი, გადაწყვიტეს საქმის ძველებური, მამა-პაპური ტრადიციით მოგვარება, ანუ ჩემი დაოჯახება გადანახულება-გარიგების საშუალებით. ამ, ე.წ. „გადანახულების“ პრინციპი მარტივი იყო: ნათესავ-მეგობრების ხელშეწყობით ეწყობოდა საოჯახო სუფრა, ამ ოჯახში „შემთხვევით“ უნდა შემევლო, სადაც შემახვედრებდნენ გასაცნობ „ობიექტს“, შემდეგ კი კარგად მოვილხენდით და თუ ერთმანეთი მოგვეწონებოდა, შეხვედრები გაგრძელდებოდა ბედნიერ დასასრულამდე.

თავდაპირველად სრული სერიოზულობით მოვეკიდე ამ „სამაშვალო სამსახურს“, არც ვაცდენდი და არც ვაგვიანებდი, „საპატარძლოსაც“ ყურადღებით ვათვალიერებდი. მაგრამ ამ მუქთა წვეულებებს ისე მივეჩვიე, რომ გადანახულების ნამდვილი მიზანი სულ გადამავიწყდა და იმის გაგონებაც მზარავდა, ცოლის შერთვის შემდეგ ამ განცხრომას რომ უნდა გამოვმშვიდობებოდი, ხუმრობა ხომ არ იყო, საჭმელ-სასმელი, ქეიფი და დროსტარება უფასო, ჩემი საქმე კი მხოლოდ დაკვრა, სიმღერა და ბოლოს კი საპატარძლოს შესახებ შთაბეჭდილების გაზიარება ანუ „რეცენზია“ იყო. ალბათ, ბულალტერი მაკლდა, ხელფასიც რომ მოეცა, თორემ სხვაფრივ ზღაპარში მეგონა თავი. მე, როგორც ჯენტლმენს, აბსოლუტურად ყველა გადასანახულებელი ქალი მომწონდა, თუმცა რატომღაც ეს „ერთი ნახვით სიყვარული“ ღვინის გამონელებისთანავე ქრებოდა... (აქვე იმასაც დავძენ, რომ საჭიროების შემთხვევაში საპატარძლოს ოჯახიდან გაპარვის მრავალი მეთოდი მქონდა შემუშავებული). იყო შემთხვევები, როდესაც ჩემი ახლობლები დროისა და ჯიბის ეკონომიის მიზნით ერთ გადანახულებაზე (პურმარილზე, ორ და ზოგჯერ სამ საპატარძლოსაც მახვედრებდნენ. ერთ-ერთ ასეთ წვეულებაზე ერთდროულად სამი გოგონა გამაცნეს: ვატო, კატო და ნატო... ვატო, გარდა იმისა, რომ ენაბლუ იყო, ისე კოჭლობდა, რომ ცალ ფეხზე ორი თუ არა, ერთი მტკაველი მაინც აკლდა. კატოს კი, მგონი ორივე თვალი შუშის ჰქონდა (არც ერთს არ ახამხამებდა). მათ ფონზე ნატო მზეთუნახავი ჩანდა და ეს „სალფეთქზე“ დაწერილი ექსპრომტიც ამ უკანასკნელს სადღეგრძელოს მაგივრად წავუკითხე:

ჩემო ლამაზო ნატო,
ჩემო ღმერთო და ხატო,
ჭკუა-გონებით კანტო,
ლალო და ბრილიანტო.
ჩემი გიტარის ბანტო,
არც ვატო მსურს, არც კატო
მხოლოდ შენ გეტრფი, გნატრობ
ცოლობის კანდიდატო
და სიყვარულის სტარტო,
თუმც კენტად კი ვარ მარტო,
ვით სული ობოლი ტატო,
არ გამაჩნია ავტო,
ვერ მიყიდია პალტო
მაგრამ ძვირფასო ნატო
ძლიერ მომწონხარ... „ზატო!..“

ამ „ბაირამობაში“ გარდა თბილისისა, სხვა ქალაქებშიც „გამსვლელ სესიებზეც“ მიწევდა ჩასვლა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ჩემი ვიზიტები ქუთაისში...

ერთ ზაფხულს ახლობელმა დამირეკა და მითხრა, ქუთაისში ხომ არ აპირებ ჩამოსვლასო. თუ ჩამოხვალ, არ ინანებ, ისეთ გოგოს გაგაცნობთო. თქვენთან ჩამოსვლას არ ვაპირებდი, მაგრამ რამდენიმე დღეში აბაშაში (დედულეთში) მივდივარ და გზად შემოგივლით – მეთქი. შევთანხმდით. დათქმულ დღეს ქუთაისში თვითმფრინავით გადავფრინდი და რამდენიმე საათში უკვე მაგიდას ვუსხედით. ცოტა ხანში საპატარძლოც მობრძანდა, რომელიც პირდაპირ დამისვეს. მართლაც რომ მშვენიერი გოგონა აღმოჩნდა. შვებით ამოვისუნთქე, თან გულში ვფიქრობ, მადლობა ღმერთს, რომ არც კოჭლია, არც კუზიანი, არც უკბილო და არც ბრუციანი – მეთქი. თუმცა ცოტა ხანში აღტაცებასთან ერთად ეჭვმაც შემიპყრო. ჯერ იმის გამო, რომ გაცნობის დროს გოგონამ ხელი ისე ჩამომართვა, ხმა არ ამოუღია, მისი ორიგინალური სახელი „ფასო“ მასპინძელმა შემატყობინა. შეისვა რამდენიმე სადღეგრძელო, გავიდა ერთი საათი, მაგრამ ეს გოგონა ხმას არ იღებს. ვიფიქრე, ალბათ, ყრუ-მუნჯია საწყალი – მეთქი, მაგრამ გარეგნობით იმდენად მომწონს, რომ ბოლოს და ბოლოს ვთმობ ამ ნაკლს (ისე კი ცოლად უენო და უპრეტენზიო ყრუ-მუნჯს რა სჯობს). ეს ჩემი ეჭვი მასპინძლებს რომ გავუმხილე, შორს დაიჭირეს: როგორ გეკადრება, ყმაწვილო, ყრუ-მუნჯი კი არა, პირიქითაც არის მგონიო.

თუ მუნჯი არ არის, მაშინ როგორც გენებოთ, ისე აალაპარაკეთ – მეთქი, – გავჯიუტდი მე. ამასობაში შეზარხოშებულმა თამადამ და სუფრის წევრებმა მთხოვეს გიტარაზე რაიმე შემესრულებინა. მეც მომენტი ხელიდან არ გავუშვი და გავჭირვეულდი. სანამ ფასო პირადად არ მთხოვს, არაფერსაც არ დავუკრავ – მეთქი. რაღას მეტყოდნენ. მთელმა სუფრამ ფასო – ძვირფასოს ძახილით გაუმეორა ჩემი „ულტიმატუმი“... მცირე ხნის შემდეგ უზომოდ გაცეცხლებული საპატარძლო უეცრად მომიბრუნდა და სეტყვასავით დამაყარა, მაგრამ რა დამაყარა: „რასაა, ბიჭო, რო იტყლარჭები თუ იცი, თუ უკრავ დოუკარი. თუ არადა, გადაშენდი და გადაქუხდი აქედან. დედა, არ წაგვჭამა ტვინი ამდენი გლახაობით და ჯღანაობით? ვინაა აი, კვდარგაციებული – გაფირჩხინებული...“ შემდეგ სხვებს მიუბრუნდა და დამცინავი ხმით აქოთქოთდა: „ამ უცოლო კაცებს დაცვინდეს ხორცები და არ გოუთენდეს სახაშე დილა, აგენს შეეყაროს შიდსია თუ რაცხა ჯანდაბა და აგენი ვნახე ერთ კუბოში ვახტანგურად გადაკვარჩხული, რავა ყველა ოხერი და მუდრეგი მე უნდა გედემეყაროს, გაწყდა აგენის ფესვი და სინსილა, აგენს დეეწვა და დეეხრუკა ოჯახი და ჯილაგი, აგენს ჩოუშავდა და ჩოუბნელდა სტეკლოიანი თვალები, ჩემისთანა ქალი ამდენ ხანს რო ვერ დეინახეს, აგენის გულისაა, რო არ იქნა ჩემი გათხუების საშველი...“

როდესაც გული იჯერა და დაამთავრა (თუ დაამთავრებინეს) თავისი „მონოლოგი“ და სუფრის წევრებმაც შვებით ამოისუნთქეს, წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, რის შემდეგ თამადამ უხერხულობის გასაფანტავად გრძელი „მრავალჟამიერი“ წამოიწყო, სხვები აყვნენ. მე კი ვისარგებლე პაუზით და სანამ სიმღერა მოთავდებოდა, ქვემოთ მოყვანილი სტროფები სასწრაფოდ დავწერე:

ფასო, ფასო, ფუფლო-ფარსო,
თუმც „ძვირფასო“, მაგრამ თარსო,
ნეტავ მართლა მუნჯი იყო
ენა „ტროსივით“ რომ გაქვსო,
ალბათ, „მაშაც“ არ გჭირდება
ისე იღებ ნაკვერჩხალსო
და თუ არ ვუშველე თავსო
კაცს კი არა, მოკლავ ხარსო!..

„ელვა-ექსპრომტი“ ფასო-ძვირფასოს სასწრაფოდ თეფშზე დავუდე და სანამ იქედან „ავიწაპნებოდი“, ერთიც ზეპირადაც დავაყოლე: რისი ფასო, რისი ლექსი, სჯობს გავასწრო აბა „თესი“ – მეთქი და ამ სიტყვებით ქუჩაში „ბერლენკის“ ტყვიასავით გამოვვარდი...

# ქართველი გოგონები თურქებთან „ლაღობენ“... მეცნიერი ქალი კი ტუალეტს ხეხავს

*მე-12 გვერდიდან.*

თურმე საერთოდ არ გაგონილა. გამიმართლა. არ ვიცი, რა მოხდა, ღმერთმაც მისმინა, ალბათ. მე სიკვდილის უფლებაც არ მქონდა და წამოვდექი. ამდენი ქიმიოთერაპიით გატანჯულმა, თმებგაცვენილმა, თავზე „კასინკა“ წაკრულმა დავიწყე ოჯახებში ხეტიალი მოსამსახურედ.

ინვალიდობა რომ დამიდასტურონ, თურმე ამასაც ქვეყნის ხლაფორთი და ფული სჭირდება. 4 თვის განმავლობაში ბიულეტენზე უნდა იყოო. პენსიის დანიშვნას კი რა აზრი აქვს, რაღაც 10 ლარი ყოფილა.

ვის მივაკითხო, სად არის საშველი! არც მარტოხელა დედებისთვის არაა დახმარება. ვდარდობ, ვდარდობ, რომ იცოდეთ, როგორ მტკივა ჩვენი საქართველო, გატანჯული ხალხი.

## გოგონებო, გთხოვთ, ნუ იქნებით თურქების „ხასები“

ეხლახანს თურქებში ვიპოვე სამსახური... რაღაც ფქვილის ფირმა აქვთ თბილისში და აქვე ახლოს, დიდ ძველებურ სახლში ცხოვრობენ ბატონებივით.

ქართველ ხალხს ზემოდან უყურებენ, თავს ძალიან დამცირებულად ვგრძნობ. კვირაში სამჯერ მივდივარ. მათ სტუმრები თურქეთიდანაც ძალიან ხშირად აკითხავენ. რას გაიგებ, ვინ ათენებს და ვინ აღამებს.

ჩემი მოვალეობაა სახლი დავალაგო, ჭურჭელს მივხედო, სარეცხი გავრეცხო. ჩვენი ქართველი გოგონები მივილო ლოგინებში, დიდი ბოდიში, მაგრამ პირდაპირ ამაზრზენია... გაგიჟდებით, რა ხდება, რომ იცოდეთ. ეკა, მაკა, თაკო, ნატა... რას კადრულობენ ეს ქართველი გოგონები, ვის ალაპარაკებენ – თურქებს?! ამაზე ვცოფდები, როგორ უწვებიან მათ ისეთი ლამაზი გოგოები, ქუჩაში რომ შეხვდები და ...ალს გააყოლებ.

დავაკვირდი და ყველა მათგანი ადრე „ოფიციანტებად“ და გამყიდველებად მუშაობდა. ამიტომ თურქებს ისეთი წარმოდგენა აქვთ, რომ ამ პროფესიის ქალები, წესიერები არც შეიძლება იყონ!

## რა თანხას უხდიან თურქები ქალებს?

ამ შემთხვევაში ზუსტ ინფორმაციას, ალბათ, ვერ მოგაწვდით, მაგრამ სხვადასხვა დროს თანხა, სხვადასხვაგვარად „თამაშობს“.

თუმცა, ამასწინათ იყო დიდი ჩხუბი და ალიაქოთი, ერთი გოგო გაჰკიოდა, „მე არ წავალ აქედან, ფეხსაც არ მოვიცვლი, სანამ 100$-ს არ მომცემთო“.

როცა სხვა ქალი მოჰყავთ, ხშირად პირველად მოსული ადგილიდან არ იძვრის, თითქოს რაიმე უპირატესობა ჰქონდეს ახალმოსულთან შედარებით. თურქი – კაცის გულისათვის თმებით ითრევენ ერთიმეორეს, „დამარცხებული“ კარებს უმტვრევს „გამარჯვებულს“.

ზოგი იმასაც ამბობს: „შვილი მყავსო, ხშირად ზოგიერთი დედ-მამას და ქმარსაც ახსენებს. მე ვგიჟდები, ნუთუ მართლა?! ან სად არიან თვეობით გადაკარგულები – ოჯახებში არ კითხულობენ?! საქართველოა თუ ნასაქართველო, ნუთუ ქმრებიც განგებ ხუჭავენ თვალებს?!

## იდგნენ და ელოდნენ, უსაზღვროა მათი მოლოდინი...

თურქ კაცებს, როცა ბეზრდებათ გოგო, საჭმელს უმალავენ, არ აჭმევენ, ღამეებს სხვაგან ათევენ, ოღონდ ის თავიდან როგორმე მოიშორონ. გოგოები კი ფულის გულისათვის გამომწყვდეულები სხედან და ელიან. მათგან ყველაფერს ითმენენ. ზოგიერთი ისეთი უტვინო და თავხედია, ბრძანებებს მაძლევს. მე მათთვის არარაობა ვარ, შეიძლება გაუნათლებელიც ვგონივართ. რას ვიზამ, თავწალუნული, წინსაფარაფარებული, ტუალეტში რაც ყრია, ვრეცხავ და ვხეხავ. დღეში ხანდახან 12 შარვალი, 10 მაისური, უამრავი თეთრეული უნდა გავრეცხო... ფასი კი იგივეა, ცოტას იშრომებ თუ ბევრს.

ნუთუ ამისათვის ვისწავლე და ვიკვლიე მთელი ცხოვრება, რომ არაადამიანურ „პეპლაობას“ ჩემდაუნებურად ვადევნო თვალყური. ოდესღაც მეც ხომ რაღაცას წარმოვადგენდი, მეცნიერებას ვემსახურებოდი. ჩემმა 10 წლის გოგონამ ეს არ იცის, რომ დამინახავს, კარებში მეკითხება: დედა, ფული მოგცეს? დედა, ბევრი გარეცხინეს? ხვალ წამიყვანე, დედიკო, მეც მოგეხმარები.

ქეთი ჩადუნელი

ინტერვიუ

# ნონა ჯაფარიძე: „მე ჩემს ადგილს მოვიაზრებ, როგორც ხიდს ქართველ და ქისტ მოსახლეობას შორის...“

*დაიბადა 1965 წელს ახმეტაში, დაამთავრა ახმეტის II საშუალო სკოლა წარჩინებით. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. მუშაობდა ახმეტაში მეან-გინეკოლოგად. ამჟამად მუშაობს კლინიკური და ექსპერიმენტული თერაპიის ინსტიტუტთან არსებული უმაღლესი სამედიცინო ინსტიტუტის მეანო-გინეკოლოგიის კათედრაზე ასისტენტად. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.*

*საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილია მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად ახმეტის რაიონში.*



– ახმეტის რაიონის დღევანდელი მდგომარეობა, როგორც მთლიანად საქართველოში, მძიმეა. მხედველობაში მაქვს ცხოვრების პირობები, კრიმინალური სიტუაცია. აქ განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას პანკისის ხეობის პრობლემებს, სადაც ერთმანეთშია გადახლართული ვაჰაბიზმის, ჩეჩნეთის ომის საკითხები. ამის დაუნახავობა არ შეიძლება. ეს პრობლემები არსებობს, მაგრამ არც ისე მასშტაბურია, როგორც უნდათ რომ წარმოაჩინონ. პანკისის ხეობა ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს – იგივე უსახსრობით, უფულობით, უშუქობით და ა.შ.

რაც შეეხება ვაჰაბიზმს, არც ეს პრობლემა არ არის ისეთი მასშტაბის, როგორც უნდათ წარმოაჩინონ. არავითარ დიდ ძალას, რომელსაც რაღაცის შეცვლა შეუძლია პანკისის ხეობაში, ვაჰაბიზმი არ წარმოადგენს. აქ შეიძლება ლაპარაკი იყოს ერთეულებზე. ამ ბოლო დროს რატომღაც ვაჰაბიზმი ტერორიზმთან იქნა გაიგივებული. არადა, ის საუდის არაბეთის სახელმწიფო რელიგიაა. კრიმინალები, ამ ცნებას ამოფარებულნი, თავიანთ შავ საქმეებს აკეთებენ. ასეთებისაგან დაზღვეული პანკისის ხეობაც არ არის.

რაც შეეხება კრიმინალურ სიტუაციას, არის ნარკობიზნესის მომენტები ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში და ეს მოგვარებადი პრობლემაა, თუ იქნება რაიონის პოლიციის ძალისხმევა. თვითონ პანკისის ხეობის მოსახლეობა – თემი, გვარი, უხუცესთა საბჭო – ამ პრობლემას ძალიან განიცდის. თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში ამ ყველაფერს ებრძვიან, მაგრამ მხოლოდ ასეთი ბრძოლა შედეგს არ გამოიღებს, თუ ის სტრუქტურები და სამსახურები არ იქნება დაინტერესებული, ვისაც ამ პრობლემის მოგვარება ევალება. რამდენადაც ჩემთვის და მოსახლეობისათვის ცნობილია, ეს სტრუქტურები კრიმინალებთან დაკავშირებულნი არიან და ეს მათ სინდისზე იყოს.

არის ასეთი აზრი, რომ ჩეჩნეთიდან ლტოლვილები პანკისის ხეობაში გადმოდიან. ჩრდილოეთ კავკასიაში გაჩაღებულმა საომარმა მოქმედებებმა გარკვეულწილად გაართულა პანკისის ხეობის მდგომარეობა და მინდა ვთქვა, რომ გარკვეული მნიშვნელობაც შესძინა მას. ჩეჩნეთიდან გამოქცეული მოსახლეობა, რომელიც პანკისის ხეობაში ჩამოდის, ძირითადად ჩვენი მკვიდრი მოსახლეობაა, რომელიც იქ საარსებო წყაროს საშოვნელად იყო წასული. დღეს, როდესაც ლუკმა-პურის საშოვნელად წასულ ქართველებს შეხვდებით თურქეთში, საბერძნეთში, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებსა და ჩინეთშიც კი, ეს გასაკვირი არ არის. დასაშვებია ლტოლვილთა გარკვეული ტალღის შემოსვლაც. ეს საომარი მოქმედებების განვითარებაზეა დამოკიდებული. ვინც კი ხეობას იცნობს და მისი გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები იცის, ის კარგად მიხვდება, რომ ზამთრის პირს უშუალოდ პანკისის ხეობის მხრიდან ლტოლვილთა დიდი ნაკადის შემოსვლა შეუძლებელია. არც ერთი ბოევიკი პანკისის ხეობიდან ჩეჩნეთში და დაღესტანში საბრძოლველად არ გადასულა. ეს ყველაფერი არის ჭორის დონეზე, იაფფასიანი სენსაციების მოყვარულებისათვის გამიზნული დეზინფორმაციაა. ასევე სიმართლეს არ შეესაბამება იარაღის დიდი პარტიით გადატანაზე გავრცელებული ინფორმაცია. თუ მონადირეების მიერ ნადირობის დროს გამოყენებული იარაღი ასეთ რამედ ჩაითვლება, არ ვიცი. როდესაც ასეთი საუბარი მესმის, მუდამ მახსენდება პიპინია ერისთავის რეპლიკა ელდარ შენგელაიას ფილმიდან – Да, танки тут не пройдут. ასეთი ბრალდებები უბრალოდ ღიმილის მომგვრელია.

სხვა მხრივ მთელი ახმეტის რაიონში მძიმე სოციალური მდგომარეობაა. მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ფიქრმა გადამაწყვეტინა მონაწილეობა მიმეღო არჩევნებში. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მინდა ვიზრუნო რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. პროგრამები და ამოცანები მაქვს, რომელსაც აუცილებლად შევასხამ ხორცს, მიუხედავად იმისა, დეპუტატი გავხდები თუ არა.

***– თქვენ წარმოშობით ქისტი ბრძანდებით. ასევე ბატონ ხიზრი ალდამოვის ნათესავი ხართ. ესეც გაძლევთ, ალბათ, დიდ ძალას.***

– ხიზრი ჩემი ბიძაშვილია. როდესაც გადაწყვეტილება მივიღე, მეგონა, რომ ნათესავების მხრიდან უარყოფითი რეაქცია იქნებოდა. მოგეხსენებათ, კავკასიელ მამაკაცთა ხასიათი – ქალი ოჯახს უხდა უვლიდეს. ჩემდა გასაოცრად, მათგან ისეთი მხარდაჭერა მივიღე, რომ ესეც კი საკმარისია, თავგამოდებით ვიბრძოლო. ისინი ხომ კარგად მიცნობენ და სჯერათ ჩემი. იმის უარყოფა, რომ მე ძირითად დასაყრდენ ძალას ქისტურ მოსახლეობაში ვხედავ, არ შეიძლება, მაგრამ არც მოსახლეობის დანარჩენი ნაწილიდან გამოვრიცხავ მხარდაჭერას იმიტომ, რომ მე თვითონ ახმეტაში ვარ გაზრდილი, მშობლები იქ მუშაობენ. უამრავი მეგობარი და პაციენტი მყავს. გარდა ამისა, მე დღეს ქართული ოჯახის დიასახლისი ვარ და ახმეტის რაიონის სხვა კუთხეებშიც მყავს მხარდამჭერები. ამ მხრივ საკმაო პრობლემებს შევუქმნი მოწინააღმდეგეებს. ისე, ძლიერი და გავლენიანი კონკურენტები მყავს, მათთან ჭიდილი საინტერესოც არის და აზარტულიც. მათ დიდი გამოცდილება აქვთ არჩევნებში მონაწილეობის. ამასთანავე, ცნობილი პიროვნებებიც არიან. მომხიბლავი დაპირებებიც აქვთ, რომლებსაც ჩვენი მოსახლეობა ზოგიერთი მათგანისაგან უკვე შეჩვეულია. მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ მოსახლეობა წინა არჩევნებთან შედარებით უფრო მომზადებულია. არარეალური დაპირებების აღარ სჯერა. იმასაც ხედავს, ვის რისი გაკეთება შეუძლია. ჩემი მიზანი არ არის თვალი ავუხვიო ამომრჩეველს ცრუ დაპირებებით, ილუზიებით. მათ იმის გაკეთებას შევპირდები, რაც შემიძლია. როდესაც დეპუტატი წინასაარჩევნო კამპანიაში ათასობით ლარს ხარჯავს, მაშასადამე, იგი ამ ფულის ამოღების იმედით არის. თვით დახარჯული ფულის წყაროც ხშირად საკმაოდ საეჭვოა და სწორედ იმათ ხარჯზე არის ნაშოვნი, ვის ხმებსაც შეურაცხმყოფელი დოზით დარიგებული ფქვილით, შაქრით თუ ლარებით ცდილობენ იყიდონ. მე ჩემს ადგილს მოვიაზრებ, როგორც კიდევ ერთ ხიდს ქართველ და ქისტ მოსახლეობას შორის. ჩვენ ვერ ჩამოვაყალიბებთ ჭეშმარიტ სამოქალაქო საზოგადოებას, თუკი გავაგრძელებთ საქართველოს მოქალაქეების ეთნიკური უმცირესობების დიფერენციაციას.

ქვეყანაში კანონი უნდა იყოს უზენაესი და მის წინაშე ქისტიც, ოსიც, სომეხიც და აზერბაიჯანელიც ისევე უნდა მოიაზრებოდეს, როგორც ქართველი. არც ეთნიკური უმცირესობებისადმი რაიმე განსაკუთრებული პრივილეგიების მომხრე ვარ. მთელი საქართველოს მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესება უნდა იყოს ყველა დეპუტატის მიზანი და არა რომელიმე რაიონის მოსახლეობის დაპირებებით გამოკვება. ეს კი მხოლოდ სწორი კანონშემოქმედებითი საქმიანობითა და აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლით არის შესაძლებელი, რაც პარლამენტის უპირველესი დანიშნულებაა. მე ასე მესმის დეპუტატობა და ეს გადაწყვეტილებაც ამიტომ მივიღე. ჩვენი ხალხის სიბრძნეში ეჭვი არ მეპარება, და მგონია, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს. მე, მართალია, ახლა ახმეტაში არ ვცხოვრობ, ჩემი ზოგიერთი კონკურენტისაგან განსხვავებით, მაგრამ მასთან კონტაქტი არასოდეს გამიწყვეტია. ჩემს შვილებთან ერთად ყოველ ზაფხულს პანკისის ხეობაში ვატარებ. მიყვარს ჩემი კუთხე და მინდა ის ჩემი შვილებისთვისაც მშობლიური იყოს. ასე რომ, შეუძლებელია არ მაინტერესებდეს მისი ყოფითი პირობები და მომავალი. ვთვლი, რომ გამარჯვების რეალური შანსი არის, მაგრამ რწმენა და იმედი გამარჯვებას არ ნიშნავს. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ხალხის ბრძნული გადაწყვეტილების იმედი მაქვს.

ამირიტა ჯანაშია

# დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან



დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიანო, უთქვამს ერთ დიდებულ მწერალს. დიდებულიც არის და დიდებულიც. ერთნი ბრწყინვალე კარიერით აღწევენ დიდებას, სხვანი თავისი შინაგანი სიწრფოებით. პროვინციულ რაიონში ამაყად დააბიჯებდა სპორტული აღნაგობის, სანდომიანი მამაკაცი; უჩუმრად ეწეოდა ჭაპანს, თუმცა ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩაბმული თურმე ასევე უჩუმრად იდგამდა ძეგლს თანამემამულეთა გულებში. მანგური მასწავლებლის სახელით იხსენებენ მანგური ბურდილაძეს თაობები. წელს გაზაფხულზე 68 წლისა წავიდა ამქვეყნიდან, გვიანღა იგრძნო მისი ფასი ონის რაიონმა. დიდი დანაკლისი განიცადეს მისი გარდაცვალებით ახლობლებმა.

ბრწყინვალე მომავალი ელოდა ყოფილ ტანმოვარჯიშეს ჭაბუკობაში, რომ არა უბედური შემთხვევა, რომელმაც სამუდამოდ ჩამოაშორა დიდ სპორტს. სანაცვლოდ მომავალი თაობების აღზრდა დაიწყო ამაღლებული სულისკვეთებით, მშვიდად განვლო თავისი წილი სიცოცხლე.

მანგური ბურდილაძე ის პიროვნებაა, რომელზედაც თავისუფლად იტყოდა ქართველი კაცი, ზნეობისა და სულიერი სილამაზის კვალი ატყვიაო. მის ადამიანურ სიკეთეზე, კეთილშობილებაზე, სიფაქიზეზე მრავალი ეპითეტი ამაოდ დაშვრებოდა, თვითონ ეგზომ სრულყოფილი, გარშემო უამრავ სითბოსა და სინაზეს გასცემდა.

ლეგენდად იქცა მისი ტრფობა ონის უმშვენიერესი ასულის იზა სირბილაძის მიმართ. მისაბაძი იყო ოჯახის ერთგულებაში. კარგი მამა და კარგი მეუღლე გახლდათ. მის სულიერ ღირსებებზე, მის პოეტურ სულზე, აღტკინებულ სიყვარულზე, უკეთ მეტყველებენ მისი ლექსები მეუღლის მიმართ:

„იმ სურნელის ნაწილი ხარ,
ვარდს რომ ასდის გაზაფხულზე,
მზის ნადარი ქალი ხარ და
ხატსა გავხარ მთვარის შუქზე“.

ახლა იშვიათად შეხვდება კაცი სიყვარულის ასეთ სათუთ გამოვლინებას საკუთარი მეუღლის მიმართ. რად ღირს მისი სიტყვები „ჩრდილოეთის ნათება ხარ, თეთრი ღამის ათინათი“. საოცარია, ამ გამკაცრებულ, უგრძნობელ ეპოქაში ასეთი სიყვარული, ასეთი ენით აუწერელი უმწიკვლო ტრფობა ვით ჩაისახა პიროვნებაში. ამ სტრიქონების გაცნობის შემდეგ კაცს აღარ გაუკვირდება მისი მეუღლის საპასუხო სევდიანი კვნესა „ძილში ჩამესმა ხმა შორეული,

სხვისას კი არა, შენს ძახილს ჰგავდა“, რომელიც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა.

მანგური ბურდიულაძის ცხოვრებასა და არსებობას სიყვარული ედო საფუძვლად. იგი არა მარტო ოჯახის წევრების, არამედ მთელი საზოგადოების მიმართ გასცემდა სიყვარულს. თავისი ქვეყნის მოამაგე, მოჭირნახულე გახლდათ. საყვარელ მოსწავლეთა მამულიშვილებად აღზრდას ცდილობდა. გასცემდა და უხვად უბრუნდებოდა კიდეც ეს სიყვარული.

წავიდა ამქვეყნიდან, მაგრამ მის მიერ ანთებული სიყვარული ისევ ცოცხალია და ისევ ძლიერი.

„უფრო და უფრო მიძნელდება უშენოდ, გელი და არსად ხარ, უძლური ვარ, ვერაფერს ვაკეთებ შენს დასაბრუნებლად. ნუთუ არ შეიძლება მოხდეს საწაული. გეძახი. გესაუბრები ხმამაღლა. ვიგონებ გარდასულ დღეებს. მიმძიმს. უცრემლოდ არცერთი მოგონება არ ცოცხლდება“, წერს მოგონებებში ქალბატონი იზა.

დიდებული ადამიანები იქნებ უძეგლოდ არ იკარგებიან?!

მანანა ლოგჯანიძე

# კვირის ტელეპროგრამა

## 12 ოქტომბერი — 17 ოქტომბერი

### შაბათი — 12 ოქტომბერი

**I არხი**

7.15 აერობიკა 7.30 ალიონი 9.00 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 12.12 ტელემაღაზია 12.22, 23.22 ვიდეოპატრული-02 12.37 ქართ. მხ.ფ. „დაკარგული სამოთხე" 14.03, 19.50 მაესტრო 14.12 ღია კარის ღამე 14.40 „საფეხბურთო მიმოხილვა" 15.15 შოკოლადის მიკროფონი 15.35 კვალი 15.55 პრესზონა 16.25 ნავიგატორი 16.50 საქართველო არის ესე 17.35 არა მხოლოდ შოუბიზნესი 18.15 წონასწორობა 18.30 კამერა-ობსკურა 18.45 სერიალი „კრიმინალური პოლიციის ინსპექტორი" 19.35 „ბასტი-ბუბუ" 20.50 „რა ხდება?!" 21.24 „მოსკოვი-თბილისი" 21.44 შეხვედრა 22.00 ვესტნიკი 22.22 ნაციონალური ბალეტი 22.42 რეტროპერსპექტივა 2+2=4 0.15 კომუნიკატორი 0.47 მხ.ფ. „სიყვარულის ფორმულა".

**II არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტფილმები 20.00 კონტრაქტი 21.00 სუპერ-მატჩი 21.00 ექიმის მოსვლამდე 21.15 ჯაზ-ჰიტი 21.30 სტუდია – „რე" 22.00 მხ.ფ. „შემოდგომის სონატა" 23.50 ჰიტ-პარადი.

**VII არხი**

11.30, 18.05, 20.05, 22.00 ტელეგაზეთი 11.40, 20.15 ახიკუდა 11.55 ილია 12.00 მხ.ფ. „სულის მესაიდუმლეები-2" 18.15, 18.40, 2.10 მუსიკა 18.20 ნახ.ფ. 18.45 დოკ.ფ. „ველური ბუნება" 19.05 ტელესერიალი „ეკალბარდებში მომღერლები" 20.35 მხ.ფ. „ცხელი თავები-1" 22.10 მხ.ფ. „ლანსელოტი" 23.40 მატჩის წინ 23.45 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი 1.45 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე" 2.15 ტელესერიალი „ნათლიდედა".

**რუსთავი 2**

7.00, 10.20 მუსიკა 8.00, 9.25 „ტული" 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 2.05 კურიერი 8.15 შავი მეკობრეები 9.30, 21.50 სერიალი „სასწრაფო" 10.25, 18.20 „სიყვარულის ოცნებები" 10.50, 19.25 „ალფი" 11.20, 20.05 „გვადალუპე" 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო" 16.30 Перекресток 17.10 „კორდიე" 18.50 აკუნა მატატა 22.50 მხ.ფ. „უდანაშაულობის პრეზუმფცია" 2.15 კლასიკა.

**კავკასია**

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს 17.15 მულტსერიალი 17.50 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სპექტრი 20.20, 21.45 მუსიკა 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „ბინა" 0.15 მხ.ფ. „მე ვიცი, რაც გააკეთეთ გასულ ზაფხულს" 1.45 მუს. კალეიდოსკოპი.

**ევროპა**

11.00, 18.00, 22.00, 0.00 „სტუდია-25" 11.30, 12.00 სალონი 13.30, 18.15 სერიალი „მთიელი" 14.15 მხ.ფ. „სალამი ჩარლი მესაყვირისაგან" 18.05 ბიზნეს-კურიერი 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია) 21.00 თბილისური ოჯახები 22.30 მხ.ფ. „ორი გულის შეხვედრა".

**Iსტ**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „შეყვარებულები" 12.10 კლიპ-მიქსი 18.00 მულტფილმი 19.10 მხ.ფ. 21.00 მხ.ფ. „ვარსკვლავური ომები" 23.10 მხ.ფ. „გუდონი" 0.45 მხ.ფ. 2.40 ნონ-სტოპი.

**საქართველოს ხმა**

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო 10.15, 17.45 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტ-პროგრამა 13.00, 15.15, 21.00, 1.30 მხ.ფ. 15.30 მუს.კოლაჟი 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

**ОРТ**

07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.00 Новости 10.15, 20.45 Сериал "Во имя любви" 11.15 "Джентльмен-шоу" 11.40 "Как это было" 12.20 Сериал "Дженни едет в Голливуд" 12.50 Вкусные истории 13.15 Телеканал "Добрый день" 13.45 Х/Ф "Визит дамы" 15.00 "Женские истории" 15.30 "Вместе" 16.!: Мультфильм 16.30 "Возможно все" 16.45 "Царь горы" 17.15 "... До 16 и старше" 17.45 Х/Ф "Визит к минотавру" 19.25 КВН - новости 20.00 Ищу тебя 21.45 "Спокойной ночи, малыши!" 22.00 Время 23.00 Х/Ф "Последние дни помпей" 23.00 Благотворительный концерт 01.20 Х/Ф "Рассвет"

**НТВ**

07.00, 07.30, 07.45, 08.00, 08.30, 08.45, 09.00, 09.30 Сегодня утром 07.20, 08.20, 09.20, 19.40 "Криминал" 07.50, 09.45, 18.25 "Впрок" 08.35 Мультфильм 08.50 "БОльшие деньги" 09.45, 21.50 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня 11.25 "Совершенно секретно, информация к размышлению" 12.25 "Один день" 13.30 Х/Ф "Секретный фарватер" 15.30 Сериал "Иллюзии любви" 16.25 "Своя игра" 17.35 Сериал "Приключения супербоя" 18.50 Сериал "Любовь и тайны сансет бич" 20.40 Герой дня 21.00 Сериал "Скорая помощь" 23.45 Док. фильм 00.45 "Сегоднячко" 01.25 "Сегодня в полночь" 01.45 Антропология

### ორშაბათი — 13 ოქტომბერი

**I არხი**

7.15 აერობიკა 7.30 ალიონი 9.00 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 12.13 ტელემაღაზია 12.23, 23.20 ვიდეოპატრული-02 12.38 მხ.ფ. „სიყვარულის ფორმულა" 14.04, 19.50 მაესტრო 14.12 „ბუნების კარი" 14.42 ამბიონი 15.15 ეთერი 16.05 „მოსკოვი-თბილისი" 16.25 წონასწორობა 16.50 2+2=4 17.10 გალა 18.15 50X50 18.45 სერიალი „კრიმინალური პოლიციის ინსპექტორი" 19.35 „ბასტი-ბუბუ" 20.50 „რა ხდება?!" 21.35 ეიზოდი 22.00 ვესტნიკი 22.25 ტელე-სინე-ვიდეო 22.59 საქმე 23.35 გრიფით საიდუმლო 0.15 კომუნიკატორი 0.47 მხ.ფ. „ფერმა მესეს საიდუმლო".

**II არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტფილმები 20.00 მემარი 21.00 „რაგბის მოყვარულთათვის" 21.30 ბუღარია 22.00 ოპტიმისტები 22.20 პოდიუმი 22.35 მხ.ფ. „დაგვიანებული სასიძო" 23.50 ჰიტ-პარადი.

**VII არხი**

11.30, 18.05, 20.05, 21.50 ტელეგაზეთი 11.40, 20.15 ახიკუდა 11.55 მხ.ფ. „ჩრდილი" 18.15, 18.40, 2.25 მუსიკა 18.20 ნახ.ფ. 18.45 დოკ.ფ. „ველური ბუნება" 19.05 ტელესერიალი „ეკალბარდებში მომღერლები" 20.25 მხ.ფ. „ცხელი თავები-2" 22.00 მხ.ფ. „ინსტინქტი" 23.55 მატჩის წინ 0.00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი 2.00 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე" 0.30 სერიალი „ნათლიდედა".

**რუსთავი 2**

7.00, 10.20 მუსიკა 8.00, 9.25 „ტული" 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 2.00 კურიერი 8.15 შავი მეკობრეები 9.30 სერიალი „სასწრაფო" 10.25, 18.20 „სიყვარულის ოცნებები" 10.50, 19.25 „ალფი" 11.20, 20.05 „გვადალუპე" 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო" 16.30 დოკ.ფ. 17.10 „კორდიე" 18.50 აკუნა მატატა 21.50 მხ.ფ. „ნიკიტა" 23.50 „ელიზაბეტა" 2.10 კლასიკა.

**კავკასია**

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს 17.15 მულტსერიალი 17.50 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სპექტრი 20.20, 21.45 მუსიკა 21.00 ვარსკვლავები 21.45 მხ.ფ. „სფერო" 0.15 მხ.ფ. „მარცხი" 1.45 მუს. კალეიდოსკოპი.

**ევროპა**

11.00, 18.00, 22.00, 0.00 „სტუდია-25" 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 სალონი 13.30, 18.15 სერიალი „მთიელი" 14.15 მხ.ფ. „ორი გულის შეხვედრა" 18.05 მუსიკა 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია) 21.00 „სტუმარი" 21.30 დოკ.ფ. 22.30 მხ.ფ. „სახელგანთქმული".

**Iსტ**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „გუდონი" 12.40 კლიპ-მიქსი 18.00 დოკ.ფ. 19.00 მხ.ფ. „ანჟელიკა ანგელოზების მარკიზა" 21.00 მხ.ფ. „ვარსკვლავური ომები" 23.10 მხ.ფ. „შანტაჟი" 1.05 მხ.ფ. 2.45 ნონ-სტოპი.

**საქართველოს ხმა**

10.00, 17.30, 20.30, 22.00, 0.20 ექო 10.15, 16.45 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა 13.15, 15.15, 21.00, 23.35, 1.20 მხ.ფ. 14.45 დოკ.ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

**ОРТ**

07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.15 Новости 10.15, 20.45 Сериал "Во имя любви" 11.15 Сериал "Ускоренная помощь" 11.40 Ищу тебя 12.25 Сериал "Дженни елет в Голливуд" 12.50 Домашняя библиотека 13.15 Телеканал "Добрый день" 13.45 Х/Ф "Визит дамы" 15.00 Смехопанорама 15.30 "Вместе" 16.15 "Классная компания" 16.35 Зов джунглей 17.05 "... До 16 и старше" 17.35 Х/Ф "Визит к минотавру" 19.25 Маски-шоу 20.00 Человек и закон 20.50 "Спокойной ночи малыши!" 22.00 Время 23.00 Х/Ф "Семья полицейских" 00.45 "Цивилизация" 01.35 Х/Ф "Заговор против страха"

**НТВ**

07.00, 07.30, 07.45, 08.00, 08.30, 08.45, 09.00, 09.30 Сегодня утром 07.20, 08.20, 09.20, 19.40 "Криминал" 07.50, 09.45, 18.25 "Впрок" 08.35 Мультфильм 08.50 "Большие деньги" 09.55, 21.50 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня 11.25 "Глас народа" 12.20 "Итого" 12.40 Среда 13.30 Х/Ф "Секретный фарватер" 15.30 Сериал "Иллюзии любви" 16.25 "Русские горки" 17.35 Сериал "Приключения супербоя" 18.50 Сериал "Любовь и тайны сансет бич" 20.40 Герой дня 21.00 Сериал "Скорая помощь" 23.45 Док. фильм 00.30 Куклы 00.45 "Сегодначко" 01.25 "Сегодня в полночь" 01.45 "Антропология"

### სამშაბათი — 14 ოქტომბერი

**I არხი**

7.15 აერობიკა 7.30 ალიონი 9.00 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 12.15 ტელემაღაზია 12.25, 23.21 ვიდეოპატრული-02 12.40 ქართ. მხ.ფ. „თხუნელა" 14.15, 19.50 მაესტრო 14.25 სიმღერით მოვედი 15.10 ნაციონალური ბალეტი 15.35, 18.35 რამპა 15.40 მესაკუთრე 15.55 „ანშლაგი" 16.55 „სვეტიცხოვლობა" 18.15 ლატარეა „ოქროს გასაღები" 18.45 სერიალი „კრიმინალური პოლიციის ინსპექტორი" 19.35 „ბასტი-ბუბუ" 20.50 „რა ხდება?!" 21.35 კავკასიური სამკუთხედი 22.00 ვესტნიკი 22.25 მრავალსახეობა 23.00 ეკოდაიჯესტი 23.35 ტვ-ტაქსი 23.46 ნამდვილი ამბები 0.15 კომუნიკატორი 0.47 მხ.ფ. „ნიქსონი".

**II არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტფილმები 20.00 პოროსკოპი 21.00 დიზაინი 21.30 სტუდია – „რე" 22.00 შეიდეული 22.30 მხ.ფ. „სიმღერა „პამპერგერი" 0.10 ჰიტ-პარადი.

**VII არხი**

11.30, 18.05, 20.05, 22.35 ტელეგაზეთი 11.40, 20.15 ახიკუდა 11.55 მხ.ფ. „დამნაშავის ფიცი" 18.15, 18.40, 1.15 მუსიკა 18.20 ნახ.ფ. 18.45 დოკ.ფ. „ველური ბუნება" 19.05 ტელესერიალი „ეკალბარდებში მომღერლები" 20.35 მხ.ფ. „ახალწვეული" 22.45 მხ.ფ. „კოსმოსში დაკარგულები" 0.50 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე" 1.25 სერიალი „ნათლიდედა"

**რუსთავი 2**

7.00, 10.20 მუსიკა 8.00, 9.25 „ტული" 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 1.45 კურიერი 8.15 შავი მეკობრეები 9.30, 21.50 მხ.ფ. „ნიკიტა" 10.25, 18.20 „სიყვარულის ოცნებები" 10.50, 19.25 „ალფი" 11.20, 20.05 „გვადალუპე" 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო" 16.30 დოკ.ფ. 17.10 „კორდიე" 18.50 აკუნა მატატა 23.50 მხ.ფ. „კარტი, ფული, ორი ლული" 1.55 კლასიკა

**კავკასია**

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს 17.15 მულტსერიალი 17.50 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სპექტრი 20.20, 21.45 მუსიკა 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „ბანქოს სახლი" 0.15 მხ.ფ. „გაიქეცი ლოლა, გაიქეცი" 1.40 მუს. კალეიდოსკოპი

**ევროპა**

11.00, 18.00, 22.00, 0.00 „სტუდია-25" 11.30 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 სალონი 13.30, 18.15 სერიალი „მთიელი" 14.15 მხ.ფ. „სახელგანთქმული" 18.05, 20.30 მუსიკა 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია) 20.35 პოლიტიკური პორტრეტი 21.35 „ფეხბურთის ლეგენდები" 23.15 მხ.ფ. „წერილი ბოლოდან".

**Iსტ**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „შანტაჟი" 12.25 კლიპ-მიქსი 18.00 მულტფილმი 19.10 მხ.ფ. „მშვენიერი ანჟელიკა" 21.00 მხ.ფ. „ვარსკვლავური ომები" 23.10 მხ.ფ. „ქუხილიანი გული" 1.10 მხ.ფ. 2.10 ნონ-სტოპი

**საქართველოს ხმა**

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.00 ექო 10.15, 17.15 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტ-პროგრამა 13.05, 15.45, 21.00, 23.30, 1.15 მხ.ფ. 15.00 მუსიკა 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

**ОРТ**

07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.25 Новости 10.15, 20.45 Сериал "Во имя любви" 11.15 Маски-шоу 11.40 "Человек и закон" 12.25 Сериал "Дженни едет в Голливуд" 12.50 Домашняя библиотека 13.15 Телеканал "Добрый день" 15.30 "Вместе" 16.15 Мультфильм 16.25 "Улица Сезам" 16.55 Семь бед - один ответ 17.10 "... До 16 и старше" 17.40 Х/Ф "Визит к минотавру" 19.25 "Каламбур" 20.00 "Процесс" 21.45 "Спокойной ночи, малыши!" 22.00 Время 23.00 Х/Ф "Ты у меня одна" 00.50 "Тихий дом" 01.45 Х/Ф "Продажный полицейский"

**НТВ**

07.00, 07.30, 07.45, 08.00, 08.30, 08.45, 09.00, 09.30 Сегодня утром 07.20, 08.20, 09.20 "Криминал" 07.50, 09.45, 18.25 "Впрок" 08.35 Мультфильм 08.50 "Большие деньги" 09.55, 21.50 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сеголня 11.25 "Независимое расследование" 12.10 Семейная игра 12.40 Мультфильм 13.30 Х/Ф " Секретный фарватер" 15.30 Сериал "Иллюзии любви" 16.25 "Дог-шоу" 17.35 Сериал "Приключения супербоя" 18.50 Сериал "Любовь и тайны сансет бич" 19.40 "Криминал" 20.40 Герой дня 21.00 Сериал "Скорая помощь" 23.45 Телеигра 00.30 "Сегоднячко" 01.25 "Сегодня в полночь" 01.45 "Антропология".

### პარასკევი — 15 ოქტომბერი

**I არხი**

7.15 აერობიკა 7.30 ალიონი 9.00 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 12.00, 15.00, 17.45, 20.00, 0.00 მოამბე 12.15 ტელემაღაზია 12.25, 23.21 ვიდეოპატრული-02 12.40 მხ.ფ. „ფერმა მესეს საიდუმლო" 14.04 ეკოდაიჯესტი 14.24 მრავალსახეობა 15.15 თბილისიდან შატილამდე 16.3: ტვ-ტაქსი 16.50 კავკასიური სამკუთხედი 17.10 გრიფით საიდუმლო 17.30 რეგბი – მსოფლიოს თასი 18.15 50X50 18.45 სერიალი „კრიმინალური პოლიციის ინსპექტორი" 19.35 ბასტი-ბუბუ 20.50 „რა ხდება?!" 21.35 ბელკანტო 22.00 ვესტნიკი 22.25 „ძველი ბიჭი" 23.01 თბილისის დროით 23.36 დერიტატვ 0.15 სალამო მშვიდობისა 1.00 მხ.ფ. „აფრიკელი".

**II არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტფილმები 20.00 5/5 21.00 აფხაზეთის ტელევიზია 21.40 ანტრე 22.15 მხ.ფ. „პაპარაცი" 23.55 ჰიტ-პარადი

**VII არხი**

11.30, 18.05, 20.05, 21.55 ტელეგაზეთი 11.40, 20.15 „ახიკუდა" 11.55 მხ.ფ. „ბინდი" 18.15, 18.40, 23.35, 2.10 მუსიკა 18.20 ნახ.ფ. 18.45 დოკ.ფ. „ველური ბუნება" 19.05 ტელესერიალი „ეკალბარდებში მომღერლები" 20.25 მხ.ფ. „ოპერაცია" 22.05 თიკო ვირტუალურ სამყაროში 22.15 მხ.ფ. „ასტერიქსი ცეზარის წინააღმდეგ" 23.40 მატჩის წინ 23.45 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი 1.45 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე" 2.15 სერიალი „ნათლიდედა"

**რუსთავი 2**

7.00, 10.20 მუსიკა 8.00, 9.25 „ტული" 8.05, 8730, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 3.10 კურიერი 8.15 შავი მეკობრეები 9.30 მხ.ფ. „ნიკიტა" 10.25, 18.20 „სიყვარულის ოცნებები" 10.50, 19.25 „ალფი" 11.20, 20.05 „გვადალუპე" 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო" 16.30 დოკ.ფ. 17.10 „კორდიე" 18.50 აკუნა მატატა 21.50 სერიალი „საიდუმლო მასალები" 23.50 მხ.ფ. „სახელმწიფოს მტერი" 2.10 „სიმპსონები" 2.40 „ფანტაზიები" 3.20 კლასიკა.

**კავკასია**

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს 17.15 მულტსერიალი 17.50 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სპექტრი 20.20, 21.45 მუსიკა 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. 23.30 პროგრამა „რატომ?" 0.20 მხ.ფ. „სტრიპტიზი" 2.1: მუს. კალეიდოსკოპი

**ევროპა**

11.00, 18.00, 22.00 „სტუდია-25" 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 სალონი 13.30, 18.15 სერიალი „მთიელი" 14.15 მხ.ფ. „წერილი ბოლოდან" 18.05 მუსიკა 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია) 21.00 „კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება" 22.30 მხ.ფ. „რებეკა"

**Iსტ**

10.00. 17.30. 20.30, 23.00, 1.1: ექო 10.15, 17.00 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტ-პროგრამა 13.30, 15.30, 21.00, 23.30, 1.30 მხ.ფ. 15.00 დოკ.ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

**ОРТ**

07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.10 Новости 10.15 Сериал "Во имя любви" 11.15 "Каламбур" 11.40 "Процесс" 12.25 Сериал "Дженни едет в Голливуд" 12.50 Домашняя библиотека 13.15 Телеканал "Добрый день" 13.50 Х/Ф "Стежки-дорожки" 15.00 Здоровье 15.30 "Вместе" 16.15 Х/Ф "Невероятное путешествие" 17.40 Х/Ф "Визит к минотавру" 19.25 "Джентльмен-шоу" 20.00 Док. детектив 20.30 Вкусные истории 20.45 "Поле чудес" 21.45 "Спокойной ночи, малыши!" 22.00 Время 22.45 Х/Ф "Возвращение святого Луки" 00.30 "Эх, Семеновна" 01.30 Х/Ф "Сфинкс"

**НТВ**

07.00, 07.30, 07.45, 08.00, 08.30, 08.45, 09.00, 09.30 Сегодня утром 07.20, 08.20, 09.20 "Криминал" 07.50, 09.45, 18.25 "Впрок" 08.35 Мультфильм 08.50 "Большие деньги" 09.55 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня 11.25 Телеигра 12.10 Профессия-репортер 12.25 "Служба спасения" 13.30 Х/Ф "Зеленый фургон" 15.30 Сериал "Иллюзии любви" 16.25 "Жизнь замечательных зверей" 17.35 Х/Ф "Супергерл" 18.50 Сериал "Любовь и тайны сансет бич" 19.40 "Криминал" 20.40 Герой дна 21.00 Сериал "Крутой уокер - правосудие по-техасски" 22.35 Профессия-репортер 23.45 Х/Ф "Мумия" 01.35 "Антропология"

### შაბათი — 16 ოქტომბერი

**I არხი**

9.00 დილის პეშანი 10.00, 18.55 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 12.00 მხ.ფ. „მერვე დღე" 14.00 კვალი 14.20 ზღვარი 15.00 ვესტნიკი 15.15 რეიტინგი 15.30 ახალი ქართული პროექტი 15.50, 17.50 უცნაური 16.00 ფეხბურთი. საქართველოს პირველობა „დინამო" (თბ) – „დინამო" (ბათ.) შესვენებისას – სტადიონი 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 18.15 „საიუველო ლოტო" 18.40 ბასტი-ბუბუ 20.45 მაესტრო 21.46 „მეფრა!" 22.20 „ილუზიონი" მხ.ფ. „ნეაპოლის ოქრო" 0.15 ტერმინალი-72 0.40 მხ.ფ. „ცივი საუზმე".

**II არხი**

9.00 დილა 19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 საოპერო და საბალეტო ხელოვნების ოსტატები 20.10 ავტოსპორტი 21.00 ჯაზ-სპორტი 21.25 ვარსკვლავები გვეწვიენ.. 21.40 საიუველო ლოტო 22.05 მხ.ფ. „სამოქალაქო სარჩელი" 0.00 ჰიტ-პარადი

**VII არხი**

17.05, 20.05, 22.05 ტელეგაზეთი 17.15, 20.25 მუსიკა 17.40 დოკ.ფ. „ველური ბუნება" 18.20 გასართობი პროგრამა 18.25 ფეხბურთი საფრანგეთის ჩემპიონატი 20.10 „ახიკუდა" 20.40 მხ.ფ. „მძევლები" 22.15 „ბედნიერი ერი" 22.30 მხ.ფ. „პაპარაცი" 23.55 მატჩის წინ 0.00 ფეხბურთი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური 2.00 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე"

**რუსთავი 2**

8.00, 11.00 მუსიკა 9.00, 18.00, 21.00, 1.15 კურიერი 9.10 მულტსერიალი 9.40 საბ. ფილმი 11.15 „სიმპსონები" 11.45, 20.05 „მეორე მე" 12.30 მხ.ფ. 14.30 „მანსტრების ოჯახი" 18.15 ლუისი და კლარკი 19.10 ჩემპიონთა ლიგის საფეხბურთო მიმოხილვა 21.50 ფსიქო – მხ.ფ. „ნახევრის ბავშვები" 1.25 „ფანტაზიები" 1.5: ღამის ჯაზი

**კავკასია**

12.00 მულტფილმი 13.20 მხ.ფ. „მანე ფრუდი" 15.00 მხ.ფ. „კარატისტი" 17.00, 20.30, 0.00 დღეს 17.30 რელიგიური პროგრამა 18.00 მუს. რაფსოდია 18.10 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სპექტრი 20.20, 21.45, 23.45 მუსიკა 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „მიწიერი ფასეულობანი" 0.15 ჯაზ-პარნასი 0.45 მხ.ფ. „ქალაქური ლეგენდები" 2.25 მუს. კალეიდოსკოპი

**ევროპა**

11.00 „სტუდია-25" 11.30, 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 მხ.ფ. „თავებზე ნადირობა" 13.40 „ერალაში" 13.50 დოკ.ფ. 14.00 შეხვედრა მწერალთან 15.00 თქვენი ადვოკატი 16.00 მხ.ფ. „ვარსკვლავური ომები"-1 18.00, 22.55 მუსიკა 18.05 სცენის ოსტატები 19.0- „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია) 20.30 თბილისური ოჯახები 21.15 ინდ. მხ.ფ. „თაყვანისმცემელი" 23.30 პოლიტიკური პორტრეტი 0.30 მხ.ფ. „პროვინციელები"

**Iსტ**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „ამ ბიჭის ცხოვრება" 12.30, 18.00 მულტფილმები 13.40 მხ.ფ. „რეტრო საშში" 15.20 კლიპ-მიქსი 19.00 მხ.ფ. „მოუთვინიერებელი ანჟელიკა" 20.25 მხ.ფ. „დეზორგანიზებული დანაშაული" 22.10 მხ.ფ. „ვაშინგტონის მოედანი" 0.05 მხ.ფ. 1.35 ნონ-სტოპი

**საქართველოს ხმა**

10.00, 17.30, 20.30, 22.45, 0.45 ექო 10.15, 17.00 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტ-პროგრამა 13.30, 15.30, 21.00, 23.00, 1.45 მხ.ფ. 15.00, 23.45 მუს. კოლაჟი 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

**ОРТ**

09.00. 11.00, 16.00 Новости 09.10 Слово пастыря 09.25 "Домашняя библиотека" 09.35 "Всепутешествия команды кусто" 10.30 "100%" 11.10 Смак 11.30 "Утренняя почта" 12.05 Сериал "Альф" 12.35 "Здоровье" 13.10 Х/Ф "Похождения зубного врача" 15.30 Русский музей 16.10 Сериал "Горец" 17.00 Мульт-азбука 17.55 Футбол. Чемпионат России "Спартак" (Москва) - Локомотив (Москва) (Прямая) 20.15 Х/Ф "Человек с бульвара капуцинов" 22.00 Время 23.00 Х/Ф "Изо всех сил" 00.45 Х/Ф "Майами-блюз"

### კვირა — 17 ოქტომბერი

**I არხი**

10.00 დილის პეშანი 10.00, 18.55 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 12.00 მხ.ფ. „ვერავის ვხედავ არავის ვიცი" 13.35 საკვირაო გამოფენა 13.45 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 13.55, 17.52 უცნაური 14.00 „გვაქვს უთვლავი ფერითა" 14.20 ლიტ. გადაცემა 14.40 კონცერტი ბავშვებისათვის 15.00 ვესტნიკი 15.11 მულტსერიალი 15.37 გლობუსი 16.27 რეგიონები 17.17 ტოტო-ლოტო 17.32 სპა 18.00, 0.00 მოამბე 18.15 „ლატარია ყველასათვის" 18.35 შოკოლადის მიკროფონი 20.00 ტაიმ-აუტი 20.50 აზრი 21.00 „ფორტუნა" 21.45 ტელედადგმა – „ჩემი მეუღლე-პოეტი" 22.20 ანსამბლი „ბონი-მ" თბილისში" 23.00 „დიდების ზღაპარი" 23.25 ტელეფილმი „სახლი ლხინისა" 0.15 ჯემი 0.47 მხ.ფ. „და წვიმა ნაკვალევს შლის"

**II არხი**

9.00 „დილა" 19.00 „კვირადღე": მულტფილმი, გალიმა, შიდეული, სუპერ-მატჩი, კურპები, კონსენსუსი – თქვენი თხოვნით, ღამის ქალაქი

**VII არხი**

17.00, 20.05, 23.05 ტელეგაზეთი 17.15, 20.25, 1.25 მუსიკა 17.25 ნახ.ფ. 17.50 დოკ.ფ. „ველური ბუნება" 18.20 მატჩის წინ 18.25 ფეხბურთი იტალიის ჩემპიონატი 20.10 „ახიკუდა" 20.40 მხ.ფ. „ნეკრომანი" 22.35 „90 წუთი" 23.15 მხ.ფ. „შემოსევა" 0.35 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე"

**რუსთავი 2**

8.00, 11.00 მუსიკა 9.00, 18.00, 0.40 კურიერი 9.10 მულტსერიალი 9.40 ფილმი-ბავშვებს 11.15, 0.10 „სიმპსონები" 11.45, 20.05 „მეორე მე" 12.30 ჩემპიონთა ლიგის საფეხბურთო მიმოხილვა 13.30 მხ.ფ. 15.30 „მანსტრების ოჯახი" 18.15 აკუნა მატატა 18.45 ლუისი და კლარკი 19.40 სპორტული პროგრამა 21.00 „კვირა" 21.50 მხ.ფ. „სფერო" 0.50 კლასიკა

**კავკასია**

12.00 ინდ. მხ.ფ. „ხელისუფალი" 14.25 მულტფილმი 15.00 დეტექტ. სერიალი „დემესი და მეიკესი" 16.40 დებიუტი-99 17.30 რელიგიური პროგრამა 18.00 მუსიკა 18.10 „ფეხბურთის ლეგენდები" 19.00 მხ.ფ. „სამხედრო თამაშები" 20.30, 0.00 დღეს 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „უკან დასახევი არ არის" 0.15 ჯაზ-პარნასი 0.45 მხ.ფ. „ავტორიტეტი" 2.20 მუს. კალეიდოსკოპი

**ევროპა**

11.00 „ცისკრის ზარები" 11.03 ქართ. მულტფილმი 11.30 მოკლ. მხ.ფ. „სიყვარული, ძალიან შენსა" 12.00, 21.00 ლოცვა 12.02 ქართ. მხ.ფ. „ღიმილის ბიჭები" 13.45 ქართ. ტელესერიალი „წიგნი ფიცისა" 15.00, 18.00 რელიგიის საათები 18.0- სტილი 18.25 საუბრები საქართველოზე 18.40 მუსიკა 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია) 20.30 „იქ სადაც სიყვარულია" 21.03 თბილისური ოჯახები 21.55 იუმორისტული გადაცემა 22.30 პოლიტიკური პორტრეტი 23.30 ქართ. მხ.ფ. „დიდი მწვანე ველი"

**Iსტ**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „ვაშინგტონის მოედანი" 12.25, 18.00 მულტფილმები 13.45 მხ.ფ. „ავი ძაღლი" 15.55 კლიპ-მიქსი 19.00 მხ.ფ. „ანჟელიკა და სულთანი" 20.35 მხ.ფ. „მეზავრი-57" 22.20 მხ.ფ. „ქარი" 0.35 მხ.ფ. 2.10 ნონ-სტოპი

**საქართველოს ხმა**

10.00 ექო 10.15, 18.00 მულტფილმი 11.00, 18.45 ქართ. მხ.ფ. 12.30 დოკ.ფ. 14.15, 16.30, 20.45, 23.15, 1.45 მხ.ფ. 15.45, 20.15 მუსიკა 22.15 ფარდის გახსნამდე... 1.00 ტელეფილმი

**ОРТ**

09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости 09.10 "Армейский магазин" 09.40, 17.25, 17.50 Дисней-клуб 10.10 "Утренняя звезда" 11.10 "Непутевые заметки" 11.30 "Пока все дома" 12.05 Сериал "Альф" 12.35 "Играй, гармонь любимая!" 13.10 Х/Ф "Последняя встреча" 15.05 Клуб путешественников 15.45 Русский музей 16.10 Сериал "Горец" 16.55 "Умницы и умники" 18.20 "Как это было" 19.10 "Смехопанорама" 19.45 "Ералаш" 20.05 Х/Ф "Бриллиантовая рука" 22.00 Авторская программа Сергея Доренко 23.00 Х/Ф "Тысячелетие" 23.55 "Отель" 00.40 Футбольное обозрение.

**НТВ**

09.00, 11.00, 13.00, 17.00 Сегодня 09.20 Х/Ф "Тайна железной двери" 10.30 Мультфильм 11.15 "Служба спасения" 11.40 "Полундра" Семейная игра 12.10 Сериал "Конан" 13.25 "Большие деньги" 13.50 Телеигра "Ключи от форта Байяр" 14.45 Х/Ф "Последний дюйм" 14.20 Телеигра "НТВ штурмует форт Байяр" 16.25 "Русские горки" 17.25 "Жизнь замечательных зверей" 17.55 Сериал "Она написала убийство" 19.00, 22.00 "Итоги" 19.55 Х/Ф "Полицейский из беверли хилз" 23.30 "Куклы" 23.45 Х/Ф "Господин оформитель".

# ჰოროსკოპი

## 11 ოქტომბრიდან — 17 ოქტომბრამდე

ვერძი – ორშაბათი თქვენთვის მძიმე დღეა. სამშაბათი ადრე დაგეგმილი საქმეების ირგვლივ კორექტივებს შეიტანს. ოთხშაბათს ზედმეტი ფუსფუსისაგან თავის შეკავება გმართებთ. წინ მოლაპარაკებათა გრძელი ნუსხა გელოდებათ. ამავე დროს მეგობრებისა და კოლეგების წრეში სასიამოვნო საქმიან საღამოებზე ნუ იტყვით უარს. ხუთშაბათს თქვენს ოცნებებს ფრთები შეესხმება. პარასკევი აღინიშნება თავისი მხიარულებითა და სასიამოვნო სიურპრიზებით.

კურო – ორშაბათს თქვენი გეგმების რადიკალურად შეცვლა მოგიწევთ. სამშაბათს მოულოდნელად გამგზავრების გამო ბედს ნუ გაუწყრებით, რადგან ყოველივე თქვენთვის სასიკეთო შედეგით დასრულდება. ოთხშაბათს მოზღვავებული ენერგიის გამო თავს ყოვლისშემძლედ იგრძნობთ. ხუთშაბათი და პარასკევი იმდენად წარმატებული იქნება, რომ პარასკევს თქვენს თავში დარწმუნებული ძალზედ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებასაც კი შეძლებთ. მაგრამ შაბათს თქვენი იმედების გაცრუება გარდუვალია, ხოლო კვირას განმარტოების სურვილი შეგიპყრობთ.

ტყუპები – ორშაბათს შეიძლება თავს ოცნების უფლება მისცეთ მომავალი მომგებიანი საქმეების დაგვირგვინებისა და აქედან გამომდინარე, დივიდენდების გამოყენების თაობაზე. სამშაბათს სასურველი შედეგის მიღებისთანავე უგუნებობის გამო მთელ რისხვას ოჯახის წევრებს დაატეხთ. ყველაფრის მიუხედავად, უმალ აღიდგენთ დაკარგულ წონასწორობას და ოთხშაბათი წარმატებულადაც ჩაივლის. ამ დღეს თქვენი საკრალური სურვილებიც აგისრულდებათ.

კიბო – ორშაბათს თქვენს მიერ გაბედული „ნახტომი“ წარმატებამდე მიგიყვანთ. სამშაბათს შეიძლება კონფლიქტი მოყვეს. ერთი მნიშვნელოვანი ფინანსური ოპერაციის დასრულების მეშვეობით მომგებიანი დივიდენტების მოლოდინში გაატარებთ მთელ კვირას.

ლომი – ორშაბათს განსაკუთრებულად სასიამოვნო მოუბარი იქნებით. შაბათს და კვირას ელოდეთ სასიამოვნო სიურპრიზებს, ახალ ნაცნობობას და პირადი პრობლემების მოგვარებას.

ქალწული – ორშაბათიდან შეუდექით საფუძვლის ჩაყრის პროცესს, თქვენი მომავალი წარმატებებისათვის. კონფლიქტი გარდუვალია. შაბათს ფიქრთა მესაიდუმლედ დარჩებით.

სასწორი – ორშაბათს არ გირჩევთ ფულის უაზროდ ფლანგვას. ღმერთი გფარველობთ. თქვენს კომპანიონთან ერთად განიხილეთ თქვენი ფინანსური მდგომარეობა.

მორიელი – კვირა დაიწყება კონფლიქტით და შემდეგ დღეებშიც ჰპოვებს გაგრძელებას. ცუდი განწყობა დაგეუფლებათ.

მშვილდოსანი – გაიხსენეთ „შვიდჯერ გაზომვის“ ამბავი. დასახული საქმიანობის წარმატებულად დასრულება გარანტირებულია.

თხის რქა – ძალთა მობილიზებაა საჭირო. ბედის განგება მოულოდნელ „საჩუქარს“ მოგიძღვნით.

მერწყული – ფულთან დაკავშირებით პრობლემა კვირის მთავარ თემად გექცევათ. კვირის ბოლოს ქალაქგარეთ გამგზავრება დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

თევზები – ორშაბათს და სამშაბათს გზაში გაატარებთ. ხუთშაბათი დღე მეგობრების სითბოს გაგრძნობინებთ. შაბათს მიიღეთ თამამი გადაწყვეტილება. კვირას წარმატებების მწვერვალს დაიპყრობთ.

# კროსვორდი



მდგომიარედ: 1. თავში „სათაქებელი“ ბალიში 2. „სენტიმენტალობის“ მქონე მამაკაცი (სახელი) 3. „სმის მოყვარულ მელოტთა“ სატარებელი ჯადო (რუს. ნაწ. კავშ.) 4. „უენო“, ზოდიაქოს ნიშნის კენტად დარჩენილი ნიშანი 5. აშშ-ის ყველაზე „განიერი“ პრეზიდენტი 7. „ლაქწასმული“ უბანი თბილისში 8. „ნეკშელებილი“ რუსი კლასიკოსი მწერალი 10. მშობელთა უპერმარილო შეხვედრა კლასში, დამრიგებლის მოწვევით 15. „ვინც გინდა იყოს“, მაინც ოხერი და არაფრის მაქნისია 16. პარლამენტის „გასაპუტი“ წევრი 18. იმიჯი, რომელსაც „კარებიდან“ იქმნიან 19. „ინით“ შეღებილი საფოლადე მასალა 21. „ანგარში“ მოთავსებული დიდი ბრტყელი თეფში 22. კუნძულზე მოთავსებული „ენად“ ქცეული სახელმწიფო „ვესტინდოეთში“ 24. „ვარდივით“ რჩეული ბიჭებით დაკომპლექტებული ჯარის ნაწილი 28. მცირე ფასად ღირებული „ია“ 30. გარეული ცხოველის „ბომბეუბეჟიში“

მწოლიარედ: 3. „თითხე დაბერებული“ სპილენძისა და თუთიის შენადნობი 6. მიცვალებულთა საპატივსაცემულო მეხსიერება 9. „ქეთის სარქენი“ სახელმწიფო აზიაში 11. „კისერზე გადასატარებელი“ ილეთი 12. „მარსელში“ სამღერი საფრანგეთის ეროვნული ჰიმნი 13. ის, რაც გულადი, პურადი და სტუმართმოყვარეა 14. „ამბალი“ და ბრტყელი თევზი 15. ქალაქი ბულგარეთში, რომელიც „ზემოდანაა“ 17. „ქვემაფსია“ ბერძნული ასო 18. აშშ-ის პრეზიდენტად მყოფი ძრავის ბლოკის ნაწილი 20. „გალში“ დაბადებული რუსი გოგონა (სახელი) 23. „ავი“ ალერგიული მოთხრობა 25. „ტუზების“ ჩასაცმელი ქვედა საცვალი 26. „ნულზე დასული“ ქალი 27. „ადამის“ დროინდელი მოაზროვნე ცოცხალი არსება 29. „ულვაშა“ ერის წარმომადგენელი 31. „აჟურში“ მოყვანილი ნათურის კაბა 32. კალამი, რომელიც ტუშით „დაზაპრავკებული“, სახაზავ ფურცელზე „რეისში“ მიდის 33. ქალების „უმაღლესი“ დონის მოარშიყე „სოფელში“ (ფილმ. კავშ.) 34. ტელეფონზე ლაპარაკის მოყვარული სამკურნალო მცენარე.


**ბაჩი და სიმონ ჯანაშიებს**

ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ და ბედნიერ ცხოვრებას.

ნათესავები

**ინგა გვაზავას!**

ჩემო საყვარელო ინგა, გულწრფელად გილოცავ დაბადების დღეს! დაესწარი მრავალს ჯანმრთელად და ბედნიერად! ღმერთი იყოს შენი და შენი ოჯახის მფარველი. გისურვებ უზარმაზარ სიყვარულს. იხარე და იბედნიერე!

შენი ელისო

**ნათელა გრემელაშვილს!**

გილოცავ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს შენი ლამაზი ქმარ-შვილით და ყველა კეთილის მსურველით!

შენი სიცოცხლე

გირავდება ორი ოთახი ნაძალადევის მეტროს პირდაპირ

ტ. 66-81-01, 93-18-41

იკითხეთ მანანა

იყიდება ყოველმხრივ კეთილმოწყობილი აგარაკი დაბა მანგლისში 1700 კვ.მ. ნაკვეთით, მსხმოიარე ხეხილიანი ბაღით, დიდი კაკლის ხეებით, ოთხოთახიანი სახლით ბელეტაჟზე. ფასი 10000$.

ტ. 76-93-72 მარინა (საღამოს)

ქირავდება ერთოთახიანი იზოლირებული ბინა წერეთლის მეტროსთან

ტ. 96-52-40, 94-05-32


## მადონა ჯახაია-შამუგიას ხსოვნას



თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოაკლდი შენს ოჯახს, სანათესაოს და მეგობართა წრეს.

ძალიან გვენატრები, შენ ჩვენი სიყვარულის დიდი ნაწილი თან წაიღე და სანაცვლოდ მხოლოდ მოგონებებილა დაგვიტოვე.

ისეთი კარგი და ჰუმანური იყავი, რომ შენი ხსოვნა არასოდეს არ წაიშლება იმათ მეხსიერებაში, ვინც გიცნობდა.

ჩვენ ყოველთვის ვლოცულობთ შენი ლამაზი სულისათვის. ნათელში იყავი სამარადჟამოდ და ღმერთს ვავედრებთ შენს სპეტაკ, წმინდა სულს.

ბესიკ ჯახაია

ს.ს. „ელმავალმშენებლის“ პრეს. სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება ქართული ტექნიკური ინტელიგენციის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის, სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის, ანდრო ბერიძის გარდაცვალებას.



## ვალერი ბურჭულაძის ხსოვნას



წელიწადი მიიწურა, რაც ჩვენთან აღარა ხარ, ძმაო ვალერი! საოცრად ვაჟკაცური, ხალისიანი, უსაზღვროდ კეთილი ადამიანი იყავი. მეგობრებისთვის, ნათესავ-ახლობლებისთვის მუდამ დაუზარელი. შენიანების ტკივილი თუ სიხარული საოცრად გათავისებული გქონდა.

მოულოდნელად მოწყდი ამ წუთისოფელს, დაობლე შენი საფიცარი შვილები, ტატო და მარიკა. ფრთამოტეხილი დატოვე შენი საყვარელი მეუღლე და ძმები, რეზო და ნუგზარი.

ნათელში იყავ, ძმაო ვალერი.

შენი ნათესავები


გაზეთ „საქართველო“-ს კომპიუტერული ცენტრი გთავაზობთ გაზეთების, ჟურნალების, წიგნების დაკაბადონებას, აგრეთვე მცირეტირაჟიანი გამოცემების (5000 ცალამდე), ბეჭდვას რიზოგრაფზე სწრაფად და ხარისხიანად, თანაც, რაც მთავარია, მისაღებ ფასებში

8 გვერდიანი A3 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 50 ლარი
თითოეულ ფერად გვერდში +5 ლარი.

4 გვერდიანი A4 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 12 ლარი
თითოეულ ფერად გვერდში +3 ლარი.

ქართული წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 13-20 ლარი, სირთულის მიხედვით

უცხოენოვანი წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 15-25 ლარი სირთულის მიხედვით

რიზოგრაფზე ორმხრივი A3 დაბეჭდვა 100 ეგზემპლიარი 8,5 ლარი
500 ეგზემპლიარი 27 ლარი

ჩვენი მისამართია:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5. II სართული, ოთახი №210. ტელ.: 93-20-36, 93-18-41



მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო“
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444
ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.